ISSN 1987-6890

ეკონომისტი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific -Analytical Journal

4

2 0 1 4

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
4
2014

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე.
საქ. მეც. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ლეო ჩიქავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, გივი ბედიანაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მეძვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, შანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:
ნანული არევაძე, თამილა არნანია-კეკულაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი გეჩბაია, მერაბ გველესიანი, შალვა გოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერძომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოდაშვილი, ნოდარ ხადური, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:
ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), გინდრა კასნაუსკიენე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).

თამარ დადიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

Jule
August
September

4

2014

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
Vladimer Papava, Avtandil Silagadze

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
Leo Chikava,

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:
Nanuli Arevadze, Tamila Arnania-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMSERS:
Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).

Tamar Dadiani (executive secretary)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბიზნესი

მაგდალენა პარჩევა – ორგანიზაციებში სამეწარმეო კვლევისადმი ეპისტემოლოგიური მიდგომა 6

რეგიონული ეკონომიკა

კონსტანტინე ხმალაძე – საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ძირითადი ასპექტები 13

ფინანსები

შორენა კახიძე – სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალ-დებულების შეფასება - PEFA და საქართველოს მაჩვენებლები 29

ეკონომიკური თეორია

როლანდ სარჩიმელია – ზოგიერთი ტერმინის ფორმირების საკითხისათვის საქართველოში 37

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

ვლადიმერ წვერავა, მიხეილ ირემაძე, იზოლდა ადეიშვილი, ქეთევან ბახტაძე, დავით ნარიმანაშვილი, კახაბერ კახიძე, ვალერიანე კვარაცხელია – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხისათვის 41

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

გიორგი ხარშილაძე – საქართველო-ევროკავშირის სავაჭერო ტენდენციები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფონზე 58

დავით ხაჟომია – რეგიონში სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ლოგისტიკური შეფასება 68

ნინო რუხაია-მოსემდვდლიშვილი – გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მონაწილეობა და მისი შედეგები 80

მნიშვნელოვანი ღონისძიება 89

სიახლე 93

ინფორმაცია 100

СОДЕРЖАНИЕ

БИЗНЕС

Магдалена Парчева– Гносеологический подход к предпринимательским исследованиям в организациях 6

РЕГИОНАЛЬНАЯ ЭКОНОМИКА

Константин Хмаладзе – Основные акценты формирования региональной политики Грузии 13

ФИНАНСЫ

Шорена Кахидзе – Оценка государственных расходов и финансовой подотчетности - pefa и показатели грузии 29

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ

Роланд Сарчимелия – К вопросу формирования некоторых терминов в Грузии 37

ЭКОНОМИКА СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

Владимир Цверава, Михаил Иремадзе, Изольда Адеишвили, Кетеван Бахтадзе, Давид Нариманашвили, Кахабер Кахидзе, Валериан Кварацхелия – К современному экономическому и праровому вопросу производства экологически чистой продукции в агропромышленном комплексе грузии 41

НАУЧНЫЕ ТРУДЫ МАГИСТРАНТОВ И ДОКТОРАНТОВ

Гиорги Харшиладзе – Торговые тенденции Грузия-ЕС на фоне глубокого и всеобъемлющего соглашения о свободной торговле 58

Давид Хажомия – Логистическая оценка социально-экономических условий в регионах 68

Нино Рухаиа-Мосемгвдлишвили – Участие Грузии в международных проектах Охраны окружающей среды 80

ВАЖНОЕ МЕРОПРИЯТИЕ 89

НОВШЕСТВО 93

ИНФОРМАЦИЯ 100

C O N T E N T S

BUSINESSES

Magdalena Parcheva – Epistemological Approach to Research of Entrepreneurial Activity within Organizations **6**

SECTORAL ECONOMY

Konstantine Khmaladze – Main aspects of designing regional policy in Georgia **13**

FINANCE

Shorena Kakhidze **–** Assessment of public expenditure and financial accountability (PEFA) and Georgian Index **29**

ECONOMIC THEORY

Roland Sarchimelia **–** On the Problem of Formation of some Terms in Georgia **37**

AGRICULTURAL ECONOMY

Vladimir Tsverava, Mikheil Iremadze, Izolda Adeishvili, Ketevan Bakhtadze, David Narimanashvili, Kakhaber Kakhidze, Valerian Kvaratskhelia – To contemporary economical and legal question of production an ecological clean production in the agroindustrial complex of Georgia **41**

SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

George Kharshiladze **–** Georgia-EU trade trends against the backdrop of a deep and comprehensive free trade agreement **58**

David Khazhomia – Logistical estimation of the socio-economic conditions in regions **68**

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili **–** Participation of Georgia in international projects of Environmental Protection **80**

SIGNIFICANT MEASURE **89**

INNOVATION **93**

INFORMATION **100**

ბიზნესი

Magdalena Parcheva
PhD, University of Economics (Varna, Bulgaria)

EPISTEMOLOGICAL APPROACH TO RESEARCH OF ENTREPRENEURIAL ACTIVITY WITHIN ORGANIZATIONS

1. Introduction

At present, the issue of entrepreneurial activity within an established organization and implementation of entrepreneurship principles into the management of business organizations is the subject of growing research interest. This is evidenced by the tendency of a global increase in related publications on the topic and conduct of comparative studies in various national and, respectively, cultural contexts. In its essence, organization's entrepreneurial activity is a controversial phenomenon which can be studied by different research approaches. *The subject* of this paper is the entrepreneurial activity of an established organization and the potential of the epistemological approach for research and analysis of the phenomenon.

The main objectives of the paper are focused in two areas: (1) to outline different views on entrepreneurial activity of established organizations; (2) to discuss the potential of the epistemological approach for research of entrepreneurial activity.

2. Organization's entrepreneurial activity

Entrepreneurial activity of an established organization is a controversial phenomenon which can be studied from different perspectives. In the light of *Pinchot's* (1985) concept, entrepreneurial activity can be studied as a set of activities in large organizations aiming to generate new ideas and to create innovations. According to this perspective, entrepreneurial activities are carried out by the employees or by a group of employees within the organization. They are encouraged by the top management and "inspired" by the so-called "*intrapreneur*". According to the researcher, an intrapreneur is a person who takes the initiative and responsibility to manage and implement certain innovation within the organization. *Pinchot* sees intrapreneurship as a system which enhances and makes the creation of innovations possible in large organizations through mobilisation and use of the entrepreneurial talent of intrapreneurs. Keeping these employees and implementing their ideas will contribute to the organization becoming the best innovator [1].

In line with the research of *Guth, Ginsberg* (1990), entrepreneurial activity is seen as a set of activities related to starting a business venture and renewing of the organization. In their conceptual model, the authors refer to *Schumpeter's* view on entrepreneurship. *Guth, Ginsberg* write: "new combinations of resources transform the organization into something entirely new, entirely different from what it was before. This change of the organization from something old to something totally new is a reflection of entrepreneurial behaviour." [2].

Modern researches consider entrepreneurial activity as a specific kind of behaviour of the organization. This point of view is reflected in the model of *Covin, Slevin (1991).* Researchers investigate entrepreneurial activity as an organization's behaviour characterized by innovation, risk-taking and proactiveness. *Covin, Slevin* believe that entrepreneurship can be seen as a dimension of the strategic posture. Their model outlines the drivers and consequences of the entrepreneurial posture, and the factors influencing the connection between the entrepreneurial posture and the organization's success, namely the external environment, the company's strategies and the internal factors such as values and philosophy of the top management, resources and competencies, culture, and organizational structure [3].

In connection with the study of the entrepreneurial activity as an organization's behaviour and given the conceptual model of *Covin, Slevin,* the researchers *Morris, Kuratko* write: „the focus here is on the integration of entrepreneurship across the enterprise, rather than

considering it as a separate business or entrepreneurial event or behaviour. Thus, entrepreneurship encompasses the essence of what's going on in the organization and how it operates" [4]. The expression of the entrepreneurial activity is closely related to the implementation of the entrepreneurship principles in the management in terms of strategy and organization; in the field of human resource management and not least in the promotion of the entrepreneurial organizational culture.

3. Potential of the epistemological approach for research of entrepreneurial activity within organizations

From the position of the epistemological approach, the research focus is on the knowledge within the organization and the relation „*knowledge – entrepreneurial activity*". In his research *Laham* (2003) writes "knowledge encompasses the set of information, cognition and skills which are available to the professional and which he consciously or unconsciously uses in solving tasks and problems" [5]. According to *Pawlowsky* (1994) knowledge can be defined as a result of the subjective interpretation of information [6]. In the light of the epistemological approach, the subject of research are two components: (a) *explicit knowledge* in the organization reflected in documents, procedures, software and shared information; (b) *tacit knowledge*, which is possessed by each professional and can hardly be expressed. Tacit knowledge is embodied in the organizational culture. The thesis of the explicit and tacit knowledge is central to *Hayek*'s epistemology. Explicit knowledge is consciously possessed and can be distributed and stored by formal institutions. Tacit knowledge is acquired intentionally, it is not distributed, expropriated or transferred, and it is associated with informal institutions. According to the researcher, *tacit knowledge* is a source of *entrepreneurial discovery* [7, 8].

Epistemological approach is applied in researches in the field of *knowledge management*. Knowledge management is a concept that has focus on the opportunities for knowledge-based establishment, management and development of an organization [5]. In line with this concept, the epistemological approach can be applied to the following areas: (a) analysis of the knowledge available in the organization and the ways in which it is bound within the organization; (b) methods for the generation of new knowledge; (c) transfer of knowledge from the external environment; (d) possibilities to gain competitive advantage as a result of everyone's knowledge and experience within the organization.

The analysis of the various theoretical and empirical studies in the field of entrepreneurship and corporate entrepreneurship allows us to draw the *thesis*, that in terms of *entrepreneurship, the epistemological approach* can be used for research and analysis in four different areas: research of the ways in which professionals gain knowledge on entrepreneurial opportunity; analysis of the entrepreneurial competencies of the employees; analysis of the entrepreneurial climate; analysis of the transmitters of knowledge within the organization (fig. 1).



Fig. 1. Epistemological approach – application areas in the research of enrepreneurial activity

***Source**:* the figure is created by the author

3.1. *Ways in which professionals within organizations gain knowledge on certain opportunity*

According to *Michael, Storey, Thomas* the issue how professionals gain knowledge on entrepreneurial opportunity and how they discover such opportunity is the focus of research interest in terms of studying the relation „knowledge – entrepreneurial activity" [9]. The theory of entrepreneurial windows is based on the epistemological approach where the discovery of entrepreneurial opportunities is the result of the *alertness of the entrepreneur*. A key role in this process has the surprise and unexpectedness. Referring to the epistemological and empirical approach to entrepreneurship researches, *Drucker* outlines the following sources of favourable opportunities for entrepreneurship: «the unexpected», «incongruities», «process need», «industry and market structure changes», «demographic changes», «changes in perception», «new knowledge». He specifies that system innovations are associated with these seven sources of favourable opportunities. The boundaries between the sources are blurred, though each one of them has specific characteristics. The analysis of these opportunities could result in great innovations. In his research, *Koev* deducts the so-called perpetual entrepreneurial windows: «facility», «convergence» and «processes and patterns of nature», as well as entrepreneurial windows formed in the transition to market economy: «difference in the standard of life of the various national economies», «change in the structure and subjects of power», «massive mental states – fear, depression, epidemics, euphoria» [11].

3.2. *Analysis of the entrepreneurial competencies of employees*

An interesting study in this regard has been conducted by *Ebner, Korunka, Frank, Lueger*. The researchers prove that entrepreneurial behaviour of employees depends on: (1) professional knowledge and skills; (2) independence acquired through learning; (3) social competence; (4) initiative to perform tasks which are not assigned to the employee by the management; (5) orientation of employees to innovations (suggestion of creative ideas and implementation of innovative ideas); (6) motivation for achieving results [12].

A survey among thirty companies in the Information Technologies sector in Varna district, Bulgaria, statistically identified a strong connection between the experience of employees in working in an entrepreneurial team and the creation and introducing to the market of new products/ services characterized by a high degree of innovation (fig. 2).



Significance level ,000; Pearson's coefficient of contingency 0.711

Fig. 2. Relation „product renewal– teamwork experience of employees"

***Source**:* author's survey

3.3. *Analysis of the entrepreneurial climate within the organization*

The establishment of an entrepreneurial climate within the organization suggests specific organizational and management measures, as well as the establishment of a culture of entrepreneurial nature. In this aspect, the epistemological approach can be applied to the following areas:

(1) research of the *policy* of the organization in terms of *resources* and the extent to which it contributes to the expression of entrepreneurial activity. The implemention of the entrepreneurial principles in the management suggests a specific policy in terms of resources. A particular emphasis is placed on *information, social capital and experience gained in the period of establishment of the organization* [9]. A key component in *Pinchot's* intrapreneurship system is the provision of „reserves" in the following areas: (a) *time* during which employees will work on ideas and projects of their choice; (b) *special-purpose funds* allocated in the budget for provisioning of resources for implementation of ideas and development of experimental projects; (c) *human resources* – the planning of the number of professionals required for the performance of the activity should be consistent with the fact that it may be necessary to work on innovative projects requiring human resources; (d) *information* – much of the innovations result from the informal organization. The ideas resulting from the informal organization are tacit, unknown to the management. In this sense, managers should encourage informal organizations [1].

(2) research of the organizational culture- culture in an entrepreneurially managed organization is characterized by: trust, respect for everyone, support of innovations, training and development, tolerance to errors and failures, value adding through innovations, sharing of information and knowledge. *Failure* is seen as gained experience that should be a subject of systematic documentation and research [4].

3.4. *Analysis of knowledge transmitters within the organization*

In his research «Bulgarian Entrepreneurship. Process Characteristics and Epistemological Analysis» *Koev* discusses the specifics of the cultural environment of the Bulgarian entrepreneurship to substantiate the thesis that the cultural environment of the entrepreneur plays the role of «an invisible network» predetermining the success and, respectively, the failure of the entrepreneurial process. The researcher introduces the following transmitters of entrepreneurial culture: «family», «civil society», «educational system», «firm». The transmitters transfer the culture and its tacit knowledge in evolutionary terms [11].

Based on Koev's theses, we can identify the following transmitters of knowledge in business organizations: the owners of the company, the managers, the employees, and the values of the company. The transmitters of knowledge within the organization contribute to the development of entrepreneurial activity. In this regard, the author of this paper has conducted a survey among managers of companies from the Information Technologies sector in Varna district, Bulgaria, operating in the market for more than 10 years. The companies cover the following spheres of activity: software, complete product solutions (hardware, software, system integration, internet solutions, training and servicing), network equipment and hardware, servicing. The survey was conducted using the *depth interview* method and identified the following tendencies:

(a) The behaviour of the surveyed companies is directed towards innovating the products, services and processes; renewal due to growth strategy and new market opportunity, challenging competitors based on product functionalities and additional services. The respondent companies show dynamics in the renewal of processes: in the last three years the prevailing part of them have realized improvements per the directions: technology for creation of new products (services) and work organization.

(b) The interviewed companies show a tendency to stability in terms of knowledge transmitters: owners, managers and professionals. Change in the ownership is characteristic only for two of the interviewed companies. Most of the surveyed organizations are managed by their managers since the establishment of the company. In the other companies, there is a dynamics of the executive staff. However, each company has kept in its executive staff the managers having a leading role since the initial stage of starting the business. There is a similar tendency with the dynamics of the staff. Only three of the managers of the organizations-respondents indicate that a small number of the personnel has worked for the company since the establishment of the business.

(c) The survey show interesting results in relation to the question: what are the values within the organization, have they changed during the period from the start of the company until now and what does this change involve. The following gradation of *values* has been identified: „the needs of customers first"; „teamwork"; „flexibility/ adaptability"; „respect the opinion of employees"; „loyalty"; „treating customers as we would like to be treated"; „stimulating working environment"; „growth/ development"; „excellent image of the company"; „work comes first for the company"; „united team".

The organizational culture in the interviewed companies has an open nature in relation to customer orientation and flexible, adaptive response to the external environment changes.

The research identified three profiles of value change. A representative of a governmental organization indicated the following values upon *starting a business*: „stability", „predictability", „conservatism", and values *at the moment*: „growth/ development", „flexibility", „teamwork". This transition is an expression of the opening and invigorating of state-owned enterprises in the conditions of market economy and is evidencing for an established new culture in this business organization, a culture of an entrepreneurial nature.

A manager of an U.S. affiliate for corporate software outlined the following values upon *starting a business*: „treat our customers as we would like to be treated", „our customer's problems are urgent", and *now*: „treat our customers as we would like to be treated", „customers' needs first", „clear requirements to employees", „stimulating working environment". These responses indicate a change in the values of the organization towards employees and stimulating working environment.

A manager of an internet provider and developer of software and security systems indicated the follwoing values *upon starting a business:* „ customers' needs first", „flexibility", „expansion (development)", and *now:* „customers' needs first", „excellent image", „united team" and „adaptability". The data indicate strengthening of the orientation towards people and image in the course of development and expression of entrepreneurial activity.

The empirical study based on epistemological research perspective is a step towards studying the role of tacit knowledge in the formation of entrepreneurial activity within an established organization.

4. Conclusion

This survey allows us to draw the following *conclusions* on the application of the epistemological approach to research and analysis of entrepreneurial activity:

(1) *In terms of theory, the epistemological approach* reveals a significant research perspective that can be applied to the following areas:

(a) studying the ways in which professionals come to know for an opportunity;
(b) analysis of entrepreneurial competencies;
(c) analysis of entrepreneurial climate;
(d) investigation of knowledge transmitters.

(2) *In terms of practice, the epistemological approach* can be applied in the planning and implementation of a knowledge management system within the organization to be closely related to the intrapreneurship system.

References

1. Pinchot, G. Intrapreneuring. Why You Don't have to Leave Corporation to Become Entrepreneur. Harper&Row Publishers, New York, 1985
2. Guth, W., A. Ginsberg. Guest editors' introduction: Corporate entrepreneurship. Strategic Management Journal, vol. 11, pp.5-15, 1990
3. Covin, J., D. Slevin. A conceptual model of entrepreneurship as firm behavior. Entrepreneurship Theory and Practice. No 1 (Fall), pp. 7-26, 1991
4. Morris, M., D. Kuratko. Corporate Entrepreneurship. Entrepreneurial Development within Organizations. Harcourt College Publishers, Orlando, Florida, 2002
5. Laham, A. Organisationales Wissensmanagement. Eine strategische Perspektive. Verlag Franz Vahalen, Muenchen, 2003
6. Pawlowski, P. Wissensmanagement: Erfahrungen und Perspektiven. Wiesbaden, 1998
7. Hayek, F.A. Constitution of Liberty, Chicago: University of Chicago Press, 1960
8. Коева, С. Пазарът като спонтанен ред. Приносът на Ф.А. Хайек. СТЕНО, Варна, 2002
9. Michael, S., D. Storey, H. Thomas. Discovery and Coordination in Strategic Management and Entrepreneurship. In Hitt M. (et. al.). Strategic Entrepreneurship. Creating a new Mindset. Blackwell Publishing, Oxford, 2002
10. Дракър, П. Иновации и предприемачество. Класика и стил, София, 2002
11. Коев, Й. Българското предприемачество. Процесни характеристики и епистемологичен анализ. Е- ЛИТЕРА, Варна, 2006
12. Ebner, M., Ch. Korunka, H. Frank, M. Lueger. 2008. Intrapreneurship in der beruflichen Erstausbildung. Zeitschrift fuer Personalforschung, Heft 3, pp. 291-319

Magdalena Parcheva
PhD, University of Economics (Varna, Bulgaria)

EPISTEMOLOGICAL APPROACH TO RESEARCH OF ENTREPRENEURIAL ACTIVITY WITHIN ORGANIZATIONS

Annotation

In modern theoretical and empirical researches, the issue of entrepreneurial activity and implementation of entrepreneurship principles in management becomes particularly relevant. This is resulting from the fact that entrepreneurial activity is a source of revitalization, development and competitive advantage. Entrepreneurial activity can be studied by different approaches. The focus of this paper is one of the research approaches- the epistemological approach. The paper proves the thesis that the epistemological approach can be applied to four research areas of entrepreneurial activity. Theoretical concepts and results of an empirical survey conducted among companies operating in the IT sector in Varna district, Bulgaria, are presented in these four areas of research.

მაგდალენა პარჩევა
ეკონომიკის დოქტორი, ეკონომიკის უნივერსიტეტი (ვარნა, ბულგარეთი)

ორგანიზაციებში სამეწარმეო კვლევისადმი ეპისტემოლოგიური მიდგომა

ანოტაცია

თანამედროვე თეორიული და ემპირიულ კვლევებში სამეწარმეო საქმიანობის და სამეწარმეო პრინციპების მენეჯმენტში განხორციელების საკითხი განსაკუთრებით რელევანტური ხდება. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს აღორძინების, განვითარების და კონკურენტული უპირატესობების წყაროს. სამეწარმეო საქმიანობა, შესაძლოა გაანალიზდეს სხვადასხვა მიდგომით. ამ მოხსენების ძირითადი საკითხია ერთ-ერთი კვლევითი (ეპისტემოლოგიური) მიდგომა. მოხსენება ასაბუთებს, რომ ეპისტემოლოგიური მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამეწარმეო საქმიანობის ოთხ კვლევით არეალში. კვლევის თეორიული კონცეფციები და შედეგები, რომელიც ჩატარდა IT (საინფორმაციო ტექნოლოგიები) სექტორში მოქმედ კომპანიებს სორის ვარნაში, ბულგარეთში წარმოდგენილია კვლევის ამ ოთხ არეალში.

Магдалена Парчева
Доктор экономики, Университет экономики (Варна, Болгария)

ГНОСЕОЛОГИЧЕСКИЙ ПОДХОД К ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКИМ ИССЛЕДОВАНИЯМ В ОРГАНИЗАЦИЯХ

Аннотация

В современных теоретических и эмпирических исследованиях вопрос осуществления предпринимательской деятельности и предпринимательских принципов в менеджменте становится особенно релевантным. Это исходит из того факта, что предпринимательская деятельность является источником восстановления, развития и конкурентного превосходства. Предпринимательская деятельность может быть проанализирована разными подходами. Эта работа сфокусирована на едином из исследовательских подходов. Гносеологическом подходе работа свидетельствует, что гносеологический подход может быть использован в четырех исследовательских ареалах предпринимательской деятельности. Теоретические концепции и результаты эмпирического исследования, проведенные в Варне (Болгария) среди компаний действующих IT (информационные технологии) сфере представлены в этих четырех ареалах исследования.

რეგიონული ეკონომიკა

კონსტანტინე ხმალაძე
ეკონომიკური და რეგიონული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ძირითადი ასპექტები

რეგიონული პოლიტიკა თავისი შინაარსით გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას ცალკეული ტერიტორიისადმი, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებისა და ქვეყნის დაბალანსებული, პროპორციული განვითარების მიზნით. ეს დებულება სამართლიანია ნებისმიერი ქვეყნისათვის, მათი ეკონომიკური განვითარების დონეთა განსხვავების მიუხედავად.

როგორც ცნობილია, ქვეყნის სამეურნეო სისტემის რეგიონალიზაცია ხორციელდება ხელსაყრელი წარმოების ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ქვეყნის განსაზღვრულ ტერიტორიებზე წარმოიქმნებიან სამრეწველო ცენტრები, რომლებიც გამოირჩევიან ურბანული განაშენიანებით, განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით, ფინანსური და ადამიანური რესურსების მიზიდულობით და სხვა.

ამდენად, მსხვილი სამეურნეო კომპლექსების გეოგრაფიული ლოკალიზაცია ობიექტური, კანონზომიერი პროცესია როგორც ქვეყნის შიგნით, - ტერიტორიული სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ისე მსოფლიო მასშტაბით, - შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპების საფუძველზე. შედეგად, სამრეწველო წარმოებისა და შესაბამისად, ქალაქმშენებლობის განვითარების კვალობაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამეურნეო კომპლექსები ანუ რეგიონები, მათთვის დამახასიათებელი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით.

რეგიონს, როგორც საწარმოო-ეკონომიკურ კომპლექსს, გააჩნია საკუთარი ინტერესები და განვითარების კანონზომიერებანი, რომლებიც ყოველთვის არ არის თანხვედრაში ქვეყნის, როგორც მთლიანი სისტემის განვითარების ინტერესებთან. უფრო ზუსტად, ამ ინტერესთა რეალიზაცია რეგიონის დონეზე წინააღმდეგობრივი ხასიათის პრობლემების მოგვარებასთან არის დაკავშირებული. ეს ნათლად ვლინდება სექტორული (დარგობრივი) სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის დროს. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველს ენერგეტიკული ბაზის შექმნა წარმოადგენს. ხელსაყრელი ჰიდრორესურსების ათვისების ეფექტიანობიდან გამომდინარე, საშუალო და მსხვილი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა გარკვეულწილად აწყდება ობიექტური და სუბიექტური ხასიათის წინააღმდეგობებს შესაბამისი რეგიონების მოსახლეობის მხრიდან. რა თქმა უნდა, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაკავშირებულია მოსახლეობის განსახლების ურბანული სტრუქტურის შეცვლასთან. იცვლება აგრეთვე, სასოფლო და სხვა სამეურნეო საქმიანობის ხასიათი და მასშტაბები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები. წარმოიშობა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრობლემები და სხვა.

რეგიონის ლოკალური ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება არ არის მიზანშეწონილი, თუმცა, მისი ეფექტიანობა ეჭვს არ იწვევს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. სახეზეა ცენტრისა და რეგიონის ინ-

ტერესთა შეუთავსებლობა. ანალოგიურ დაპირისპირებებს ადგილი აქვს რეგიონებში ნებისმიერი მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს. მათ დასაძლევად აუცილებელია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევა, რათა გადებულ იქნას საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსები დანაკარგების კომპენსირებისა და რეგიონის დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

სწორედ საახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს რეგიონის მოთხოვნილებების ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ინტერესებთან დამაბალანსებელ ფაქტორს. რეგიონული პოლიტიკის მეშვეობით მიიღწევა ქვეყნის შიდარეგიონული პროპორციული და დაბალანსებული განვითარება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მდგომარეობას ართულებს ეკონომიკის ატროფირებული სექტორული და რეგიონული სტრუქტურა. პირველ რიგში, ეს არის ეგრეთ წოდებული მონოქალაქების პრობლემა. საქართველოში გვაქვს ათეულობით დასახლება, რომლებშიც ცხოვრება პრაქტიკულად ერთიორი საწარმოს ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ასეთებია: ქქ. რუსთავი, გორი, ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული და სხვა. საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციული საწარმოო-ეკონომიკური კავშირების მოშლის შედეგად, აღნიშნულმა სამრეწველო ცენტრებმა, აგრეთვე, ეგრეთწოდებული საკავშირო სპეციალიზაციის მქონე რეგიონებმა (კახეთი – ყურძენი; სამგრელო, გურია – ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები, შიდა ქართლი – ხილბოსტნეული და ა.შ.) მნიშვნელოვანწილად დაკარგეს საგარეო სავაჭრო ფუნქცია და აღმოჩნდნენ აღწარმოების უნარს მოკლებულნი, აქედან გამომდინარე, მძიმე სოციალური შედეგებით (მასობრივი უმუშევრობა, ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემა, მიგრაცია და სხვა).

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მაღალმთიანი რეგიონების (ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით) და სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტების რიგი დასახლებები, რომლებიც გამოირჩევიან დეპრესიულობის მაღალი ხარისხით: მცირე და მწირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რთული რელიეფი, მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და ზოგადად, მძიმე სოციალური ფონი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს სინამდვილეში რეგიონულ პოლიტიკას აქვს სპეციფიური ხასიათი, რაც თვით რეგიონების ზემოაღნიშნული მდგომარეობითაა განპირობებული. შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკის მექანიზმების მზა რეცეპტები არ გაგვაჩნია. ამასთან, არ გამოგვადგება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადეკვატური მოდელები და მექანიზმები. ხშირად ადგილი აქვს მათი მექანიკურად გადმოღებისა და გამოყენების წარუმატებელ მცდელობებს. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ და შემოქმედებითად გამოვიყენოთ დასავლეთის, პირველ რიგში, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა ეკონომიკის რეგიონული განვითარების რეგულირების სფეროში. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ მიერ განვლილი ეკონომიკური განვითარების გზა ჩვენთვის ატარებს ზოგადმეთოდურ ხასიათს და გამოსაყენებელია პერსპექტივაში, ანუ დაბალანსებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პირობებში.

განსხვავებით ევროპის განვითარებული ქვეყნებისაგან, სადაც სახელმწიფოთა შიდარეგიონული პოლიტიკა მიმართულია უპირატესად სექტორული და რეგიონული განვითარების დისბალანსის დაძლევისა და საბაზრო წონასწორობის შენარჩუნებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა გადაწყვიტოს ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა:

<u>პირველი</u>. სამეურნეო სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე. იგულისხმება სათანადო გარემოს შექმნა ეკონომიკის

პირველადი სტრუქტურების, მათ შორის, მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის; ინვესტიციების მოზიდვისა და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისათვის; სათანადო სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის; ახალი სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის გასატარებლად. ყოველივე ამის შედეგად მიღწეულ უნდა იქნას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმების ბუნებრივი დონე, ფინანსური ბაზრის განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა საარსებო მინიმუმის დონეზე, მოსახლეობის უზრუნველყოფა სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებით, სერვისებზე სათანადო ხელმისაწვდომობა, დამაკმაყოფილებელ დონეზე განვითარებული საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა.

<u>მეორე.</u> რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების აღმოფხვრა და მათი დაბალანსებული განვითარება. პირველი ამოცანის შესრულების კვალობაზე დღის წესრიგში დგება სკითხი საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრების შესახებ[1].

ორივე ეს ამოცანა, პრინციპში, ერთდროულად გადაწყვეტას ექვემდებარება. ამიტომ, ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკა უნდა ხასიათდებოდეს ასიმეტრიულობითა და მრავალწახნაგოვნებით.

საქართველოს კონსტიტუციური კანონის 31-ე მუხლის მიხედვით: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს"[I].

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, ხელისუფლების უპირველესი ვალდებულებაა შემუშავებულ იქნას კანონი საქართველოს რეგიონული განვითარების შესახებ [II, მუხლი 2.1].

რეგიონული განვითარების შესახებ კანონში, პირველ რიგში, გამოვყოფთ მაღალმთიან რეგიონებს. პრობლემის აქტუალურობა განაპირობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბოლო პერიოდში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ. გამოიკვეთა ის რეგიონები, რომლებსაც მაღალმთიანობისათვის დამახასიათებელ საერთო პრობლემებთან ერთად გააჩნიათ დეპრესიულობის მაღალი ხარისხი – ქრონიკული დამანგრეველი სტიქიური პროცესები, უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობა, მოშლილი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემა, სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა. აუცილებელია, ამ რეგიონების მიმართ განხორციელდეს მოსახლეობის განსახლების, მათი დასაქმების, ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის და სხვა კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები. ამისათვის საჭიროა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების ცნების, მათი განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემის განსაზღვრისათვის.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ამ ამოცანების შესრულებას. კერძოდ, 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", რომლის მიხედვით ნათლად არ არის განსაზღვრული მაღალმთიანი რეგიონის ცნება. კანონით დადგენილია კრიტერიუმი - ზღვის დონიდან 1500 მეტრი და ზევით.

[1] პირობითად მივიჩნევთ, რომ საქართველოს სამხარეო (რეგიონული) მოწყობის სისტემა შეესაბამება ტერიტორიული საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსების ფორმირების პრინციპებს. საკითხი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის ობიექტს.

ამასთან, სხვადასხვა პარამეტრების (ფერდობების დახრილობა, ბუნებრივი გარემო, ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავე და სხვ.) გათვალისწინებით დაშვებულია, ცალკეულ შემთხვევებში ამ კრიტერიუმის შემცირება 1000 და 800 მეტრამდეც კი [III, მუხლი 4].

ამდენად, ფაქტობრივად შეიქმნა შესაძლებლობა მაღალმთიანი რეგიონის ცნება გავრცელებულიყო თითქმის ნახევარ საქართველოზე. კანონით დადგენილ ჩამონათვალში შევიდა ისეთი სოფლები, რომლებიც ნაკლებად აკმაყოფილებენ მათალმთიანი რეგიონისათვის დამახასიათებელ პარტამეტრებს, და პირიქით – კანონით დადგენილი მახასიათებლების მქონე რიგი სოფლები (800 მეტრ სიმაღლემდე) ვერ მოხვდნენ ამ ჩამონათვალში. ყველა შემთხვევაში, შეუძლებელი შეიქმნა ამგვარი მიდგომით მაღალმთიანი სოფლების დანარჩენი ტერიტორიიდან ნათლად გამიჯვნა.

სუბიექტური მიდგომების გამორიცხვისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, კანონით რეგიონული განვითარების შესახებ, დადგინდეს ერთი კრიტერიუმი, ყოველგვარი გამონაკლისების დაშვებისა და დამატებითი ფაქტორების შემოტანის გარეშე. ამასთან ერთად, სასურველია, პრიორიტეტულობისა და საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მან მოიცვას არა მაღალმთიანი რეგიონები საერთოდ, არამედ, მათ შორის, მხოლოდ ის რეგიონები, რომლებიც გამოირჩევიან დეპრესიულობის მაღალი ხარისხით.

კანონით უნდა განისაზღვროს საქართველოს მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლები.

კანონის მოქმედება გავრცელდება მაღალმთიან რეგიონებში მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებზე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, აგრეთვე, სამეწარმეო-საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე.

კანონის მიზანია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემის განხორციელების საფუძველზე საქართველოს მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა. მიზნიდან გამომდინარე, გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები:

- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში;
- ხელსაყრელი საინვესტიციო პირობების შექმნა;
- მოსახლეობის დასაქმება და მასობრივი, სტიქიური ხასიათის მიგრაციული პროცესების შეჩერება;
- ცალკეული მაღალმთიანი რეგიონის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და მცირე საწარმოთა ჩამოყალიბებისა და განვითარების სტიმულირება;
- მინერალური და რეკრეაციული რესურსების რაციონალურად გამოყენება, თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა;
- სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა და რეაბილიტაცია;
- სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა და მათი შეუფერხებელი ფუნქციონირება;
- საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვა;

- გეოეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელებისა და სტიქიური მოვლენებისაგან მოსახლეობისა და მეურნეობათა დაცვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;

კანონის მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს მაღალმთიან დეპრესიულ რეგიონებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე და ზევით;

კანონით დადგენილი შეღავათები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო და ფისკალური ურთიერთობების სფეროებში ვრცელდება მთელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულზე, თუ მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (ნახევარზე მეტი) შეესაბამება მაღალმთიანობის კრიტერიუმს.

მაღალმთიანი რეგიონების სამეურნეო განვითარების ხასიათს განსაზღვრავს: - რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული რელიეფი და მძიმე კლიმატურ-ნიადაგური პირობები;

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მათ შორის, სახნავი მიწების შეფარდებითი სიმცირე ბუნებრივ საკვებ სავარგულებთან შედარებით;

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მცირე მოსავლიანობა და სასაქონლო პროდუქციის სიმცირე;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე;

- გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები;

- სატრანსპორტო კომუნიკაციების განუვითარებლობა და მის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;

- მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე და მიგრაციული პროცესები;

- მდიდარი სასარგებლო წიაღისეული, ჰიდრო, ხე-ტყის და აგრო-კლიმატური რესურსები, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება, რაც ჰქმნის მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის, მემცენარეობის (თავთავიანი მარცვლეული კულტურები, კარტოფილი და სხვა საკვები კულტურები), მეფუტკრეობის, ჰიდროენერგეტიკული, სამთო-მოპოვებითი, ხეტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებს.

მაღალმთიანი რეგიონების მინერალური რესურსების სამრეწველო გამოყენების მიზნით აუცილებელია განისაზღვროს მათი გეოლოგიური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პარამეტრები და შემუშავდეს საინვესტიციო მახასიათებლები. ცალკეული რეგიონის მიხედვით გამოიკვეთება ფერადი მეტალურგიისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის (მარმარილო და მოსაპირკეთებელი ქვები), მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების, ქიმიური მრეწველობის (ბარიტი), მინისა და კერამიკის და სხვ. რესურსების მარაგები.

მაღალმთიან რეგიონებში ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო და კულტურული ტრადიციებისა და არსებული რესურსული ბაზის გათვალისწინებით გამოიკვეთება საქმიანობის შემდეგი პრიორიტეტული სფეროები:

- მეცხოველეობა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებისა და მეცხვარეობის განვითარება. ეს დაკავშირებულია ზამთრის საძოვრების (განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის) რაციონალურად გამოყენებასთან, ცხვრის სარძეო პროდუქტიულობის ამაღლებასთან, მსხვილფეხა საქონლის სანაშენე სელექციური მომსახურების გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან;

- მემცენარეობა – მარცვლეული და პარკოსანი კულტურების, კარტოფილისა და ხილის წარმოება, რაც მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტს მეცხოველეობის კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას;

- მეფუტკრეობა, რაც სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული;

- სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა – რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმა და სხვა;

- ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის უნიკალური მერქნის მარაგების ბაზაზე. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნიადაგის, ფერდობების მდგრადობა და წყლის რესურსების დაცვა;

- მეთევზეობა. ჯავახეთის ტბებში თევზის მოშენებით მნიშვნელოვანწილად გადაწყდება ამ პროდუქციაზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა;

- მცირე ჰიდროენერგეტიკა. ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიუხვით გამოირჩევა სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (საქართველოში 26 ათასამდე დიდი და მცირე მდინარეა. მცირე მდინარეების (25 კმ-ზე ნაკლები სიგრძის) ჯამური პოტენციური საშუალო წლიური გამომუშავება 15,9 მილიარდი კილოვატსაათია);

- მინერალური რესურსების ბაზაზე სამთო-მოპოვებითი წარმოების განვითარება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოიყოფა სპილენძის, პოლიმეტალების, ანდეზიტის, კვარციტების, საშენი ფიქალების, გრაფიტის, დიაბაზის საბადოები. დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (სვანეთში) სამრეწველო დანიშნულების მქონე სამი მნიშვნელოვანი საბადოა: დარიშხანის, მარმარილოს და ბარიტის. სამხრეთ საქართველოს მთიანეთი მდიდარია აქატის, დიატომიტის და მინერალური სამშენებლო ნედლეულის დიდი მარაგებით;

- მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების რესურსის ათვისება. სამხრეთ საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლები გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და ეკოლოგიურობით (150 ათასი კუბ. მ/დღღ.). მინერალური წყლებიდან მაღალმთიან რეგიონებში გავრცელებულია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ნახშირორჟანგიანი სამკურნალო და სამკურნალო-სუფრის წყლები (უწერა, შოვი, სქური, ვაჟას სყარო, ნადიბაანთ-ვეძა, მესტია, ფანშეთი-ყაზბეგი). ბოლომდე შესაფასებელია თრუსოს ხეობის ნარზანები, ლაშე-ჭალა (ცაგერის მუნიციპალიტეტი), მუაში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი). აღსანიშნავია გოგირდწყალბადიანი თერმული წყლების საბადო – თორღვას აბანო;

- ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარება. საქართველოს მაღალმთიანეთის გამორჩეული სამკურნალო-საკურორტო და რეკრეაციული რესურსები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან სათავგადასავლო ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებისათვის;

- ტრადიციული შინა რეწვის დარგების (მეთუნეობა, ჭედურობა, ხეზე კვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარება;

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება (კომუნალური მომსახურება, ჯანდაცვა და სხვა სოციალური მომსახურება).

მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების მიხედვით უნდა შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები. მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულების თავისებურებებიდან გამომდინარე, პროგრამებში გათვალისწინებულ უნდა იქნას:

- საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება და წარმოების განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტური გამოყენების საფუძველზე;

- დასაქმების პრობლემების დარეგულირება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით;

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

- გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

- სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა-რეაბილიტაცია;

- მოსახლეობისა და მეურნეობის სტაბილური ენერგო- და გაზმომარაგების უზრუნველყოფა;

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- აგროსაინჟინრო სერვისული ცენტრების დაფუძნების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას;

- პირუტყვისათვის საჭირო ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მწვავე დეფიციტის გამო (ვეღარ ვსარგებლობთ 317 ათასი ჰექტარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებით) საძოვრების ფართობების რეგულირებასა და რაციონალურ გადანაწილებას პირუტყვის რაოდენობისა და 1 ჰა საძოვრის დატვირთვის ნორმის გათვალისწინებით;

- მაღალმთიან რეგიონებში მეცხვარეობისა და მესაქონლეობის აღდგენა-განვითარებისათვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც გაითვალისწინებს:

- თუშური ჯიშის ცხვრის სარძეო პროდუქტიულობის გაზრდას სელექციის მეშვეობით;

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად ფერმერულ მეურნეობებში სანაშენე საქმიანობის აღორძინებას კავკასიური წაბლა ჯიშის და ხევსურული ჯიშის ძროხების ბაზაზე;

- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, მუნიციპალური განვითარების ფონდი, სოციალური ინვესტიციების ფონდი, გერმანიისა და ლიხტენშტეინის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პროგრამა" და სხვა) ერთად მაღალმთიანი რეგიონების სოფლის განვითარების პროგრამის რეალიზაციას, რომელიც მოიცავს: კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესლის წარმოებისა და მოვლა-მოყვანის ახალ ტექნოლოგიებს; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ფუტკრის ჯიშობრივ გაუმჯობესების ღონისძიებებს; ხეხილის სანერგე მეურნეობების მოწყობას; მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვას; ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს; სოციალური ობიექტების რეაბილიტაციას.

სატრანსფერო პოლიტიკა მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის შესაძლებელია ითვალისწინებდეს:

1. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულებისათვის სოციალური დანიშნულების ტრანსფერის გამოიყოფას, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი შეღავათების შედეგად შემცირებული ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების და შრომის ანაზღაურების ზრდით გამოწვეული ხარჯების კომპენსირების მიზნით.

2. საკანონმდებლო დონეზე საკითხის გადაწყვეტას ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ერთიანი სისტემის დანერგვის შესა-

ხებ, რაც უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაბალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტების შემოსავლების გამოთანაბრებას ქვეყანაში ჩამოყალიბებული საშუალო მაჩვენებლის დონეზე.

3. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის მეშვეობით განხორციელდეს ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების მაღალმთიანი რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო მიზნით მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების სუბსიდირება დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

სოციალური შედავათების მხრივ მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონებისათვის მიზანშეწონილია:

- მაღალმთიან რეგიონებში სამსახურისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებს მიეცეთ სახელფასო დანამატი 50 %-მდე ოდენობით;

- მაღალმთიან რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პენსიონერებს ხელფასთან ერთად მიეცეთ პენსია სრული ოდენობით;

- სასაზღვრო მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებლებს ჰქონდეთ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი (ვიზების გარეშე) გადაადგილების საშუალება.

მაღალმთიან რეგიონებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ მიზანსეწონილია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ბაზაზე სხვა დაინტერესებული ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩამოყალიბდეს გეოეკოლოგიური მონიტორინგის ქმედითი სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს თითოეული რეგიონისათვის სტიქიური გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობის შეფასება - პროგნოზი სათანადო პროფილაქტიური ღონისძიებების გასატარებლად;

- სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოიყოს სახსრები მიზნობრივად – სტიქიური მოვლენების შედეგად მოსახლეობისა და მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ და გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის მიზნით.

მაღალმთიან დეპრესიულ რეგიონებში მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის გასაძლიერებლად:

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე რეგიონალური მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს და მაღალმთიან რეგიონებში განახორციელებს მცირე მეწარმეობის განვითარებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას. ამ პროგრამაში უნდა აისახოს: მცირე მეწარმეობის განვითარებისა და საწარმოთა საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებები; სამეწარმეო საქმიანობაში საოციალურად დაუცველი ფენების ჩართვა; მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებები; კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება; სახელმწიფო ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული რესურსების, აგრეთვე, ტექნოლოგიების გამოყენების შედავათიანი პირობების შექმნის წინადადებები; ინვესტიციების, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების წინადადებები.

2. მცირე საწარმოთა მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უნდა შეესაბა-

მებოდეს მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პროგრამებს, მიგრაციის პოლიტიკის განხორციელებას, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გადაწყვეტას.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებს მაღალმთიან რეგიონებში მცირე მეწარმეობის განვითარებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ.

ქვემოთ მოტანილია, სამეწარმეო გარემოს გამოკვლევის და საკრედიტო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის საფუძველზე, ჩვენ მიერ შემუშავებული [IV] საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობის კონკრეტული ფორმები და მექანიზმები. ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად ასპექტებზე.

ფინანსური ხელშეწყობა გაეწევა მხოლოდ იმ საწარმოს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით მცირე საწარმოსათვის დადგენილ კრიტერიუმებს;
- ბიზნესი უნდა განხორციელდეს მაღალმთიან დეპრესიულ რეგიონში.
- საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობის დროს სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება იმ სამეწარმეო პროექტს, რომელიც უზრუნველყოფს მეტი რაოდენობის სამუშაო ადგილის შექმნას.
- საწარმოებს ფინანსური ხელშეწყობა არ გაეწევა შემდეგ საქმიანობებზე: მოვალე კრედიტორების გასასტუმრებლად ან სესხის დასაფარავად; სარისკო ოპერაციებზე, რაც დაკავშირებულია სამომავლო (ფიუჩერსულ) გარიგებებთან სხვადასხვა საქონელზე; შენატანებისათვის არამომგებიან ინვესტიციებში (საქველმოქმედო, რელიგიური და სხვა); ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების (მათ შორის, კაზინოების) ბიზნესში დაბანდებისათვის; კანონმდებლობით აკრძალული საინვესტიციო საქმიანობისათვის (საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, მუხლი 9.1."). საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობა განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

1. არასაბანკო მცირე სესხები;
2. ბანკების წინაშე თავდებობა;
3. საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება;
4. სუბვენცია (პრემიალური გრანტი).
5. საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურება. ლიზინგი

არასაბანკო მცირე სესხები

სესხის მაქსიმალური ოდენობა ერთ სამეწარმეო პროექტზე შეადგენს 30 ათას ლარს.

სესხის ხანგრძლივობაა მაქსიმუმ 3 წელი. სესხი გაიცემა კონტრაქტის ხელმოწერიდან 3 თვის განმავლობაში ერთ ან რამდენიმე ტრანშად. ერთ პროექტზე სესხი განმეორებით არ გაიცემა. საწარმოს უფლება არა აქვს ერთი წლის განმავლობაში მოითხოვოს დამატებითი სესხი პროგრამითა და კონტრაქტით.

სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს მაქსიმუმ 12%-ს.

მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაცია სესხის გაცემის დროს ხელმძღვანელობს საკრედიტო პრაქტიკაში მიღებული სტანდარტებით (ადექვატური უზრუნველყოფა და სათანადო კრედიტუნარიანობა). საგარანტიო უზრუნველყოფის მოცულობა განისაზღვრება მსესხებელთა სამეწარმეო პროექტების მიხედვით სესხის დაბრუნების რისკის დონის შესაბამისად. საგარანტიო უზრუნველ-

ყოფის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს სესხისა და მის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობაზე ნაკლები.

სესხის მისაღებად პრეტენდენტმა მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციას პირადად უნდა წარმოუდგინოს განაცხადი და მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია დადგენილი ფორმის მიხედვით.

სესხის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მსესხებელთან ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განისაზღვრება სესხის მოცულობა და მის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ბანკების წინაშე თავდებობა

ფინანსური ხელშეწყობის მოცემული ფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაცია ბანკების წინაშე თავდებად გამოდის იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკრედიტო დაწესებულებების მოთხოვნებს სამეწარმეო საქმიანობის რისკის და/ან საგარანტიო უზრუნველყოფის კუთხით (არ გააჩნიათ ადეკვატური გირაო). სათავდებო სახსრები დაიხარჯება იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ შეასრულებს სესხის დაფარვის ვალდებულებებს.

თავდებობით გაცემული სესხების პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ბანკებთან ფორმდება ხელშეკრულება თანამშრომლობაზე, რომლითაც განისაზღვრება მცირე საწარმოებისათვის თავდებად გამოსვლის და თავდებობის თანხის მართვის ძირითადი პრინციპები და პირობები (თავდებობის თანხა შესაძლებელია დაიდოს დეპოზიტზე).

მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაციის მიერ თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანკი ამოწურავს საგარანტიო უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად თანხების მიღების ყველა შესაძლებლობას.

თითოეულ პროექტზე თავდებობის თანხა არ აღემატება სესხის თანხის 75 პროცენტსა და 30 ათას ლარს.

თავდებობის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 3 წლით.

თავდებობის ოდენობა, ხანგრძლივობა და პირობები განისაზღვრება პროექტის პრიორიტეტულობისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის, აგრეთვე, მსესხებლის მიერ საგარანტიო უზრუნველყოფის დონის შესაბამისად.

თავდებად გამოსვლის შესახებ მეწარმე პირადად მიმართავს თხოვნით მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციას. განაცხადთან ერთად მას წარედგინება ბანკის დასკვნა მსესხებლისათვის გასაცემი სესხის ძირითადი პარამეტრებისა და საგარანტიო უზრუნველყოფის შესახებ.

საწარმოს განაცხადის ანალიზისა და შეფასების შედეგად მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის. ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები. ხელშეკრულების მიხედვით განხორციელდება მონიტორინგი საწარმოს მიერ სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრ

ყოველ ცალკეულ პროექტზე მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციასა და ბანკს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თავდებობის მოცულობა, ბანკის მიერ მსესხებლის მხრიდან საკრედიტო ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის, საგარანტიო უზრუნველყოფის რეალიზაციის, თავდებობის ხელშეკრულების ამოქმედების და სხვა პროცედურული საკითხები.

სესხისა და საგარანტიო უზრუნველყოფის მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს.

საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება

სუბსიდირების მიზანია კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ნაწილის კომპენსაციით საბანკო სესხები გახდეს ხელმისაწვდომი იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც განახორციელებენ მოცემული პროგრამით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობას.

მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციასა და კომერციულ ბანკს (ბანკებს) შორის ფორმდება სუბსიდირების პროგრამის განხორციელებაში თანამშრომლობის ხელშეკრულება.

სუბსიდირების ოდენობა ცალკეულ სამეწარმეო პროექტზე შეადგენს საბანკო სესხის არაუმეტეს წლიურ 12%-ს. ყველა შემთხვევაში სუბსიდირების მთლიანი წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

სუბსირების განხორციელების ვადაა მაქსიმუმ 3 წელი.

განაცხადი სუბსიდირების ფორმით დახმარების მისაღებად მეწარმის მიერ პირადად წარედგინება მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციას. წინასწარი განხილვისათვის მცირე მეწარმე წარმოადგენს ბანკის თანხმობას კრედიტის გამოყოფის შესახებ, გაცემისა და დაბრუნების ძირითადი პარამეტრების მითითებით.

სუბსიდირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საწარმოსთან ფორმდება კონტრაქტი მეწარმეობის ხელშემწყობ ორგანიზაციას, საწარმოსა და ბანკს შორის. კონტრაქტით განისაზღვრება სუბსიდირების მიზანი, ოდენობა, გაცემის პირობები, მოთხოვნები და დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები.

კონტრაქტის მიხედვით მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაციის მიერ სუბსიდირებული თანხის გადახდა ხორციელდება მსესხებლის მიერ სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდის შემდეგ.

მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაცია განახორციელებს მონიტორინგს საწარმოს მიერ კონტრაქტის შესრულებაზე. საწარმო მას ყოველკვარტალურად წარუდგენს ინფორმაციას სუბსიდირებული სესხის გამოყენების მიზნობრიობის შესახებ.

სუბსიდირება მცირე საწარმოთა მხრიდან არ მოითხოვს დამატებით საგარანტიო უზრუნველყოფას.

მცირე საწარმოთა საკონსულტაციო მომსახურება

მცირე საწარმოებს გაეწევათ სპეციალური საკონსულტაციო მომსახურება შემდგომში საფინანსო-საკრედიტო რესურსების მისაღებად მომზადების მიზნით.

სწავლება და კონსულტაციები ბიზნესის ზოგად საფუძვლებში დამწყები მეწარმეებისათვის მოიცავს: ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისა და საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული სისტემის შესახებ, საწარმოთა დაფუძნების საკითხებზე; კონსულტაციები სესხის მიღების მექანიზმების, პროცედურების, ბიზნეს-გეგმების შედგენის და სხვა საკითხებზე. მეწარმეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათთვის საჭირო ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროების, მათი შეძენის ფორმების, პარტნიორების შერჩევის, მათთან კონტრაქტების გაფორმების და სხვა საკითხებზე.

კონსალტინგური მომსახურების შედეგად განისაზღვრება პოტენციურ მეწარმეთა კონტინგენტი, რომლებიც აკმაყოფილებენ ფინანსური ხელშეწყობის თითოეული ფორმის (არასაბანკო მცირე სესხი, ბანკის წინაშე თავდებობა, საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება) მიხედვით დადგენილ პირობებს.

მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებმა უნდა მოიცვან **პრეფერენციები მცირე საწარმოებისათვის პროდუქციისა და საქონლის (მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის დროს**

სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის (მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვებში მაღალმთიანი რეგიონების მცირე საწარმოების მონაწილეობის სტიმულირების მიზნით:

საქართველოს მთავრობა, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ორგანოები უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების სახელმწიფო შესყიდვების განთავსებას მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების მცირე საწარმოებზე, მისი მთლიანი მოცულობის არანაკლებ 10 პროცენტის ოდენობით, მცირე საწარმოებს შორის კონკურსის მეშვეობით;

მოთხოვნების დაწესება დიდი მოცულობის კონტრაქტების ლოტებად დანაწილების, ქვეკონტრაქტების დადებისა და მცირე საწარმოებთან თანამშრომლობის შესახებ.

ტენდერის პროცედურების გამარტივება, როგორიცაა: წინასწარი შერჩევა, კონტრაქტის დადება, ანგარიშსწორება და სხვა.

საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამამ **ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სფეროში** უნდა მოიცვას:

- წინადადებები გადამამუშავებელი მრეწველობის პრიორიტეტულ დარგთა მიხედვით დასანერგი მოწყობილობებისა და დანადგარების სიმძლავრის, ტიპის, ღირებულების და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ;
- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროები და საშუალებები;
- ტექნოლოგიის შეძენის ფორმები, როგორიცაა: ლიცენზიები და „ნოუ-ჰაუ", საწარმოო კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვა.
- ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანისა და მიწოდების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება. კერძოდ, ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნო-პარკების, სალიზინგო კომპანიების და სხვა. მათი შექმნის, ფუნქციონირების დასაბუთება;
- სწავლება და კონსულტაციები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში;
- წახალისებისა და შეღავათების ღონისძიებათა სისტემა იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ინოვაციური ტექნოლოგიების იმპორტსა და დანერგვაზე.

მაღალმთიან და დეპრესიულ რეგიონებში მეწარმეობის განვითარების მთავარ პრობლემას საკრედიტო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა და სასტარტო კაპიტალის შექმნა წარმოადგენს. საკრედიტო ორგანიზაციები პრაქტიკულად არ გასწევენ საკრედიტო მომსახურებას დამწყები კომპანიებისათვის, რისკების დაცვისა და დაზღვევის ქმედითი მექანიზმების არარსებობის გამო. ფინანსური ლიზინგის, როგორც კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების სპეციფიური ფორმის გამოყენებით საწარმოებისათვის შევქმნით კაპიტალის მიღების შესაძლებლობას თავდაპირველი დანახარჯების გაღების გარეშე.

ფინანსური ლიზინგი უაღრესად ხელსაყრელია მცირე საწარმოებისათვის, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მოიჯარის საქმიანობის ხასიათის თავისებურებებს (სეზონურობა, ციკლურობა და ა.შ.), ზრდის მის ოპერაციათა დაფინანსების მოცულობას, აძლევს მას მნიშვნელოვან საგადასახადო უპირატესობებს: იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშებში აქტივების სახით, აგრეთვე, საარენდო შენატანები არ იბეგრება, საერ-

თაშორისო კანონმდებლობით ლიზინგის ფორმით შემოტანილი მოწყობილობები თავისუფალია საბაჟო გადასახადისაგან.

ლიზინგი, მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს საქართველოში საკრედიტო რისკის პრობლემას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სალიზინგო ოპერაციებში სადაზღვეო სტრუქტურების მონაწილეობა (პრაქტიკულად, სალიზინგო ხელშეკრულების დადება არ ხდება სადაზღვეო პოლისის გარეშე). ეს გარემოება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სადაზღვეო ბიზნესის გააქტიურებას. ლიზინგური და დაზღვევის ოპერაციების ერთდროული კომბინირებული გამოყენებით იქმნება მიმზიდველი საინვესტიციო პირობები ინვესტორის, დამზღვევი კომპანიებისა და, რაც მთავარია, მცირე საწარმოებისათვის.

მთიან რეგიონებში, სადაც ინდუსტრიული საწარმოები თითქმის არ არის განვითარებული, სალიზინგო ოპერაციების ინიცირება უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო და ტურიზმის ბიზნესში. აღნიშნულ ოპერაციებში სახელმწიფო სალიზინგო კომპანიების მონაწილეობა სტიმულს მისცემს საბანკო სექტორსა და კერძო კომპანიებს ჩაერთონ და გაზარდონ თავიანთი მონაწილეობის ხარისხი რისკების განაწილებასა და პროექტების დაფინანსებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

I. საქართველოს კონსტიტუცია.

II. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ".

III. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წ. - №24(31).

IV. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის 309 ბრძანებულება „საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის 2002-2004 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ".

V. K. Khmaladze. Methodological aspects for ensuring Regional Development. International Scientific-Practical Conference "Sustainable Economic Development Issues: Realities and Opportunities". Kutaisi University, 2012.

VI. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია – „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი". მასალების კრებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ბათუმი, 2014 წ.

კონსტანტინე ხმალაძე
ეკონომიკური და რეგიონული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ძირითადი ასპექტები

ანოტაცია

ჩვენს ქვეყანაში რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა გადაწყვიტოს ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა: <u>პირველი,</u> სამეურნეო სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია: <u>მეორე.</u> რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების აღმოფხვრა და მათი დაბალანსებული განვითარება. ხელისუფლების ვალდებულებაა შემუშავებულ იქნას კანონი საქართველოს რეგიონული განვითარების შესახებ. კანონში, პირველ რიგში, გამოვყოფთ მაღალმთიან რეგიონებს, მონოქალაქებს (სამრეწველო ცენტრებს) და ყოფილ საკავშირო სპეციალიზაციის მქონე რეგიონებს, რომლებიც გამოირჩევიან დეპრესიულობის მაღალი ხარისხით.

აუცილებელია, განისაზღვროს მაღალმთიანი და დეპრესიული რეგიონების ცნება და მათ მიმართ განხორციელდეს მოსახლეობის განსახლების, დასაქმების, ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის და სხვა კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ამ ამოცანების შესრულებას.

მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების მიხედვით უნდა შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები. პროგრამებში გათვალისწინებულ უნდა იქნას: საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება და წარმოების განვითარება; დასაქმების პრობლემების დარეგულირება; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება; სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა-რეაბილიტაცია; მოსახლეობისა და მეურნეობის სტაბილური ენერგო- და გაზმომარაგების უზრუნველყოფა.

გათვალისწინებულია სოციალური შედავათები მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონებისათვის. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს გეოეკოლოგიური მონიტორინგის ქმედითი სისტემა. რეგიონებში მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის გასაძლიერებლად შემუშავდება და განხორციელდება მცირე მეწარმეობის განვითარებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამაში უნდა აისახოს: მცირე მეწარმეობის განვითარებისა და საწარმოთა საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებები; სამეწარმეო საქმიანობაში საოციალურად დაუცველი ფენების ჩართვა; მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებები; კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება; სახელმწიფო ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული რესურსების, აგრეთვე, ტექნოლოგიების გამოყენების შეღავათიანი პირობების შექმნის წინადადებები; ინვესტიციების, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების წინადადებები.

საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობა განხორციელდება შემდეგი ფორმებით: არასაბანკო მცირე სესხები; ბანკების წინაშე თავდებობა; საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება; სუბვენცია (პრემიალური გრანტი); საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურება. ლიზინგი.

პროგრამებმა უნდა მოიცვან პრეფერენციები მცირე საწარმოებისათვის პროდუქციისა და საქონლის (მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის დროს.

Константин Хмаладзе
Директор Института экономического и регионального развития,
Профессор Грузинского Технического Университета

ОСНОВНЫЕ АКЦЕНТЫ ФОРМИРОВАНИЯ РЕГИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ ГРУЗИИ

Аннотация

В нашей стране задачей региональной политики является решение двух взаимосвязанных задач: первое, восстановление и реабилитация хозяйственной системы; второе, искорененые диспропорций между регионами и их сбалансированное развитие.

Согласно «Стратегии регионального развития Грузии на 2010-2017гг.», должен быть разработан закон о региональном развитии Грузии. Предпологается, что закон будет нацелен на решение специфических проблем высокогорных регионов, т.н. моногородов (промышленные центры) и регионов общесоюзной специализации. После расторжения традиционных производственно-экономических связей, эти регионы оказались в положении высокой степенью депресивности.

Необходимо, в законодательном порядке установыть содержание понятия- «высокогорный регион», «депресивный регион» и по отношению к ним осуществить социально-экономические меры по расселению и занятости населения, реабилитации инфраструктурных объектов и т. д. Действующий в настоящее время закон не предусматрывает решение проблем данных регионов.

По высокогорным депресивным регионам должны быть составлены программы социально-экономического развития. Программы включают: стимулированые инвестиционной деятельности и развитие производства; регулированые проблем занятости; развитие социальной инфраструктуры; охрана окружающей среды и сохраненые экологического равновесия; восстановление и реабилитация транспортной коммуникаций; обеспеченые стабильного енерго- и газоснабжения населения и хозяйств.

В программах целесообразно включить социальные льготы для высокогорных депресивных регионов. С целью ликвидаций результатов стихийных бедствий, целесообразно формыровать действенную систему геоэкологического мониторинга.

Для усиления государственной поддержки развития предпринимательства в регионах, будут разработаны и реализованы Целевые программы развития малого бизнеса. Программа будет включать: перспективные направления развития малого бизнеса и деятельности предприятий; Включение в предпренимательство социально незашищенных слоев населения; мероприятия по созданию инфраструктуры поддержки предпренимательства; организация подготовки, переподготовки и повышения квалификации кадров; предложения по созданию льготных условий использования государственных финансовых, материально-технических и информационных ресурсов, а также технологий; предложения по привлечению использованию инвестиций, в том числе иностранных инвестиций.

Финансовая поддержка предприятий будет осуществлена в следующих формах: небанковские малые кредиты; выдача гарантий; субсидированые процентной ставки банковских кредитов; субвенций (премиальные гранты); технологическое обслуживание-лизинг.

Программы будут включать преференций для малых предприятий при участии в государственных закупках продукции и товара (обслуживания).

Konstantine Khmaladze
Director of the Institute for Economic and Regional Development,
Professor at Technical University of Georgia

MAIN ASPECTS OF DESIGNING REGIONAL POLICY IN GEORGIA

Annotation

The regional policy in Georgia should address the two following interlinked objectives: First- rehabilitation of the real sector; second- decreasing disparities among regions and promoting balanced development. The obligation of the government is to develop the law on regional development. The law should define mountainous regions, mono-cities (industrial centres) and depressed regions.

It is important to define the concept of mountainous and depressed regions and design targeted policies related to employment, infrastructure rehabilitation and social-economic promotion. Current legislation does not provide enough bases for addressing these issues.

Social-economic programmes should be elaborated for mountainous and depressed regions. The state programmes should consider: stimulation of investment and entrepreneurship; targeting unemployment; development of social infrastructure; environmental protection; rehabilitation of transport infrastructure; providing business and households with energy on regular basis.

The social allowances for mountainous and depressed regions should be considered. Geo-ecologic monitoring system should be established in order to mitigate damage caused by natural disasters. The state should elaborate the programme for SME support. It is important to include socially vulnerable persons in entrepreneurship. Programmes for vocational education and training should be established. Measures that attract financial resources and foreign investment in technologies.

Supporting the private sector should be done through: nonbanking loans, bank guarantees, subsidising banks interest rates, subvention, leasing. Programmes should include preferential regimes while purchasing public goods and services

ფინანსები

შორენა კახიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება - PEFA და საქართველოს მაჩვენებლები

ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და ეკონომიკური განვითარების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო სექტორის ფინანსების ეფექტური სისტემის არსებობა, რადგანაც იგი უზრუნველყოფს საერთო საბიუჯეტო დისციპლინას, რესურსების სტრატეგიულ განაწილებას და მომსახურების ეფექტურად გაწევას.

სახელმწიფო ფინანსების ოპტიმიზაციისა და კონტროლის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი არის PEFA, როგორც ინდიკატორთა სისტემა, რომელიც მრავალმხრივი და საყურადღებოა. იგი ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფო ფინანსების რაციონალური მართვის პრობლემატიკას, იძლევა ქვეყნების შედარების საშუალებას, რაც პრაქტიკული, ანალოგიებზე დაფუძნებული მეთოდებით, ხარვეზებზე წარმატებული მუშაობის საწინდარია.

PEFA (Public Expenditure and Financial Accountability) ეს არის სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის მიერ ერთობლივად შემუშავებულ, ყველაზე ცნობილ და ფართოდ აპრობირებულ სტანდარტს წარმოადგენს.

PEFA ჩამოყალიბდა 2001 წელს, 7 სააგენტოს მიერ ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD-DAC) საჯარო ფინანსების მართვის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ხელშეწყობით ეფექტიანობას უზრუნველყოფს. მის ფარგლებში 2005 წელს შემუშავებულ იქნა შეფასების თავდაპირველი სრული ვარიანტი, ხოლო განახლებული ვარიანტი კი შემუშავებულ იქნა 2011 წლის იანვარში.

PEFA-ს მიზნებია - საჯარო ფინანსების მართვის სისტემების ჩამოყალიბების დროს შედეგებზე ორიენტირება; საჯარო ფინანსების მართვის ანალიტიკური სამუშაოების ჰარმონიზაცია; განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა ქვეყანას იმის საშუალება, რომ მიიღოს სამი ძირითადი საბიუჯეტო შედეგი - საერთო ფისკალური დისციპლინა; რესურსების სტრატეგიული განაწილება; მომსახურების ეფექტიანი გაწევა;

PEFA წარმოადგენს მარგი ქმედების შეფასების 28 მაჩვენებლის (ინდიკატორის) სისტემას. ინდიკატორები დაფუძნებულნი არიან დიდი ვალის მქონე ქვეყნების (HIPC) ხარჯების საკონტროლო მაჩვენებლებზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ კოდექსსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებზე. იგი ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში და დანერგილია 120 ქვეყანაში. ინდიკატორები იძლევიან საშუალებას შეფასდეს სახელმწიფო სექტორის მართვის სისტემის ეფექტურობა, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები და ღონისძიებები.

სახელმწიფო სექტორის ხარჯების სტრუქტურის შეფასებისას გამოყენებული 28 ძირითადი ეფექტურობის ინდიკატორიდან, თითოეული მაჩვენებელი სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის ცალკეული მნიშვნელოვანი ელემენტის ეფექტურობას აფასებს ოთხ ბალიანი სისტემით "A" დან "D" მდე, აღნიშნული ელემენტის ეფექტიანობის კლებადობის შესაბამისად.

საერთო მაჩვენებლების ძირითადი ნაწილი მოიცავს სახელმწიფო სექტორის მართვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფო ფინანსების გააზრებული მართვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ინსტრუმენტის ხშირი გამოყენება საშუალებას იძლევა განისაზღვროს იზრდება თუ არა სახელმწიფო სექტორის მართვის ეფექტურობა, და თუ იზრდება როგორი კუთხით, აგრეთვე საერთო მაჩვენებლები აფასებენ რეფორმების განხორციელების ტემპებს. სახელმწიფო სექტორის მართვის ეფექტურობის მაჩვენებლები ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვაში როგორც ცენტრალური მთავრობის დონეზე, ასევე იმ დაწესებულებების დონეზე, რომლებიც საქმიანობის შესაბამის სფეროში მონიტორინგს ახორციელებენ, რადგან ცენტრალური მთავრობა შედგება სახელმწიფო დაწესებულებების ერთიანი ინსტიტუციონალური ღერძისაგან.

ინდიკატორები შემდეგ 6 ბლოკში არიან გაერთიანებულნი:

1.ბიუჯეტის სანდოობა – ბიუჯეტი უნდა იყოს სანდო, რეალური და უნდა სრულდებოდეს დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

2.ყოვლისმომცველობა და გამჭვირვალობა – ხდება ბიუჯეტების და ფინანსური რისკების ყოველმხრივი მონიტორინგი, ფინანსური და საბიუჯეტო ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია;

3.სტრატეგიულ პრიორიტეტებზე დაფუძნებული ბიუჯეტირება - ბიუჯეტის შედგენა სახელმწიფო პოლიტიკის შეხედულებების შესაბამისად;

4. პროგნოზირება და კონტროლი - ბიუჯეტი სრულდება თანმიმდევრულად და არის პროგნოზირებადი (განჭვრეტადი) და არსებობენ მექანიზმები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოხდეს სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და მართვის კონტროლი;

5. აღრიცხვა და ანგარიშგება – სააღრიცხვო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შესაბამისი შედგენა, შენახვა და გავრცელება, რომლებიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად, კონტროლის, მართვისა და ანგარიშგების განხორციელება;

6. გარე ანალიზი და აუდიტი – აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოიყენება სახელმწიფო ფინანსების გამოყენებისა და გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის მექანიზმები.

სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებლების შეფასების შედეგების შეჯამება და წარმოდგენა ხდება შესაბამის ანგარიშში, რომელიც აფასებს ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრუქტურას, მის ცალკეულ ელემენტებს და წარმოადგენს სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის სტანდარტული შეფასების მოკლე გადმოცემას.

სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული შეფასების ინდიკატორები წარმოადგენენ კომპლექსური ანალიზის ინსტრუმენტს, რომლის გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსების და ზოგადად სახელმწიფო სექტორის გამართულად და ეფექტურად მუშაობას, ამ სფეროში მოწინავე რეფორმების გატარებას და სისუსტეების აღმოფხვრას. რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ბოლო შეფასება განხორციელდა 2012 წელს, რაც PEFA-2012 სახელწოდებით არის ცნობილი.

PEFA-2012 წლის შეფასების მიზანი იყო სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის გადახედვა, 2008 წელს ჩატარებული სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების პირველი შეფასების შემდგომ მიღწეული პროგრესის გაზომვა, არსებული სისუსტეების გამოვლენა და მთავრობის სამომავლო რეფორმებისათვის ინფორმაციის მომზადება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ PEFA-2012 მიხედვით, ძირითადი მაჩვენებლები 2008 წელთან შე-

დარებით გაუმჯობესებულია. მაგრამ არის ცალკეული საკითხები, რომლებიც შემდგომ მუშაობას და დახვეწას საჭიროებენ.

A. სახელმწიფო ფინანსების მართვის შედეგები: ბიუჯეტის სანდოობა		2012წ.	2008 წ.
PI-1	ხარჯების (მიმდინარე და კაპიტალური) აგრეგირებული მაჩვენებლების შესრულება	A	D
PI-2	ხარჯების შესრულების მაჩვენებლები ხარჯების თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, სტრუქტურის მიხედვით	B+	C
PI-3	შემოსავლების აგრეგირებული მაჩვენებლები თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში	B	A
PI-4	დავალიანებების მთლიანი მოცულობა და მონიტორინგი	A	B+
B. ძირითადი გადამკვეთი საკითხები: ყოვლისმომცველობა და გამჭვირვალობა		2012 წ.	2008 წ.
PI-5	საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	B
PI-6	საბიუჯეტო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის ყოვლისმომცველობა	A	A
PI-7	აღურიცხავი სამთავრობო ოპერაციების მოცულობა	A	B+
PI-8	მთავრობის შიგნით მთავრობის შიგნით ფისკალური ურთიერთობების გამჭვირვალობაფისკალური ურთიერთობების გამჭვირვალობა	A	B
PI-9	საჯარო სექტორის სხვა უწყებების მიერ წარმოქმნილი რისკების ზედამხედველობა	C+	C+
PI-10	ძირითად ფისკალურ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა	A	B
C. საბიუჯეტო პროცესი		2012 წ.	2008 წ.
C(i) სტრატეგიულ პრიორიტეტებზე დაფუძნებული ბიუჯეტირება			
PI-11	საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის თანმიმდევრულობა	A	A
PI-12	მრავალწლიან პერსპექტივაში ფისკალური დაგეგმვა, ხარჯების პოლიტიკა და ბიუჯეტირება	B+	C+
C(ii) ბიუჯეტის აღსრულების პროგნოზირება და კონტროლი			
PI-13	გადასახადის გადამხდელთა მოვალეობებისა და ვალდებულებების გამჭვირვალობა	A	C+
PI-14	გადამხდელად დარეგისტრირების და გადასახადების შეფასების ეფექტურობა	A	B
PI-15	გადასახადების აკრეფის ეფექტურობა	D+	D+
PI-16	გადახდაზე ვალდებულების აღებისთვის რესურსების არსებობის პროგნოზირება	A	B+
PI-17	საკასო ბალანსების, ვალისა და გარანტიების აღრიცხვა და მართვა	A	B+
PI-18	საშტატო ნუსხების საშტატო ნუსხების კონტროლის ეფექტურობა	D+	NA
PI-19	გამჭვირვალობა, ფულის სანაცვლოდ მიღებული პროდუქციის/მომსახურების ხარისხი და კონტროლი შესყიდვებთან დაკავშირებით	A	D+
PI-20	შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობა არასახელფასო ხარჯებთან მიმართებაში	A	C+
PI-21	შიდა აუდიტის ეფექტურობა	C+	D+
C(iii) აღრიცხვადა ანგარიშგება			
PI-22	ურთიერთშეთანხმების დროულობა და რეგულარულობა	B+	A

PI-23	პირველადი მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	B	D
PI-24	წლის განმავლობაში ანგარიშების წარმოების რეგულარულობა და ხარისხი	A	B+
PI-25	ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის წარმოების ხარისხი და პერიოდულობა	C+	D+
C(iv) გარე ანალიზი და აუდიტი			
PI-26	გარე აუდიტის მასშტაბი, ხასიათი და შემდგომი რეაგირება	B+	D+
PI-27	წლიური ბიუჯეტის განხილვა საკანონმდებლო დონეზე	A	B+
PI-28	გარე აუდიტის ანგარიშების განხილვა საკანონმდებლო დონეზე	D+	C+
D. დონორებთან ურთიერთობა		2012 წ.	2008 წ.
D-1	პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების პროგნოზირებადობა	C+	C+
D-2	დონორების მხრიდან პროექტებისა და პროგრამული დახმარების შესახებ მოწოდებული ფინანსური ინფორმაცია ბიუჯეტირებისა და ანგარიშგებისთვის	C	C
D-3	დახმარების წილი, რომლის მართვაც ხდება ეროვნული პროცედურებით	D	D

ბიუჯეტის სანდოობა - ბიუჯეტის სანდოობის შეფასების ოთხი მაჩვენებლიდან სამი გაუმჯობესდა და ერთი გაუარესდა (A-დან B-მდე) სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) მეთოდოლოგიაში ცვლილებების გამო, კერძოდ, PEFA-ს მეთოდოლოგია გადახედილ იქნა 2011 წლის იანვარში (ზედა ნორმის/ზღვარის შემოღება). იმავე მეთოდოლოგიის შენარჩუნების შემთხვევაში, როგორიც ეს 2008 წელს იყო, ქულა იგივე დარჩებოდა.

სახაზინო, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების განვითარების კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა უზრუნველყო მძლავრი ინსტრუმენტები აგრეგირებული ფისკალური პოზიციების სამართავად. საბიუჯეტო ვალდებულებების აღრიცხვის გაუმჯობესებამ, ასევე ფისკალური კრიზისის შემდგომ რიგი სისტემების შემუშავებამ ხელი შეუწყო ფისკალური დისციპლინის გაუმჯობესებას. ფაქტიური შემოსავლების მაჩვენებელი 2011 წელს გაუმჯობესდა 123.5%, 2006 წელს 111.5%-მდე. დავალიანებების მოცულობა შენარჩუნდა არსებული მთლიანი ხარჯების 2%-ს ქვემოთ.

ყოვლისმომცველობა და გამჭვირვალობა - ექვსი მაჩვენებლიდან ოთხი გაუმჯობესდა, ხოლო ორს ცვლილება არ განუცდია 2008 წლის პირველი შეფასების მომენტიდან.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველომ კვლავ მაღალი შეფასება მიიღო წლიური ბიუჯეტის დოკუმენტაციის ყოვლისმომცველობასთან დაკავშირებით. აღურიცხავი დანახარჯების მოცულობა უმნიშვნელოდ შეფასდა. წინსვლა აღინიშნა მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობების გამჭვირვალობის კუთხით. კვლავ გამოწვევად იქნა შეფასებული ცენტრალური მთავრობის მიერ სახელმწიფო საწარმოების მონიტორინგის საკითხი. ძირითად ფისკალურ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულად იქნა მიჩნეული.

სტრატეგიულ პრიორიტეტებზე დაფუძნებული ბიუჯეტირება – საქართველოს კვლავ უმაღლესი ქულა მიენიჭა საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგებულობასა და ამ პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით. გაუმჯობესდა მაჩ-

ვენებელი, რომელიც აფასებს ბიუჯეტირებაში სტრატეგიულ მრავალწლიან პერსპექტივის არსებობას და მის კავშირს სტრატეგიულ პერსპექტივასთან.

სახელმწიფო პოლიტიკაზე ორიენტირებული ბიუჯეტისა და დაგეგმვის პროცესის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნა, მიმდინარეობს მუშაობა მისი კიდევ უფრო დახვეწის მიმართულებით.

ბიუჯეტის აღსრულების პროგნოზირება და კონტროლი - ცხრა შესაბამისი მაჩვენებელიდან რვა გაუმჯობესდა, რაც სახელმწიფო ფინანსების მართვის ამ ნაწილში დანერგილ დადებით ცვლილებებს ასახავს.

შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესდა. გაუმჯობესებულმა სახაზინო მომსახურებამ და შესყიდვების რეფორმამ ხელი შეუწყო ხარჯვითი ნაწილის საოპერაციო ეფექტიანობის ზრდას. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული შიდა კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით.

აღრიცხვა და ანგარიშგება - გაუმჯობესება აღინიშნა ოთხი მაჩვენებლიდან სამში, ხოლო ერთი მაჩვენებელი გაუარესდა.

სახაზინო ანგარიშების შედარება გაუმჯობესდა - 2010 წელს რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემის შემოღების (RTGS) შედეგად, რამაც უზრუნველყო საბანკო მონაცემების სანდო და მუდმივი გაცვლა. მიუხედავად ამისა, ამ მაჩვენებლის რეიტინგი გაუარესდა იმის გამო, რომ წინა, 2008 წლის შეფასების დროს ეს განზომილება არასწორად იქნა შეფასებული, რადგან არ იქნა გათვალისწინებული დრო, რომელიც ესაჭიროებოდა არასახაზინო საბანკო ანგარიშების შედარებას (იგულისხმება მაგალითად, სსიპ-ების მიერ მართული ანგარიშები).

საჯარო სკოლების, პირველადი მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ხდებოდა რეგულარულ ანგარიშებში. გაუმჯობესდა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ანგარიშების არეალი ინფორმატიულობისა და საბიუჯეტო გათვლებთან შესაბამისობის კუთხით, ასევე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების ხარისხი და დროულობა.

გარე ანალიზი და აუდიტი - გაუმჯობესდა შესაბამისი სამი მაჩვენებლიდან ორი, მაგრამ გაუარესდა ის მაჩვენებელი, რომლითაც მოხდა საკანონმდებლო ორგანოს სრულფასოვნების შეფასება ბიუჯეტის აღსრულების მეთვალყურეობასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი პროგრესი იყო შემჩნეული გარე აუდიტის მასშტაბისა და ხასიათის თვალსაზრისით.

მიჩნეულ იქნა, რომ საკანონმდებლო მეთვალყურეობა კვლავ კარგად ხორციელდებოდა წლიური ბიუჯეტის ფორმულირებასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო გაძლიერდა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებებთან მიმართებაში.

გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო მეთვალყურეობა კი შეფასების მიხედვით ბოლო წლების განმავლობაში შესუსტებული იყო. თუკი ბიუჯეტის აღსრულების შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნის დროული შემოწმება კვლავ კარგად ხორციელდებოდა, საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე აუდიტის დასკვნებზე მოსმენები საჭიროების მიხედვით ტარდებოდა, თუმცა არ არსებობდა არანაირი ოქმი, რომელიც დაასაბუთებდა მოსმენის თემის არეალსა და მის მონაწილეებს. არ არსებობდა ხელშესახები დასტური იმისა, რომ კანონმდებელმა გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, ეკონტროლებინა ბიუჯეტის ხარჯვის ლეგიტიმურობა. ანგარიშის მიხედვით, პარლამენტს არ გაუცია არანაირი რეკომენდაცია აუდიტის უკანასკნელ ანგარიშზე. აუდიტის შედეგების შესახებ პარლამენტის მიერ ფორმალური პასუხის ნაკლებობამ

რეკომენდაციების გაცემის გზით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა შეფასების საერთო შედეგებზე. (PI-28)

დონორებთან ურთიერთობის პრაქტიკა - ყველა მაჩვენებელი, რომელიც დონორებთან ურთიერთობას აფასებდა, უცვლელი დარჩა.

დონორებმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწიეს საქართველოს იმ პერიოდში, რომელიც PEFA-2012 დოკუმენტმა შეაფასა. პროექტებისა და პროგრამების ფინანსურმა დახმარებამ დონორების მიერ საერთო დაფინანსების დაახლოებით 56 პროცენტი შეადგინა. დახმარების ფონდების 50 პროცენტზე ნაკლების მართვა ხდებოდა ეროვნული პროცედურების მიხედვით.

სახელმწიფო ფინანსების მართვის ძლიერ და სუსტ მხარეებს პირდაპირი ზეგავლენა აქვს როგორც საერთო ფისკალურ დისციპლინაზე, აგრეთვე რესურსების სტრატეგიულ განთავსებასა და ეფექტიანი მომსახურების მიწოდებაზე. საქართველომ წარმატებას მიაღწია საერთო ფისკალური დისციპლინის მხრივ 2008 წლის PEFA შეფასების შემდგომ და მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა საბიუჯეტო და ფინანსური მართვის სისტემების თვალსაზრისით. ამავდროულად, პოტენციური ფისკალური რისკები სსიპ-ებიდან კვლავ სერიოზულ საკითხად დარჩა. მთავრობამ წამოიწყო გარკვეული ქმედებები ამ საკითხის მოსაგვარებლად სსიპ-ების ფისკალურ ანგარიშებში შეყვანის გზით. დაინერგა სახელმწიფო ფინანსური მართვის ინტეგრირებული სისტემა (მათ შორის სახაზინო ოპერაციების, მხარჯველი დაწესებულებების, ბიუჯეტის მომზადების, სახელფასო და საგარეო/საშინაო ვალის მართვის მოდულები). მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნა სახელმწიფო საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით, ბიუჯეტის მომზადების, ადექვატური ანგარიშთა გეგმის, სანდო შესრულების (აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების ჩათვლით) და შესაბამისი კონტროლის ჩათვლით. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული პროგრამული ბიუჯეტირების ნაწილში, რათა განხორციელებულიყო მთავრობის ამოცანა ფისკალური დაგეგმვა ყოფილიყო შედეგებზე უფრო მეტად ორიენტირებული. რესურსების სტრატეგიულ განაწილებასთან დაკავშირებით საქართველომ დაიწყო გარკვეული პროგრესის მიღწევა კაპიტალური ინვესტიციების ბიუჯეტირებაში. სახელმწიფო შესყიდვების საკანონდებლო ჩარჩო შეიცვალა, 2011 წელს შემოღებულ იქნა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა (E-GP), მოხდა ხაზინის საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირება, რამაც უზრუნველყო სრული ინფორმაციის გაზიარება. ყველა ზემოთქმული რეფორმა განხორციელდა იმ სისუსტეების აღმოსაფხვრელად, რომელიც 2008 წლის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანგარიშში იყო ასახული.

PEFA წარმოადგენს ინტეგრირებული მონიტორინგის ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების მართვის ეფექტურობა დროის პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთში. აღნიშნული შეფასების სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები ხელს უწყობენ სახელმწიფო რეფორმების გატარებას, რადგანაც მისგან მიღებული ინფორმაცია უჩვენებს თუ რამდენად ეხმარება აღნიშნული რეფორმა ქვეყანას და შესაბამის სახელმწიფო ქვედანაყოფს ეფექტურობის ამაღლებაში, იგი აგრეთვე ახდენს რეფორმის შედეგების მონიტორინგს და სასარგებლო დასკვნების გამოტანას. ამავე დროს, აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ქვეყნის მთავრობისა და დონორების დიალოგის ჰარმონიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.pefa.org
2. Georgia - Public Expenditure and Financial Accountability (PEFA) Assessment 2012
3. Georgia - Public Expenditure and Financial Accountability (PEFA) Assessment 2008
4. Public Financial Management Performance Measurement Framework 2011

შორენა კახიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება - და საქართველოს მაჩვენებლები

ანოტაცია

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ყველაზე ცნობილ და ფართოდ აპრობირებულ სტანდარტს წარმოადგენს მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის მიერ ერთობლივად შემუშავებული PEFA-s (Public Expenditure and Financial Accountability) - სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების სახელმძღვანელო. PEFA, როგორც ინდიკატორთა სისტემა, მრავალმხრივი და საყურადღებოა. აღნიშნული ინსტრუმენტის ხშირი გამოყენება საშუალებას იძლევა განისაზღვროს იზრდება თუ არა სახელმწიფო სექტორის მართვის ეფექტურობა და თუ იზრდება, როგორი კუთხით, აგრეთვე საერთო მაჩვენებლები აფასებენ რეფორმების განხორციელების ტემპებს.

რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ბოლო შეფასება განხორციელდა 2012 წელს, რაც PEFA-2012 სახელწოდებით არის ცნობილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ PEFA-2012 მიხედვით, ძირითადი მაჩვენებლები 2008 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. მაგრამ არის ცალკეული საკითხები რომლებიც შემდგომ მუშაობას და დახვეწას საჭიროებენ. მათ შორის მნიშვნელოვანია გარე აუდიტის ანგარიშების განხილვის საკითხი საკანონმდებლო დონეზე, რაზედაც მუშაობა ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ზედამხედველობის გაძლიერებას.

Шорена Кахидзе
Доктор бизнес-администрирования,
ассоциированный профессор

ОЦЕНКА ГОСУДАРСТВЕННЫХ РАСХОДОВ И ФИНАНСОВОЙ ПОДОТЧЕТНОСТИ - PEFA И ПОКАЗАТЕЛИ ГРУЗИИ

Аннотация

Самым известным и широко апробированным стандартом государственных расходов и финансовой подотчетности является руководство оценки государственных расходов и финансовой подотчетности - PEFA (Public Expenditure and

Financial Accountability), разработанное Всемирным Банком совместно с Еврокомиссией. PEFA, как система индикаторов, является многосторонней и важной. Частое использование указанного инструмента позволяет определить растет или нет эффективность управления государственного сектора и если растет, то в каком направлении, также общие показатели оценивают темпы осуществления реформ.

Что касается Грузии, то последняя оценка государственных расходов и финансовой подотчетности была осуществлена в 2012 года и известна под названием PEFA - 2012. Важно отметить, что согласно PEFA-2012, основные показатели улучшены по сравнению с 2008 годом. Но есть отдельные вопросы, нуждающиеся в дальнейшей работе и усовершенствовании. В том числе важен вопрос рассмотрения отчетов внешнего аудита на законодательном уровне, и в последний период активно идет работа по этому вопросу, что со своей стороны будет содействовать усилению бюджетного надзора.

Shorena Kakhidze
PhD, Assistant Professor

ASSESSMENT OF PUBLIC EXPENDITURE AND FINANCIAL ACCOUNTABILITY (PEFA) AND GEORGIAN INDEX

Annotation

PEFA handbook is the most prevalent and well-known standard for the Public expenditure and financial accountability jointly created by the World Bank and the European Commission. PEFA is a versatile set of indicators and requires significant attention. Frequent utilization of this particular tool enables us to determine whether the management efficiency of a state sector is increasing and if it does, then what are the trends identified. Besides, the tool allows us to evaluate reform rates.

In regard to Georgia's case, the last evalaution of the public expenditure and financial accountability was conducted in 2012, known as PEFA-2012. It is noteworthy that according to PEFA-2012, the main indexes comparing to the year of 2008 are increased. However, there are some isisues that require further elaboration and imporvement. Among them is the issue of the discussion of the external autid reports on a legislative level. The work on this subject has been already initiated and is in the process. This, in its turn, will strenghten budgtet transperancy and supervision mechanisms.

ეკონომიკური თეორია

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ზოგიერთი ტერმინის ფორმირების საკითხისათვის საქართველოში

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ეკონომიკური ტერმინოლოგიის ამოცანად ზუსტ მეცნიერულ ცნებათა გამოსახატავად შემოღებულ ტერმინთა უნიფიკაციას მიიჩნევდა. ის თვლიდა, რომ დადგენილ ტერმინთა შინაარსი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს საგნისა თუ მოვლენის არსს [1, გვ. 50], რომ ტერმინი მოცემულ დარგში ყოველთვის ნიშნავდეს გარკვეული, მტკიცედ განსაზღვრული აზრის გამომხატველ სიტყვას [1, გვ. 65].

ტერმინების ფორმირების პროცესის მეთოდოლოგიის შესახებ პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა, რომ აზროვნების მთელი სირთულე ტერმინებსა და ცნებების სისტემურ გააზრებაშია მოცემული, თანაც ისე, რომ აზრის გადმოცემა ერთი წინადადებით ადვილად ხერხდებოდეს. უფრო ზუსტად, ეს ნიშნავს იმას, რომ ტერმინმა მეცნიერს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცეს.

სხვა შემთხვევაში, თუ ამას რამდენიმე წინადადება დასჭირდა, იგი მხოლოდ მრავალსიტყვაობა იქნება, თანაც მოსალოდნელია ახალი ტერმინების გამოყენებით ძირთადი აზრის გადმოცემა გართულდეს და შინაარსი საერთოდ გაუგებარი გახდეს. მით უფრო ახლა, როცა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში მრავალი უცხოური სიტყვა შემოვიდა და ახალი შინაარსიც შეიძინა, განსაკუთრებით მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

განათლებული მკითხველისთვისაც ისიც ცხადია, რომ ტერმინები, მათ შორის მეცნიერული ტერმინებიც, იმ პროცესს უნდა ასახავდეს ან უკიდურეს შემთხვევაში მაქსიმალურად უახლოვდებოდეს, რა შინაარსითაც იგი ყოველდღიურად პრაქტიკაში არის გამოყენებული და არა მარტო ეკონომიკაში, არამედ სხვა დარგებშიც.

გამოთვლით ტექნიკაში, ელექტრონიკაში, დაპროგრამებასა და ინფორმატიკაში ინგლისურ-ქართული და რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონების ერთ-ერთი ავტორი რევაზ ბერულავა იხსენებდა, რომ ბ-ნი პ. გუგუშვილის აზრით, მეცნიერება გარკვეულ ცნებათა გარეშე არ არსებობს, ცნებათა არსი კი ტერმინებშია წარმოდგენილი [2, გვ. 174].

ბ-ნი რევაზ ბერულავა, ბ-ნ პაატა გუგუშვილის მიერ შემოტანილ და დანერგილ ტერმინებს შორის გამოყოფდა ტერმინს „მწარმოებლურობა", რომელიც მან ეკონომიკაში დანერგა შრომის ნაყოფიერების ნაცვლად.

დღევანდელი თვალთახედვით (ჩვენი აზრით), განსაკუთრებით ყურადღებას ისეთი ტერმინები საჭიროებენ, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ისეთი ტერმინები, როგორიცაა, მაგალითად, **„დროის ეკონომიკური გამოყენება"**. რამდენადაც დრო ჩვენს გარეშე არსებობს, ხოლო ადამიანს მასზე უშუალო ზემოქმედება არ შეუძლია, ამიტომ დროის გარკვეულ პერიოდში შეძლებისდაგვარად (მაქსიმალურად) ბევრი უნდა მოვასწროთ, რაც იქნება დროის ეკონომიკური გამოყენება – აღნიშნავდა პროფ. გიორგი პაპავა [3, გვ. 13-23; გვ. 310].

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ პროფ. გიორგი პაპავამ ახლებური შინაარსი მისცა და დააკონკრეტა ტერმინები „დაკვალიანება", „ეკონომიკური რისკი", გადატანითი მნიშვნელობით შემოიყვანა ტერმინი „მოკლე ჩართვა" და ა.შ. მათგან გამოვყოფთ ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებულ ტერმინს „ეკონომი-

კური რისკი". იგი დასახული სამუშაოს შესრულებიდან მოსალოდნელი გადახრის ალბათობაა, როდესაც ზარალის სიდიდის პრაქტიკულად დასაშვები საორიენტაციო „ნორმა" შესასრულებლად მინიშნებულ სამუშაოს 5%-ის ფარგლებშია [4, გვ. 140].

საქართველოში ეკონომიკური რისკის დაფუძნებასთან დაკავშირებით პროფ. გიორგი პაპავას შეხედულებიდან გამომდინარე, სტატიაში [4, გვ. 155-158] მოცემულ განმარტებასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ეკონომიკური რისკი სანუკვარი, საკმაოდ მიმზიდველი შედეგის მიღების იმედთან ერთად, მოსალოდნელი ხიფათის ალბათობაა (სადაც იგულისხმება, რომ გარკვეული შეზღუდვების დაცვასთან ერთად წინა პლანზე რისკის მიმზიდველობაა წამოწეული).

ქვემოთ მოგვყავს ეკონომიკაში დამკვიდრებული მათემატიკური ტერმინების „ოპტიმუმი", „ოპტიმალურობა", „ოპტიმიზაცია" – განმარტებები, რომელთა შინაარსობრივი მხარე სათანადოდ არაა გათვალისწინებული ეკონომიკურ მეცნიერებაში და ნაცვლად ტერმინისა „საუკეთესო", იხმარება ტერმინები „ოპტიმალური" და მისი ცალკეული ვარიანტები „ოპტიმუმი", „ოპტიმიზაცია".

ოპტიმუმი – მოცემულ სიმრავლეზე განსაზღვრულ (მაგალითად ფუნქციის) ყველა მნიშვნელობაზე უკეთესია (ოპტიმალური ნიშნავს მაქსიმალურს ან მინიმალურს).

ოპტიმალურობა – ოპტიმუმს აფიქსირებს და ზოგჯერ ისინი ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება.

ოპტიმიზაცია – ოპტიმალური ვარიანტის ძებნაზე მიანიშნებს, იგი ოპტიმალური ვარიანტის ძებნის პროცესია [5, გვ. 74].

მათემატიკაში ოპტიმუმს საზოგადოდ მოცემულ უსასრულო სიმრავლეზე ეძებენ და მოსალოდნელია იგი არ ემთხვეოდეს ეკონომიკის რეალურ ოპტიმუმს.

ეკონომიკაში ტერმინი „ოპტიმალური" შესაბამისი მათემატიკური ტერმინის ანალოგიურად აღიქმება. იგი დაკონკრეტებულია სასრულ სიმრავლეზე და ამითაც განსხვავდება მათემატიკაში დამკვიდრებული ტერმინისაგან (ოპტიმუმისა და ოპტიმალურისაგან). ეს ტერმინები მსგავსი შინაარსით ეკონომიკაში მხოლოდ სიმბოლურად და ზოგადი მსჯელობით შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუმცა რთულ შემთხვევებში მაგალითად, საქმიან თამაშებში [6, გვ. 85] მათი გამოყენებისას შეცდომა გამორიცხული არ არის და გაუგებრობასაც ექნება ადგილი.

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა ძირითადად მიმართულია ტერმინების ფორმირების მეთოდოლოგიის არსის დასაზუსტებლად იმისათვის, რომ რთულ შემთხვევებშიც ტერმინმა მეცნიერს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცეს. ამასთან დაკავშირებით, განვიხილავთ ტერმინს **მეცნიერ კადრი**, რაც ნიშნავს მეცნიერებაში მოღვაწე დამსახურებული სახელის მქონე შემოქმედ მეცნიერს, მიუხედავად იმისა, იგი თავისი „პროფილით" მუშაობს თუ არა (შეიძლება უმუშევარი ან პენსიონერიც იყოს).

დღეს რეალობაა ის, რომ ნაცვლად ტერმინისა მეცნიერ კადრი სარგებლობენ ტერმინებით „მეცნიერებაში დასაქმებული" ან „მეცნიერ თანამშრომელი", რაც, ჩვენი აზრით შესაცვლელია ტერმინით „მეცნიერ კადრი" (ან „მეცნიერ-კადრი) [7, გვ. 250].

როგორც ტერმინებს შევეხოთ „პრივატიზაციასა" და „პრივატიზებას". **პრივატიზაცია** – სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნაა პერსონიფიცირებულ კერძო საკუთრებად [8, გვ. 270].ამას პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, უნდა ახლდეს პრივატიზებისა და აგრესიული პრივატიზების განმარტებებიც და სასურველია ჩართულ იქნეს ქართულ ეკონომიკურ ლექსიკონებში.

პრივატიზება და მისი დინამიკური გაგრძელება პრივატიზაცია გამოიყენება ენობრივ ბრუნვაშიც, მაგალითად, ისე როგორც იყენებს მას აკად. ვ. პაპავა [9, გვ. 176] მსჯელობებში [9, გვ. 167-176], ხოლო ტერმინს „პრივატიზებას" იშვიათად ხმარობს [9, გვ. 176].

სტატიაში [10, გვ. 210-222] მიჩნეულია, რომ პრივატიზაცია პრივატიზების გაგრძელებული ფორმაა.

მოსახლეობის საშუალო ფენის განმარტება საკმაოდ რთულია. მასზე წარმოდგენის შესაქმნელად ამოსავალია მოსახლეობის ფენებად დაყოფა, ასევე სიმდიდრე ან შემოსავალი. იგი ზუსტდება განათლებისა და კულტურის დონეებით, მოსახლეობაში საშუალო ფენის პროცენტული შემადგენლობით და ა.შ.

მოსახლეობის საშუალო ფენაში ვგულისხმობთ ცხოვრების საშუალო დონეზე შესანარჩუნებლად „მოღვაწე" ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც უმუშევრები არ არიან, აქვთ საშუალო შემოსავალი, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე და საარსებო საშუალებები [11, გვ. 53].

საშუალო ფენაში მოხვედრილ ადამიანთა უმრავლესობა გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის უნარით, განათლების მაღალი დონით, პატრიოტიზმით, შრომითი საქმიანობის გააქტიურებისაკენ მისწრაფებით [11, გვ. 54].

სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობის დასადგენად გამოყენებული ზოგადი კრიტერიუმი პრინციპში ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ გააჩნია თავისებურებები, მაგალითად, ის ვინც ერთ ქვეყანაში მდიდრად ითვლება სხვა ქვეყანაში შეიძლება ღარიბად იქნეს მიჩნეული ან პირიქით.

განვითარებულ ქვეყნებში „მუდამ მშფოთვარე" [12, გვ. 563] მოსახლეობის საშუალო ფენაზე მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60-75% მოდის.

პოსტსაბჭოთა საქართველოში იგი 15-25%-მდე ვარირებით შეიძლება დახასიათდეს. აკადმეიკოსი პაატა გუგუშვილი გვირჩევდა, რომ აუცილებელია ტერმინების ოპტიმიზაცია (რათა მრავალსიტყვაობა შეძლებისდაგვარად დავხვეწოთ და დავიყვანოთ ერთ სიტყვაში).

საკითხის ასეთი დასმის აუცილებლობას ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ მისი ახალი სიტყვის ტერმინად შემოყვანა შეიძლება ვერ მოვახერხოთ, ხოლო უფრო რთული აღმოჩნდეს მისი ჩართვა ლექსიკონებში, რაც მომავალში შეიძლება დაზუსტდეს და დაყვანილ იქნეს მინიმალური რაოდენობის სიტყვებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. გუგუშვილი. ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1952.
2. რ. ბერულავა. ღვაწლის ერთი ასპექტი (პაატა გუგუშვილი და ტექნიკურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია). პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2006.
3. გ. პაპავა. შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებების შეცნობის მეთოდოლოგია და პარალოგიზმი. სტოკჰოლმი, 2009, რუსულ ენაზე.
4. რ. სარჩიმელია. რისკი და მისი განმარტების თავისებურებები. პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია. ტომი 2, თბილისი, 2012.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი, 1986.

6. მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი გ. კასრაძის, გ. ტყეშელაშვილის, ი. ბურდულის რედაქციით. თბილისი, „მეცნიერება", 1986.
7. რ. სარჩიმელია. მეცნიერების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუგშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IV. თბილისი, 2011.
8. რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბილისი, „სიახლე", 2010.
9. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
10. პრივატიზება და სიღარიბის დაძლევის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბილისი, 2010.
11. რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე. მოსახლეობის ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებისათვის საქართველოში. ჟურნ. „ეკონომისტი", 2009.
12. გ. მენქიუ. ეკონომიის პრინციპები. „დიოგენე", 2000. თარგმანი ინგლისურიდან.

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზოგიერთი ტერმინის ფორმირების საკითხისათვის საქართველოში

ანოტაცია

მოცემულია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შეხედულება ტერმინების ფორმირების მეთოდოლოგიაზე.

დახასიათებულია ზოგიერთი ისეთი ეკონომიკური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

Роланд Сарчимелия
Доктор экономических наук, профессор

К ВОПРОСУ ФОРМИРОВАНИЯ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ В ГРУЗИИ

Аннотация

Дано соображение академика Пааты Гугушвили о методологии формирования терминов.

Характеризованы некоторые такие термины, которые используются в ежедневной практике.

Roland Sarchimelia
Doctor of economic sciences, professor

ON THE PROBLEM OF FORMATION OF SOME TERMS IN GEORGIA

Annotation

The article deals with the view point of Academician Paata Gugushvili on me thodology of formation of terms.

Are characterized some terms which are used in everyday practice.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

ვლადიმერ წვერავა
ასოცირებული პროფესორი,
მიხეილ ირემაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
იზოლდა ადეიშვილი
პროფესორი
ქეთევან ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი,
დავით ნარიმანაშვილი
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
კახაბერ კახიძე
ეკონომისტი,
ვალერიანე კვარაცხელია
მაგისტრანტი

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ეკონომიკა სახელმწიფოს საფუძველი და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაა. ნებისმიერი პროგრესული სახელმწიფოს მთავარი მიზანიც მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. თუმცაღა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახლანდელ მძიმე მდგომარეობას რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებს. რეფორმების პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტემპების შემცირების გამომწვევი ფაქტორები მრავალნაირია. ამიტომ მათი მეცნიერული ანალიზი და კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიებაც მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, როგორც ***<u>აგრარულმა ქვეყანამ,</u>*** სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისადმი უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რაც აიხსნება იმ დიდი როლით, რომელსაც ***<u>სოფლის მეურნეობა</u>*** დღეს ასრულებს ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მან დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში, სადაც მისი ადგილი, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, რადიკალური აგრარული რეფორმირების შედეგად 19%-დან 54%-მდე მერყეობს. სოფლის მეურნეობა საკუთარი ძალებით და შინაგანი რესურსების მობილიზებით ვერ დააღწევს თავს იმ ჩამორჩენილობას, რაც მას (ხელით შრომა და პრიმიტიული ტექნიკის გამოყენება) ისტორიულად მოსდგამდა. მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ მხოლოდ მექანიკურ წარმოებაზე გადასვლით, ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვით შეძლო მან თავი დაეღწია მეურნეობრივი ჩამორჩენისაგან და ეს განხორციელდა კიდეც არა აგრარულ, არამედ ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყვებში, სადაც ათეული და ასეული წლების მანძილზე გროვდებოდა *<u>ჭარბი კაპიტალი</u>*, რომელიც ყოველთვის ეძებდა მომგებიანი სფეროების გამოყენებას. ამისი მკაფიო მაგალითი გახლავთ გასული საუკუნის 30-იან წლების აშშ, ხოლო 40-იანი წლებიდან კანადასა და ევროპაში სოფლის მეურნეობა იქცა ქალაქების მოსახლეობის ზრდის მნიშვნელოვან გარე ფაქტორად და მაღალხარისხოვან სურსათზე მოთხოვნილების გადიდების გამო *<u>სწორი მიმართულებით</u>* დაიძრა ყველანაირი - სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო-საფინანსო და სხვა სახის კაპიტალი. ამასთან ერთად განხორციელდა უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები არა მარტო საკუთრივ სოფლის მეურნეობა-

ში, არამედ ***აგროსამრეწველო კომპლექსის (ასკ)*** ყველა დარგში – სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, აგროსერვისის დარგებში. გადაწყდა აგრარული სფეროს ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – *სოფლის მეურნეობა გადავიდა ინდუსტრიულ საფუძველზე* და მეორე, *საბოლოოდ ჩამოყალიბდა აგროსამრეწველო კომპლექსი ყველა ძირეული ბლოკით,* სადაც ამ უკანასკნელის დარგობრივ-ფუნქციურმა სტრუქტურამ ოპტიმალური სახე მიიღო, რაც სურსათის დიდი დანაკარგების თავიდან აცილების მთავარ ფაქტორად მოგვევლინა. როგორც დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და ამგვარი მიდგომით ქვეყანაში სრულად ***უნდა ჩამოვაყალიბოთ აგროსამრეწველო კომპლექსი*** თავისი ოთხი ძირითადი ბლოკით, ანუ ერთიან სისტემაში მოვაქციოთ ***წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია და მოხმარება.*** ამასთან, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ სასურსათო პრობლემების გადაწყვეტა და მთელი ძალისხმევა მივმართოთ სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის. გამოვიყენოთ ყველა გზა და რესურსი, და ამასთანავე, წარმოების ზრდის რეზერვები, რათა მაქსიმალურად მოვიზიდოთ საჭირო სახსრები სოფლის მეურნეობაში, რაც თავისთავად გულისხმობს *აგროსექტორის მიმართ ისეთი პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას,* რომელიც სწრაფი და მაღალი უკუგებით ხასიათდება.

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას თან ახლდა მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ღრმა კრიზისში გამოვლინდა და მკვეთრად შეცვალა, და გამოიწვია, როგორც მაკროეკონომიკური სისტემის დესტაბილიზაცია, ასევე წარმოების მოცულობის შემცირება. თუმცა, ეკონომიკური ზრდის შენელებისა და სტაგნაციის პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეინიშნებოდა, მაგრამ გამოკვეთილი ეკონომიკური კრიზისის სახე მან 1991-95 წწ-ში მიიღო. ქვეყანაში ამავე პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის 4-ჯერ და მეტად შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქვეყნის მატერიალური წარმოების ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა, სათბობ-ენერგეტიკა, მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა კი ამ მაჩვენებელთა დაქვეითების შედარებით დაბალი ტემპით ხასიათდებოდა, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავებისა და ვენახების ფართობები, ჩაის ფოთლის, მარცვლოვანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ყურძნის წარმოება. მძიმე სიტუაცია აღინიშნებოდა მეცხოველეობაში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრმა ვარდნამ შესაბამისად განაპირობა სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის მწვავე დეფიციტი. ქვეყანაში არსებულმა რთულმა ვითარებამ ასევე კრიზისული სიტუაცია შექმნა მატერიალური წარმოების სხვა დარგებში. მრეწველობაში წარმოების მოცულობის შემცირებას თან ახლდა ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესება. მაკროეკონომიკურმა დესტაბილიზაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების ზრდაზე, ვინაიდან *ეკონომიკური ზრდა* და *მაკროეკონომიკური ბალანსი* ერთმანეთთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია. ამასთან, მოთხოვნა-მიწოდების დაუბალანსებლობამ გამოიწვია ქვეყნის ფინანსური სისტემის მოშლა, რასაც ბუნებრივია მოჰყვა ინფლაციური და ჰიპერინფლაციური პროცესები, და შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტი. [1, 2].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობის პროგნოზირების ამოსავალი მეთოდური საფუძველია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ფაქტორები ახდენს არსებით გავლენას აღნიშნული მაჩვენებლების ზრდაზე. 1995-2002 წწ-ში ეშპ-ს სტრუქტურის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 1996 წელს სოფლის მეურნეობაში მისი წილი შეადგენდა 33%, მშენებლობაში 5%-ს,

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში-6%, მრეწველობაში14%-ს, ვაჭრობაში კი-25%-ს.

ამგვარად, ეშპ-ის უმეტესი ნაწილი იქმნება სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში, ხოლო მატერიალური წარმოების სხვა დარგებზე უმნიშვნოლო წილი მოდის. ამასთანავე, 1990 წელთან შედარებით მკვეთრად იკლო მრეწველობის, ხოლო საგრძნობლად გაიზარდა ვაჭრობის ხვედრითი წილი. სოფლის მეურნეობაში კი ეს მაჩვენებელი ეშპ-ში 1998 წელს 1990 წელთან შედარებით სტაბილური დარჩა, მაგრამ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის პიკურ პერიოდში (1995-1998წწ) მან შესაბამისად შეადგინა 27,5-24,5%. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი შემცირდა, თუმცა იგი უფრო სტაბილურად განვითარდა და როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, იგი კვლავ დარჩება საქართველოს ეკონომიკის წამყვან დარგად [2].

ავტორის [2] აზრით, ეკონომიკური ზრდის ზოგად ფაქტორთაგან შესაძლოა გამოყოფილი იქნას ოთხი ძირითადი ფაქტორი, და კერძოდ, ***მოსახლეობის შემოსავლების დონე, სახელმწიფო ხარჯების დონე, ინვესტიციები და საგარეო მოთხოვნის დონე.*** ამასთან ცნობილია, რომ ეკონომიკური აღმავლობა უშუალოდ დაკავშირებულია მოსახლეობის, სახელმწიფოს, ინვესტორთა და ექსპორტიორტთა ერთობლივი მოთხოვნის დონესთან. ამდენად ქვეყნის განვითარების პოლიტიკა სწორედ ამ ოთხი კომპონენტის სტიმულირებისაკენ უნდა იყოს მიმართული. აღნიშნული მაჩვენებლები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ზოგიერთი მაჩვენებლის ეკონომიკური ზრდის დინამიკა საქართველოში (%-ით მშპ-სთან) [2]

მაჩვენებლების დასახელება	*1996წ*	*1997წ*	*1998წ*	*1999წ*	*2002წ*
ხელფასი	*17,9*	*20*	*29,7*	*23,5*	*23,9*
სახ-ფო ხარჯები (სახ. ინვესტიციების გამოკლებით	*7,7*	*10,1*	*9,9*	*11,2*	*12,1*
მთლიანი დაგროვება	*7,9*	*15,6*	*25*	*21*	*20,5*
მთლიანი ინვესტიციები	*6,9*	*12,2*	*22,6*	*18*	*18,6*
ექსპორტი	*13,3*	*15,5*	*15,4*	*23*	*22,7*
იმპორტი	*32,3*	*41,9*	*41,9*	*41,1*	*40,9*
მშპ-ს ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით	*111,9*	*110,7*	*102,9*	*103*	*101,5*

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციისა და მოქმედ საბაზრო ურთიერთობათა თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ***ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას***. ამასთან, სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკური სტაბილურობა დაკავშირებულია, როგორც მზა პროდუქციის გასაღების ზრდის შესაძლებლობასთან, ასევე სამომხმარებლო ხარისხის ამაღლების საფუძველზე, მის კონკურენტუნარიანობასთან. თუმცაღა, ამგვარი გაუმჯობესება ამჟამად, საბოლოო ჯამში, არ არის დამოკიდებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავის დონეზე. ეკოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესება, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია პროდუქციის თვითღირებულების ზრდასთან, რაც თავის მხრივ უკავშირდება მისი ბაზარზე გამოსვლის შემცირებას, რაც თავისთავად გულისხმობს ტრადიციულ ტექნოლოგიებზე უარის თქმას და ამ უკანასკნელის შედეგად დგება. ამიტომ მნიშვნელოვან პრობლემად გვევლინება ის, თუ ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციაზე ფასების ზრდა რა ზომით და რა ხარისხით მოგვცემს

საშუალებას მოვახდინოთ (თუმცა ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჩვეულებრივ პროდუქტს სხვადასხვა მომხმარებელი ეყოლება. აქ მთავარია განისაზღვროს მათი წარმოების შეფარდება) საწარმოს დანახარჯების გაზრდის კომპენსირება.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი ე.წ. *საბაზრო მოთხოვნის* მრუდის გამოკვლევის დროს, ძალზე მნიშვნელოვანია აღნიშნული მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება და კერძოდ: მოცემულ დარგში არსებული ფირმების რაოდენობა; მათი საშუალო ზომა; ფირმების მიერ გამოყენებული ცვლადი რესურსების ფასი; წარმოების ტექნოლოგია და ა.შ. ვსაზღვრავთ რა აღნიშნულ ფაქტორებს, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია პრაქტიკულად ყველა დასახელებისა და სახეობის მიხედვით ითვლება ურთიერთშენაცვლებად საქონლად. იმ პირობებში, როდესაც სურსათ-სანოვაგე წარმოშობის დონით წარმოადგენს დაბალელასტიკურ საქონელს, მოხმარების გაცილებით უფრო მაღალ დონეზე გადასვლა წარმოადგენს ძალზე რთულ პროცესს, რომელიც უკავშირდება ისეთ ცნებებს როგორიცაა ე.წ. ***ზღვრული სარგებლიანობა*** და ***საბიუჯეტო შეზღუდვა.*** ყველაზე მაღალ სარგებელს იძლევა პროდუქტის პირველი ერთეულების მოხმარება. მომდევნო პორციათა მოხმარებისას ადგილი აქვს დამატებითი სარგებლიანობის შემცირებას, ხოლო ნულთან მისი მნიშვნელობის მიღწევისას საერთო სარგებლიანობა მაქსიმალურად ჩაითვლება.

მომხმარებლის საბიუჯეტო შეზღუდვა ხასიათდება იმით, რომ რიგი მათგანი იკმაყოფილებს თავის ყველა საარსებო მოთხოვნილებას, რის შემდეგაც გადადის გაცილებით უფრო ნაკლებად საჭირო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ცნობილი ფაქტია, რომ ეკონომიკურ პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება <u>მოთხოვნის მრავალფაქტორიან ფუნქციათა გამოყენებას</u>. თუმცაღა, ისინი აგებულია არა ინდივიდუალური მყიდველის ქცევის ტრადიციული ჯგუფის თეორიებზე, რომელსაც საფუძვლად უდევს კეთილდღეობის კლებადი სარგებლიანობის კონცეფცია, არამედ მომხმარებელთა როგორც ერთიანი ჯგუფის, ანუ მთლიანი ერთობლიობის საბაზრო ქცევის კანონზომიერებებზე ბაზარზე არსებული სიტუაციის თანახმად.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სამომხმარებლო საქონლის ბაზრისათვის მოთხოვნის მრავალფაქტორიან ფუნქციას გააჩნია სახე [3}:

$$Q\lambda=f(Pl,\ Pi,Y,A,T,I,D), \qquad (1)$$

სადაც Qλ-არის მოთხოვნის სიდიდე; Pl–საქონლის ფასი; *Pi* -საქონელშემცვლელების ფასი; *Y*-მომხმარებელთა შემოსავლები; *A* –ბაზარზე მოცემული საქონლის სარეკლამო საქმიანობის აქტიურობის დონე. *T* –მყიდველთა ერთობლიობის რიცხოვნობა და ასაკობრივი სტრუქტურა; I –პროცენტის ნორმა სამომხმარებლო კრედიტების მიხედვით; *D*-მყიდველთა უპირატესობის მინიჭების ცვლილებაში ტრენდის მახასიათებელი.

ამასთან, მოცემულ მოდელზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა თავად პროდუქციის მახასიათებლები, საბაზრო სიტუაცია, გადასაჭრელი ამოცანის სპეციფიკა (მაგ: მთლიანად საბაზრო მოთხოვნა) და სხვ.

გარდა ამისა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ და ნაკლებმნიშვნელოვნად გვევლინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ინფლაციური ხასიათის სამომხმარებლო მოლოდინი, საექსპლუატაციო დანახარჯები, საკრედიტო რესურსების მიღების შეზღუდულობა; პერსონალური ლიკვიდური აქტივების ზომა; ქონებრივი მარაგები; ბიზნესის განვითარების პერსპექტივები; შესაძლო მოხმარების პოზიციიდან გამომდინარე ოჯახების სტრუქტურა.

იმ შემთხვევაში როდესაც ფუნქციას გააჩნია წრფივი ხასიათი, მას შეესაბამება განტოლება: [3]:

$$Q=\sum Bi \cdot Pi \qquad (2)$$

სადაც Bi - არის ელასტიკურობის კოეფიციენტები სხვადასხვა სახეობის საქონლისთვის.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნის ფუნქციის (აუცილებლობის შემთხვევაში) აგებისას ჩვეულებისამებრ საუბარია საქონლის ორ ნაირსახეობაზე და კერძოდ:

1. კოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მათი კლასიკური გაგებით;
2. ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შემცველელ პროდუქტებზე რომელთა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) არ აჭარბებს დასაშვებს [3].

თუმცა არ შეიძლება საქონლის ორივე ნაირსახეობა ჩათვლილ იქნეს ურთიერთდამოკიდებულად, ვინაიდან ეკონომიკური თვალსაზრისით, სუფთა პროდუქციაზე ფასის დაცემა შესაძლებელია მხოლოდ რენტაბელობის კრიტიკული წერტილით განსაზღვრულ გარკვეულ და საკმარისად მაღალ დონემდე. მაგრამ მისი მიღწევის შემდგომაც მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ ექნება იმის შესაძლებლობა შეიძინოს (იყიდოს) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია:

ცხრილი 2

i-ური სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიკროეკონომიკური ეფექტიანობის შედარებითი პარამეტრები ეკოლოგიური მდგენელის გათვალისწინებით (პირ. ერთეულში) [4].

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია				*ტრადიციული პროდუქცია*			
ეკონომიკური ზარალიანობის (წამგებიანობის) ზონა				*ეკონომიკური ზარალიანობის (წამგებიანობის) ზონა*			
ფასი	*მოთხოვნილება*	*მოთხოვნა*	*რენტაბელობა%*	*ფასი*	*მოთხოვნილება*	*მოთხოვნა*	*რენტაბელობა%*
10	*1*	*4*	*30*	*6*	*1*	*6*	*50*
				5	*2*	*5*	*10*
9	*2*	*3*	*20*	*4*	*3*	*4*	*30*
				3	*4*	*3*	*20*
8	*3*	*2*	*10*	*2*	*5*	*2*	*10*
7	*4*	*1*	*0*	*1*	*6*	*1*	*0*

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მაღალი დანახარჯტევადობა თავდაპირველად გულისხმობს ეფექტიანობის სხვადასხვა გამოსავალ (საწყის) მაჩვენებლებს. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა *Ei* პროდუქციის წარმოების დროს წონასწორობის წერტილი ხასიათდება *წონასწორობითი მოცულობითა და ფასით.* არსებითად, სწორედ აღნიშნული წერტილი იქნება რენტაბელობის (წაუგებლობის წერტილი) ე.წ. კრიტიკული დონის ორიენტირი. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნეს-დაგეგმარების მთავარ ორიენტირს, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის N-ური მწარმოებლის კონკრეტულ წილზე დაკორექტირებული (შესწორებული) მოთხოვნილებისა და მოთხოვნის სიდიდეები კი <u>საქართველოს რეგიონალურ-დარგობრივ ასპექტში განხილვისას</u> საფუძვლად უნდა დაედოს როგორც მოქნილ ადგილობრივ ბიუჯეტებს, ასევე დირექტ-კოსტინგის პროცედურას [4].

პრაქტიკაში რეალური საბაზრო ფასი ყოველთვის მიისწრაფის გადაიხაროს წონასწორობიდან და აქ კი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლისათვის მნიშვნელოვანია ამგვარი გადახრის ზოგადი ტენდენციის სწორი შეფასება, ხოლო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება იწვევს წონასწორობის ცვლილებას. მოთხოვნის გაზრდა იწვევს მოთხოვნის წონასწორი სიდიდის

და ფასის წონასწორობის გაზრდას და პირიქით, მოთხოვნის შემცირება განაპირობებს მოთხოვნილების წონასწორი სიდიდისა და ფასის შემცირებას მოთხოვნილების უცვლელობის შენარჩუნების პირობებში.

ამასთან ერთად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნილებისას მოთხოვნის ცვლილებას ასევე მივყავართ წონასწორობის ცვლილებამდე. <u>მოთხოვნის ზრდა მოთხოვნის წონასწორობითი მოცულობის ზრდის დროს</u> იწვევს წონასწორობითი ფასის შემცირებას. თუ მოთხოვნა შემცირდება, ასევე შემცირდება <u>მოთხოვნის წონასწორობითი მოცულობაც</u>, ხოლო წონასწორობითი ფასი გაიზრდება. ამასთან, მოთხოვნის სიჭარბე მწარმოებლისა და გამყიდველების კონკურენციის გზით ფასზე მოახდენს ე.წ. *<u>წნევის დაცემის გავლენას,</u>* წინაადმდეგ შემთხვევაში კი აღნიშნული შედეგი დადგება მომხმარებლების კონკურენციის გზით. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მომხმარებლის მოგება ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმ თანხას შორის, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის პროდუქციაში (ან მზად არის გადაიხადოს) და თანხებს შორის სხვაობაში, რომელსაც იგი იხდის რეალურად. მწარმოებლის ნამატი კი მდგომარეობს სხვაობაში იმ ფასსა, რომლითაც იგი აპირებს პროდუქციის გაყიდვას (ან მზად არის გაყიდოს) და ფასს შორის, რა ფასითაც იგი ყიდის მას სინამდვილეში რეალურად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რენტაბელობის კრიტიკული წერტილიდან გაწონასწორებულ ფასამდე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გაფართოებით აგრარული საწარმოები აღმოჩნდება ე.წ. ***ხელსაყრელ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა ზონაში,*** მოგებისა და რენტაბელობის გადიდების საფუძველზე აამაღლებს რა საკუთარი ფინანსური უსაფრთხოების დონეს. თუმცაღა, გაწონასწორებული ფასის წერტილის მიღწევისას *<u>მოთხოვნა აჭარბებს მოთხოვნილებას,</u>* რაც ავტომატურად გამოიწვევს მთელ რიგ არსებით გართულებებს. ამ უკანასკნელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა: სარეკლამო საქმიანობაზე დანახარჯების ზრდა, სასაწყობო და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება, სავაჭრო აგენტების დოკუმენტალური სტიმულირება და სხვ. გარდა აღნიშნულისა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ალბათობით დაექვემდებარება, როგორც გაფუჭების რისკს, ასევე მისი ხარისხის მკვეთრ გაუარესებას, რაც თავისთავად ცხადია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე, იმ დროს როდესაც <u>ზღვრული შემოსავლიანობის ფუნქცია ემთხვევა მოთხოვნილების ფუნქციას</u>. ამასთან, თუ სრულყოფილ კონკურენტს არ შესწევს უნარი ზეგავლენა მოახდინოს შესაბამისი დარგის მიერ განსაზღვრულ ფასზე, გაყიდვათა ნებისმიერი მოცულობისას თითოეული ერთეულის ფასი მუდმივი დარჩება. შუალედური დანახარჯები ამ დროს ჯერ კიდევ მოისწრაფვის მინიმუმისაკენ, იმ დროს როდესაც ზღვრული დანახარჯები იწყებს ზრდას.

როდესაც ვეყრდნობით ზემოთ მოყვანილ დამოკიდებულებებს, ამავდროულად გაანგარიშებული უნდა იქნეს ***<u>მოგებისა და წარმოების მოცულობათა მაჩვენებლები,</u>*** რისი მკაფიო მაგალითიც გახლავთ საბაზრო ფასთან ფირმის/წარმოების ზღვრული დანახარჯების შეპირისპირება, რომელიც კონკურენტულ საწარმოთათვის იმავდროულად წარმოადგენს *ზღვრულ შემოსავალსაც.* ზღვრული (წარმოების დამატებითი დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებისათვის ან/და ცვლილებები ერთობლივ დანახარჯებში, რომლებიც დაკავშირებულია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან) დანახარჯები ასახავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ყოველი მომდევნო ერთეულის წარმოების ინდივიდუალურ ღირებულებას და ცვლილებას განიცდის გაცილებით უფრო სწრაფად ვიდრე შუალედური (დანახარჯების საშუალო სიდიდეები, მოსული პროდუქციის ერთეუ-

ლის წარმოებაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში საქონლის პარტიის ან/და საწარმოთა ჯგუფის მიხედვით) დანახარჯები. მაშასადამე, საწარმო აღწევს ტოლობას ზღვრულ დანახარჯებსა და ზღვრულ შემოსავალს შორის, რომლის დროსაც მოგების სიდიდე მაქსიმალურია არსებითად გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე შუალედური დანახარჯები გაუთანაბრდება საქონლის ფასს [5].

ზემოხსენებული ტოლობის შესრულების თავად პირობა წარმოადგენს წარმოების ოპტიმიზაციის წესს. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს-სტრუქტურები უნდა ისწრაფვოდეს პროდუქციის გამოშვების ისეთი მოცულობისკენ, რომლის დროსაც დანახარჯები დაემთხვევა უკანასკნელი ერთეულის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის სიდიდეს. განსაკუთრებით ხელსაყრელი სიტუაცია დგება მაშინ, როდესაც დარგში ან ქვედარგში წონასწორობითი ფასი ბაზარზე აღმოჩნდება თანამედროვე კონკურენტის საშუალო დანახარჯებზე მაღალი, რაც შერსაბამისად მოგების მაქსიმიზაციას გამოიწვევს. იმ შემთხვევაში, თუ წონასწორობითი ფასი ბაზარზე ეშვება საშუალო დანახარჯებზე დაბლა, ამ შემთხვევაში ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლის ტოლობის დროს ზარალი (წაგება) მინიმიზირდება. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული სიტუაცია ნარჩუნდება საგრძნობლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სავსებით შესაძლებელია ე.წ. ზემოგების მიღება, რაც ბუნებრივია მოცემულ სპექტრში მოიზიდავს ახალ საწარმოებს. უკანასკნელი ბაზარზე ზრდის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნას და იწვევს ფასის შემცირებას, და შესაბამისად, გაზრდილი სარფის „გაქრობას".

მოცემული დარგის ბიზნეს-ერთეულთა საერთო დანახარჯების საშუალო დონეზე დაცემისას დაწესებული ფასის შემდგომი შემცირება, გამოიწვევს როგორც ზარალის, ასევე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ საწარმოთა რიცხოვნობის შემცირებას. განსაკუთრებით კი მათსას ვისაც არ გააჩნია უნარი მიაღწიოს ე.წ. *დანახარჯოტევადობის შემცირებას.* აღსანიშნავია, რომ მეცნიერების მიერ გამოყოფილია მწარმოებლის მოთხოვნის ელასტიკურობის სამი ძირითადი ნაირსახეობა, და კერძოდ: საბაზრო ფასის უეცარი (მყისიერი) მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეაქცია. უეცარი წონასწორობის დროს მოთხოვნის სიდიდე, უცვლელი რჩება. პრინციპში მოთხოვნის მოკლევადიანი ელასტიკურობის დროსაც არსებითად არ შეიცვლება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოთხოვნის მოცულობაც. კლასიკური მიდგომის თვალსაზრისით მწარმოებელს ეძლევა ახალ, თანამედროვე სიტუაციაში გარკვევის სრული თავისუფლება, ვინაიდან ბაზარზე ფასის აწევისას შესაძლებელია გამოშვებულ იქნეს სასაქონლო მარაგები ან/და არსებულ სიმძლავრეთა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა გადიდების გზით დაწყებულ იქნეს წარმოების გაფართოების პროცესი. თუმცადა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ნაწილში ამგვარი ვარიანტები ნაკლებად სარწმუნოა. როგორც უკვე ჩვენს მიერ ზემოთ იქნა აღნიშნული, გამომდინარე ტექნოლოგიური თავისებურებებიდან პრაქტიკულად არ შეიძლება უზრუნველყოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მარაგების გაცილებით უფრო დიდი ან მცირე ხნით შენახვა, რაც თავისთავად პირდაპირ კავშირშია მისი წარმოების მოცულობების მკვეთრ გაზრდასთან ან პირიქით ტემპის დაცემასთან. ეს უკანასკნელი (წარმოების მოცულობის ზრდა) განპირობებულია იმით, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება დაკავშირებულია პროდუქტიულობის ხელოვნური სტიმულაციის მთელ რიგ ფაქტორთა ერთობლიობის მინიმაზაციასთან, ამასთანავე, მთელ რიგ ბუნებრივ ფაქტორთა გავლენის ავტომატურ გაზრდასთან და სხვ. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ხანგრძლივობა იზრდება შენახვის ვადისა და მისი გადაზიდვის დროის ერთდროული შემცირებითაც. აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მაღალი ეკო-

ლოგიური პარამეტრების (მახასიათებლების) მქონე აგრარული პროდუქციის მოყვანის ხანგრძლივობა მატულობს საშუალოდ 20-40%-ით, ხოლო შენახვის ვადები და ტრანსპორტირების პირობები მრავალგზის უარესდება.

გრძელვადიან გეგმაში იზრდება მაღალი ელასტიკურობა ფასში, რომელმაც თეორიულად უნდა მოგვიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოთხოვნილების მცირედი მნიშვნელობით მატებამდე და წარმოებისა და მოთხოვნის მკვეთრ გაზრდამდე, ახალ მწარმოებელთა გაჩენამდე. თუმცაღა, ე.წ. პრაქტიკულ სიბრტყეში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა რაოდენობის არსებითი მატება არ ხდება. ეს უკანასკნელი გამოწვეული გახლავთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს წარმოშობილი არსებითი რისკების არსებობით, რომლებიც თავის მხრივ გამოწვეულია მემცენარეობისა და და მეცხოველეობის პროდუქციის მოყვანაზე მოქმედ საკუთრივ ბუნებრივ ფაქტორთა აბსოლუტური სიჭარბით. აქვე უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი (უწინარეს ყოვლისა კი ამინდის) პირობების წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკუკლად შეუძლებელია და თავად მოთხოვნილებაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე სავსებით, და შეიძლება ითქვას, ძალზე შეზღუდულია. ასეთ პირობებში არ შეიძლება საუბარი თანამედროვე კონკურენციაზე და ამ თვალსაზრისით უპრიანი იქნებოდა გვემსჯელა და განგვეხილა თანამედროვე ბაზარი, ***<u>როგორც არასრულყოფილი კონკურენციის ერთ-ერთი სეგმენტი.</u>*** აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ნაწილში მეტწილად სჭარბობს (პრევალირებს) ე.წ. წარმოების ოლიგოპოლიური ტიპის ბაზარი, რომელიც ხასიათდება ფასზე გაცილებით უფრო მცირედი ძალით, ვიდრე მონოპოლია. ამასთან, თითოეული მწარმოებელთაგანი თავისებურ მონოპოლისტად გვევლინება. ხანდახან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ბაზარი (და ამას ცხადყოფს მსოფლიო გამოცდილება) გადანაწილებულია მსხვილი ფირმების მცირე რაოდენობებს შორის, ხანდახან ბაზრის ნაწილი განაწილებულია ორ-სამ მსხვილ ფირმას შორის, ხოლო დანარჩენი წარმოება კი გაცილებით უფრო წვრილ ფირმათა უმრავლესობას შორისაა განაწილებული. ამგვარი სახის ბაზრის კონკურენცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია *<u>წარმოების ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე.</u>*

თუკი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია იმგვარია, რომ დადებითი მასშტაბური ეფექტის (ანუ პროდუქციის გამოშვების კვალდაკვალ გრძელვადიანი საშუალო დანახარჯების შემცირება) სავარაუდო მიღება მიიღწევა პროდუქციის გაცილებით უფრო დიდი მოცულობისას, რომლის მიღებაც შეუძლია და ამასთანავე ვარაუდობს საწარმო, ამ შემთხვევაში აღნიშნულ ბაზარზე დაშვებული იქნებიან სხვა მწარმოებლებიც. ამ უკანასკნელთა რიცხოვნება კი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საერთო-დარგობრივ მოთხოვნილებაზე (მოთხოვნაზე), რომელსაც ჩვეულებისამებრ აკმაყოფილებს მხოლოდ რამოდენიმე მსხვილი მწარმოებელი. წვრილი ფირმების/საწარმოების ძირითად პრობლემას წარმოადგენ ის, რომ მათ არ გააჩნიათ შესაძლებლობა მიაღწიონ ე.წ. „მასშტაბის ეფექტს", არ შეუძლიათ შეამცირონ დანახარჯები, რომელიც უწინარესად მოგების მომტანია. მოთხოვნილების ზრდის შეწყვეტისა და მისი შემცირების დაწყების დროს მწარმოებლები იძულებულნი გახდებიან დაიწყონ ფასის შემცირება ეცდებიან რა დაუბრუნდნენ პროდუქციის გამოშვების უწინდელ მოცულობას გაცილებით უფრო მცირედი ხარჯებით, ვინაიდან წარმოების ფაქტორთა სრულად გამოუყენებლობის გამო პროდუქციის შემცირებული გამოშვების დროს შეთანხმების (მორიგების) პერიოდში მწარმოებელ ოლგოპოლისტთა საერთო დანახარჯები იზრდება [9]. ჩვენი თვალსაზრისით ნაკლებადსარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს ***<u>ფასებში ე.წ. ლიდერობაზე დაფუძნებული მოდელის გამოყენება.</u>*** ვინაიდან ეკოლოგიურად

სუფთა პროდუქციის მსხვილ მწარმოებელთა (მითანა, ეკო-ფუდი, ქობულეთური, სოფლის ნობათი და სხვ.) მძაფრი ტერიტორიული ორიენტაციის პირობებში ძალზე რთულია აღნიშნულ პროცესში შეტანილ იქნას მოთხოვნის არასაფასო ფაქტორთა სტრუქტურის ცვლილებები, რომლებიც თავის მხრივ ცვლის როგორც საშუალო დანახარჯებს, ასევე წარმოების ფაქტორებს, სადაც ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მძაფრად შეეხება სხვა, გაცილებით უფრო წვრილ მწარმოებლებს.

გაცილებით უფრო მარტივად და მისაღებად შეიძლება ჩავთვალოთ ***ფასწარმოქმნის მოდელი,*** რომელიც ორიენტირებულია საშუალო დანახარჯებზე მიმატებულზე მოგების (სარფის) ნორმაზე. ამგვარი მოდელის გამოყენებით ოლგოპოლისტებს (თუმცაღა მონოპოლისტური კონკურენციისა და ოლიგოპოლიის ბაზრებზე მომუშავე კომპანიების წარმატება ხშირად მარკეტინგულ უნარზეა დამოკიდებული) საშუალო დანახარჯებით შეუძლიათ ავტომატურად გაათანაბრონ ფასები და მოახდინონ *ზოგადდარგობრივი მოგების მაქსიმიზაცია.* ოლგოპოლიის დროს ხომ რამდენიმე მსხვილი ფირმა (საშუალოდ 3-5-მდე) არსებობს, რომლებიც აწარმოებენ მსგავს საქონელსა და მომსახურებას. ამასთან, ფასწარმოქმნაში არსებობს ლიდერის გავლენა (ანუ დარგის წამყვანი კომპანიის მიერ დაწესებული ფასების მიხედვით ვაჭრობენ დანარჩენები). ამ საქონლის დიფერენცირება მნიშვნელოვანია ცალკეული პროდუქტებისათვის (მაგ: ავტომობილებისთვის), ხოლო მცირეა სტანდარტული საქონლისთვის (მაგ: ბენზინისთვის) და უკანასკნელი რაც მას ახასიათებს ესაა ბაზარზე შედწევის სიძნელე, რაც ხშირად მსხვილ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. ამგვარად ხდებიან რა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულნი, ოლიგოპოლები ადგენენ წინასწარ აწონილ-დაწონილ ფასებს, ძალზე იშვიათად გადახედავენ მათ იჩენენ რა ამ დროს დიდ სიფრთხილეს, რაც უწინარესად მიუთითებს მკაცრად დაწესებულ და მკვეთრად გამოხატულ ფასებზე ოლიგოპოლიის პირობებში [5, 9].

უნდა ითქვას, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ბაზრის ოლიგოპოლისტურ ორგანიზაციას საზოგადოებისთვის მოაქვს გაცილებით უფრო მცირე აუნაზღაურებელი დანაკარგი გაცნობიერებული და ყოველმხრივ შეგნებული დაუსრულებელი საწარმოო პროცესისა და ციკლისგან, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ვხვდებით ბარიერებს და ისინი აგრძელებენ აქტიურ მოქმედებას ოლიგოპოლისტურ დარგში შედწევის გზაზე. ქმნიან რა ე.წ. *გარკვეულ პირობათა ნაკრებს* მშვიდად განსავითარებლად, ზემოაღნიშნული ბარიერები სერიოზულად ზღუდავენ და იმავდროულად განსაზღვრავენ კონკურენციას ახალ მწარმოებელთა მხრიდან, რაც თავისთავად ასუსტებს სტიმულებს პროგრესულ ტექნოლოგიათა დამუშავებისა და დანერგვის თვალსაზრისით, რაც ცხადია წარმოების დანახარჯების შემცირების პირველწყაროდ გვევლინება [3, 4, 9].

ავტორთა მიერ დასმული ამოცანის ეფექტიანად გადაწყვეტის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად შეიძლება ჩათვლილ იქნას, როგორც სასოფლო სამეურნეო დაზღვევის, ასევე მისი სამართლებრივი გარემოსა და ამ უკანასკნელთა დეტალურად განხილვისა და შესწავლის საკითხთა ფართო სპექტრის დამუშავება და ღრმა ანალიზი.

როგორც ცნობილია, სასოფლო სამეურნეო კულტურათა და მრავალწლიანი ნარგავების დაზღვევის დროს, დაზღვევის ობიექტად გვევლინება როგორც მოსავალი, ასევე მის მოყვანაზე გაწეული დანახარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცივილურ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, დაზღვევის შეთანხმება მოიცავს სტიქიურ უბედურებათა პრაქტიკულად ყველა სახეობას, ყოველივე ამით უზრუნველყოფს რა სასოფლო სამეურნეო საწარმო-

თა თანაბარ დაცულობას მიუხედავად იმისა თუ რომელ ბუნებრივ-კლიმატურ, ეკონომიკურ ზონაში იმყოფება ისინი.

ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების საგანსა და საკუთრივ დაზღვევის შემთხვევებს დაზღვევის მოცემულ სახეობაში წარმოადგენს: გვალვა, სითბოს უკმარისობა, ჭარბი (მომეტებული) დატენიანება, სუსხი, გაყინვა, სეტყვა, ღვარ-ცოფი, გრიგალი (ქარტეხილი), ქარიშხალი, წყალდიდობა, მორწყვის წყაროებში უწყლობა და მცირეწყლიანობა, ხანძარი, სასოფლო სამეურნეო კულტურათა დაავადებები, მცენარეთა მავნებლების შემოსევები, მოცემული ადგილისათვის მეტეოროლოგიური და სხვა ბუნებრივი პირობები (ხანგრძლივი წვიმები და ქარები, თოვლი, თრთვილი/ჭირხლი), ბურუსი, ყინულოვანი ქერქი, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, მეწყერი ზვავი) და სხვ.

დაზღვევა ვრცელდება კულტურათა ყველა სახეობაზე და კერძოდ: საშემოდგომო კულტურებზე, ბაღებზე/ბაღჩეულზე, კენკროვნებზე, ზვარზე (ვენახზე), სანერგე, სასათბურე კულტურებზე და სხვ. თუმცადა, სასოფლო სამეურნეო კულტურათა დაზღვევა პრაქტიკულად ყველა სტიქიურ მოვლენათა და უეცარ ბუნებრივ-კლიმატურ პირობათაგან არ ნიშნავს მემცენარეობაში მიყენებული ზარალის სრულად დაფარვას და ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევის ქვეშ (წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით) იგულისხმება შემდეგი პირობები: პასუხისმგებლობის ობიექტის არსებობა – კულტურის ნარგავი/ნათესი; სტიქიური უბედურების, ან/და სხვა უჩვეულო არასასიამოვნო მოვლენათა ფაქტი; სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აუღებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ერთ-ერთ ზემოჩამოთვლილ პირობათა უქონლობა გამორიცხავს მზღვეველის პასუხისგებლობას. არ შეიძლება სადაზღვევო შემთხვევად ჩათვლილ იქნეს საშემოდგომო გვალვების შედეგად *საშემოდგომო მარცვლეულის დაუთესველობა, ვინაიდან აქ ვერ ვხედებით სადაზღვევო პასუხისგებლობის ობიექტს.* ამასთან ერთად არ შეიძლება სადაზღვევო შემთხვევად ჩათვლილ იქნეს მოსავლის ბოლომდე აუღებლობა, სადაც მოცემული ადგილმდებარეობისათვის ვხვდებით ჩვეულ ბუნებრივ პირობებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერმერულ (გლეხურ) და სხვა ტიპის ინდივიდუალურ მეურნეობებში დაზღვევის პირობები გარდა ამისა ასევე ითვალისწინებს დახურულ გრუნტში (სათბურები, სანერგეები) კულტურათა მოსავლის დაღუპვის დროს ზარალის აანაზღაურებას ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტისათვის, სადაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია სტიქიით, ხანძრებით ან ავარიით. ამასთან, მაგალითად, ყვავილები შესაძლოა დამატებით დაზღვეულ იქნას მათი მოპარვის შემთხვევაზე. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოცემულ სახეობაში სჭარბობს და მეტწილად პრევალირებს დაზღვევის ნებაყოფლობითი ფორმა, სადაც ხელშეკრულების დადების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან, და იმავდროულად ძირითად პირობად გვევლინება მეურნეობათა მიერ აგრო-ტექნიკურ მოთხოვნილებათა მკაცრი დაცვა. დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც წესი, შესაძლოა დადებულ იქნეს მოცემულ ადგილას/ მხარეში ამა თუ იმ სახეობის სასოფლო სამეურნეო კულტურათა დარგვის ვადების ამოწურვამდე. საგულლისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციაში ე.წ. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში (მათმა, როგორც ბელორუსის და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა ჯერ კიდევ შეინარჩუნეს სასოფლო სამეურნეო მოწყობის ამგვარი, მაგრამ საბაზრო მოდელზე მორგებული ფორმა) და სხვა ტიპის საწარმოებში დანაკარგების ანაზღაურების დონე განსაზღვრულია 70%-ით. ფერმერული და არენდით (იჯარით, ლიზინგით) გაცემული მეურნეობები აღნიშნულ დონეს თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულების გაფორმების დროს. ამასთან, მოსავლის სრულად განადგურებისა და/ან დაზიანების დანაკარგებთან ერთად ასევე ანაზღაურდება სტიქიური უბედურების შემდგომ კულტურების

გადათესვასთან (ხელახლა თესვასთან) ან შეთესვასთან დაკავშირებული დანახარჯები. როგორც წესი, პრაქტიკაში ვხვდებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსავლიანობასთან მიმართებით უკანასკნელი ხუთწლედიდან სამი ხელშემწყობი წლის მანძილზე მოსავლის საშუალო დონესთან შედარებით დანაკარგების ანაზღაურებას. მრავალწლიანი ნარგავების დაზღვევის დროს დაზღვევის ობიექტად ძირითადი და საბრუნავი ფონდების სახით გვევლინება როგორც თავად ნარგავები, ასევე ამ ნარგაობათა მიერ მიღებული მოსავალი. ტერიტორიების მიხედვით სადაზღვევო გადახდები დიფერენცირებულია კულტურათა ჯგუფების (სახეობების) მიხედვით.

ცნობილია, რომ როგორც სასოფლო სამეურნეო კულტურათა დაზღვევის ნაირსახეობა წინა პლანზე გამოდის *მრავალწლიანი ნარგავების დაზღვევა*. ამასთან, პასუხისგებლობის მთელი მოცულობა, მოცემულ ხელშეკრულებათა მონაცემების მიხედვით მოიცავს და ითვალისწინებს გვალვის, ყინვის, წყალდიდობის, ქარიშხლის და სხვა სტიქიურ მოვლენათა შედეგად გამოწვეულ ყველა ან ცალკეული ხეების (ბუჩქების) სრულ განადგურებას. თუმცადა დაზღვევას არ ექვემდებარება ნარგავები რომელთა ცვეთაც შეადგენს 70%-ზე მეტს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს დაზღვევა (სადაზღვევო ანაზღაურება მიეცემათ) აუნაზღაურდებათ მიყენებული ზარალის თანხის 100%-ის ოდენობით.

თანამედროვე პირობებში მრავალ ქვეყანაში და კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში მიღებულია მოსავლის დაზღვევის შემდეგი სისტემა, რაც კერძოდ გულისხმობს იმას, რომ სუბსიდირებული სადაზღვევო შენატანების 50% ხაზინით გადაირიცხება სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. უფლებამოსილი სადაზღვევო კომპანიები არ არსებობს. წარმოებლებს სრული უფლება აქვთ თესვის დასრულებამდე შეარჩიონ მზღვეველი, გადაუხადონ მას ნახევარი შენატანების თანხა, ხოლო მეორე ნახევარი გადარიცხონ ცენტრალურ (ფედერალურ, ადგილობრივ) ბიუჯეტში. ცნობისათვის, 2003 წელს რუსეთში სოფლის მეურნეობის დაზღვევის სუბსიდირებაზე მიზნობრივად გამოყოფილ იქნა 280 მლნ. ღუბლი [7].

მსოფლიო სადაზღვევო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასოფლო სამეურნეო საწარმოთათვის სადაზღვევო გადახდების ზომა განისაზღვრება როგორც თითოეული კულტურისათვის მოსავლის საშუალო დონიდან, ასევე ნათესი ფართობის, მოქმედი ტარიფებიდან და პროდუქციაზე დაწესებული ფასებიდან გამომდინარე. ამასთან, ტარიფების გაანგარიშების დროს გამოიანგარიშება როგორც საშუალო მოსავლიანობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ასევე 1 ჰა-დან მიღებული მოსავლის ღირებულება. ცალკეული კულტურების მიხედვით (მაგ: ბადჩეული) გაითვალისწინება საშუალო მოსავლიანობა. საშუალო 5 წლიანი მოსავლის ღირებულება გავლენას ახდენს სადაზღვევო გადახდების ანაზღაურების და ფულადი გადასახადების ზომაზე.

ამასთან, მოსავლის მთლიანი ღირებულება გამოითვლება 1 ჰა-დან მიღებული საშუალო მოსავლის ღირებულებიდან და ნათესი კულტურის ფართობიდან. ზარალი კი, როგორც წესი, ფასდება იმ ფასების მიხედვით, რომლებიც არსებობს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებისა და სადაზღვევო (ფულადი) გადასახადების გამოანგარიშების მომენტისათვის. სადაზღვევო გადასახადები დგინდება როგორც მთელ ნათეს ფართობზე მიღებული მოსავლის ღირებულებიდან, ასევე სადაზღვევო გადასახადების ნორმიდან გამომდინარე. ზარალის (ზიანის) გაანგარიშების მეთოდიკა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მათემატიკური ფორმულებით იმისდა მიუხედავად თუ ადგილი ჰქონდა მოსავლის სრულად განადგურებას ან მის (მოსავლიანობის) შემცირებას; როგორ გამოიყენებოდა (რა მიზნით) დაზიანებული კულტურა—გეგმით გათვალისწინებული ძირითადი პროდუქციის მისაღებად თუ სხვა მიზნებისათვის. ზარალის

გამოანგარიშების ფორმულას მთელს ფართობზე კულტურის მოსავლის სრული განადგურების დროს გააჩნია სახე [7]:

$$z=(R_i/I).n_{სფ}, \quad (3)$$

სადაც z-არის ზარალი ნათესის (ნარგავის) მთლიან ფართობზე გამოანგარიშებით;

R_i-წლების მიხედვით 1 ჰა-დან მოცემული კულტურის დაზღვეული მოსავლის ღირებულება;

I-საანგარიშო პერიოდი (როგორც წესი, 5 წელი);

n_{sf}-მიმდინარე წლის მოსავლისას ნათესის საერთო ფართობი

საშუალო მოსავლის (მოსავლიანობის) შემცირებისას ან/და სრული განადგურებისას ზარალი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$z=(R_{დაზ}-S_{საშ}).n_{სფ}, \quad (4)$$

სადაც $Ш_{საშ}$-არის ნათესის ფართობის ერთეულიდან მიღებული საშუალო შემოსავალი,

$$Ш_{საშ}=(ფ+მ):n_{სფ}; \quad (5)$$

$ღ_{დაზ}$-მიმდინარე წელს 1 ჰა-დან მიღებული მოსავლის საშუალო ღირებულება,

$$ღ_{დაზ}=(ღ_i:I); \quad (6)$$

მ - მიმდინარე წელს კულტურის ძირითადი პროდუქციის მთლიანი აღება;

ფ-მოცემული კულტურის 1 ც ძირითადი პროდუქციის შესყიდვის ფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალწლიან ნარგავობათა სრული განადგურების დროს ზარალის/ზიანის ჯამი გამოითვლება სახეობების ან/და გვარეულობის ჯგუფების მიხედვით. ზარალის თანხაში (დაღუპულ ნარგავობათა საბალანსო ღირებულება ცვეთის გამოქვითვით) შედის მხოლოდ ბაღის ამა თუ იმ ფართობზე განადგურებული ნარგავობა. თუკი ხეების 70%-ზე და მეტად განადგურებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ბაღის დარჩენილი ნაწილის შენარჩუნება და მას ამოძირკვავენ, ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ განადგურებული ხეების ღირებულების/ზარალის, არამედ ამოძირკვული ხეების ღირებულების ანაზრაურება, ანუ მთლიანად ბაღის საბალანსო ღირებულების ზიანის ანაზღაურება. ამასთან, იმ მომენტისათვის მსხმოიარე ზვრების /ვენახების, ციტრუსოვანთა და სუბტროპიკულ კულტურათა ფესვების (ძირეული) სისტემის შენარჩუნებისას (თუ სრულად იქნა განადგურებული ზემოაღნიშნულ კულტურათა მიწისზედა ნაწილი) გამოვლენილი ზარალის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ აღნიშნული ნარგავები კი არ ექვემდებარება ამოძირკვას, არამედ პირიქით-აღდგენას (მაგალითად ღრმა გასხვლის გზით), სადაც ვენახების აღდგენის პერიოდი შეადგენს 2 და მეტ, ხოლო ციტრუსოვანთა და სუბტროპიკულ კულტურათა აღდგენის პერიოდი კი-არა უმცირეს 3-4 წლისა. ზარალი ამ შემთხვევაში განისაზღვრება გამომდინარე ცვეთის გამოკლებით საბალანსო ღირებულებიდან, და კერძოდ, ზვრებისათვის იგი შეადგენს საშუალოდ 30, ხოლო ციტრუსებისა და სუბტროპიკული ნარგავებისათვის კი შესაბამისად 35 და 32%-ს.

მემცენარეობის კვალდაკვალ მეცხოველეობის დარგის (პროდუქციის) დაზღვევისას ზარალის ანაზრაურების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ***ადგილობრივი ბაზრის, ანუ გაყიდვის ფასი.*** უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ პრაქტიკაში ფერმერებისათვის შემოღებულია ე.წ. „გარანტირებული" ფასები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თუ ფერმერი ვერ მოახერხებს საქონლის გაყიდვას მისი დაკვლისას (განადგურებისას), იგი ამ შემთხვევაში დაკარგავს სხვაობას „საბაზრო" და „გარანტირებულ" ფასებს შორის. მეცხოველეობის დარგის დაზღვევას (სადაზღვევო შემთხვევა) მიაკუთვნებენ პირუტყვის (საქონლის) გაწყდომასა და სიკვდილიანობას, რომელიც გამოწვეულია როგორც

სტიქიური უბედურებებით, ასევე საქონლის სხვადასხვა (მაგ., ღრუბლისებრი ენციფალიპათია, ჯილეხი, თურქული, გრიპი და სხ) დაავადებებით. ამასთან ერთად, სადაზღვევო პასუხისმგებლობა დაყოფილია ცხოველთა ჯგუფების მიხედვით, როგორიცაა პროდუქტიული პირუტყვი, ცხოველთა მოზარდეული და მაღალხარისხობრივი (მაღალპროდუქტიული) საჯიშე ცხოველები. ამასთან, მოქალაქეთა კუთვნილი ცხოველების დაზღვევა შეიძლება წარმოებდეს შემდეგი სახეობების მიხედვით და კერძოდ იგი მოიცავდეს გატაცებისგან დაზღვევას, წვრილფეხა საქონლის დაზღვევასა და ფუტკრის ოჯახების დაზღვევას. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით გაცილებით უფრო ეფექტურად უნდა ამოქმედდეს, როგორც სურსათის ეროვნული სააგენტო, (რომელიც უპირველესად მომხმარებელთა უფლებებს იცავს), ასევე სურსათის უვნებლობის სამსახური და თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიები, რათა არ დაუშვას, როგორც იმპორტულ, ასევე საექსპორტო პროდუქციაში სიცოცხლისათვის მავნე (კოლიფორმები, ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები, მედოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები, კოლიბაქტერიები და სხვ) ნივთიერებათა არსებობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების* რეგისტრაცია, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ „მეწარმეთა შესახებ" და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. ამასთან, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" კანონის მიზანს წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და რენტაბელობის ამაღლება, ეროვნული ეკონომიკის განვითარება, ***<u>ბიოლოგიური მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა,</u>*** საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით უცხო ქვეყნის მოქალაქეები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაახლოებით 18.5 ჰა მიწას ფლობენ, რაც ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მთელი ფართობის დაახლოებით 0,7%-ია [10].

რაც შეეხება საკვანძო საკითხის-*ბიოლოგიური აგროწარმოებისა და ბიოპროდუქციის რეგულირების ზოგად ასპექტებს*, იგი მოიაზრებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას ეკოლოგიურად სუფთა მეთოდებით და ორგანული წარმოშობის საშუალებათა გამოყენებით. ევროკავშირში ორგანული პროდუქტების წარმოების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ორგანული წარმოების შესახებ 2007 წლის 28 ივნისის რეგულაციით EC834/2007, რომელიც ჩაენაცვლა ადრე მოქმედ EEC2092/91 რეგულაციას. ჩვენთან „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ" საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2006 წლის 25 ივლისს, რომლის უმთავრესი მიზანიც გახლავთ ქვეყანაში ***ბიოლოგიური მეურნეობის მოწყობა, და მართვა,*** ბიოპროდუქტების წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აქ კანონის მე-5 მუხლით მოწესრიგებულია ბიომეურნეობის წარმოება ცალკე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, ხოლო მე-6 მუხლი აწესრიგებს ველურად მზარდი მცენარეებისა და მათი ნაყოფის შეგროვებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამასთან, მე-7 და მე-9 მუხლები კი ადგენენ ბიოწარმოების წესებს მეცხოველეობაში, რაც გამყარებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს

„სურსათის მონიტორინგის, ზედამხედველობისა და კონტროლის პროცედურების დამტკიცების შესახებ" №2-148 ბრძანებით [8].

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ძალზე ცუდი მოვლენა მოხდა სულ რამოდენიმე წლის წინ და კერძოდ 2011 წელს, როდესაც ჰიბრიდული სიმინდი ბაზარზე საფურაჟე ხორბალს „დაეჯახა". მას, გარდა იმისა, რომ დაბალი კვებითი ღირებულება აქვს, მისი გასაყიდი ფასი მის მოყვანაზე გაწეულ ხარჯებს ძლივს ფარავს. ამასთან, 2011 წლის 7 ნოემბრის მონაცემებით ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, და კერძოდ, უკრაინაში 52,4 მლნ. ტონა სიმინდის მარცვალი მოიწიეს, რაც თითქმის 30%-ით მეტი იყო წინა წლის მაჩვენებელზე, რომლის 1ტ-ის ფასიც შეადგენდა საშუალოდ 360 ლარს. აზერბაიჯანში ამავე წელს 2,4 მლნ ტონა მარცვლეულის, მ. შ. სიმინდის აღება იყო ნავარაუდები. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აშშ-ს ყოველწლიურად საშუალოდ 40 მლნ ტონა სიმინდი გააქვს ექსპორტზე. როგორც ექსპერტები (პროფ. პ. კოღუაშვილი) აღნიშნავენ, 1 ჰა-ზე საშუალოდ 36.000 სიმინდის ძირი იძლევა დაახლოებით 10,5 ტ მოსავალს. თუმცადა ხშირ შემთხვევებში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში (სოფლის მეურნეობის ექსტენსიური და ინტენსიური განვითარებით) 1 ჰა-ზე დასაშვებია 18 ტ. ხორბლის, 24 ტ. სიმინდის და 200 ტ. შაქრის ჭარხლის მიღება. აქვე კი ხაზი გვინდა გავუსვათ იმ მნიშვნელოვან მიღწევებს, რაც ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სექტორში, და კერძოდ, საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესმა ფართობებმა (ათასი ჰა) 2013 წელს 2010 წელთან (256.7ათ. ჰა) შედარებით 310,7 ათასი ჰა შეადგინა და შესაბამისად 19,7%-ით გაიზარდა. მრავალწლიანი კულტურების წარმოებამ (ათასი ტონა) 2010 წელთან შედარებით ხილის (124,1), ციტრუსის (52,1), ყურძნის (120,7) წარმოების თვალსაზრისით 2013 წელს შესაბამისად 217,6, 110,4, 222,8% შეადგინა და გაიზარდა 37,8, 43,4 და 54,7%-ით. რაც შეეხება აგროსასურსათო ექსპორტ-იმპორტის (მლნ. აშშ დოლარი) მაჩვენებლებს 2011 წელთან (იანვარი-მარტი) შედარებით 2014 წლის ანალოგიურმა მონაცემებმა, და კერძოდ, ექსპორტმა, იმპორტმა და ბრუნვამ 74, 276 და 350 მლნ. ტონის ნაცვლად შეადგინეს 178, 280 და 458 მლნ. ტონა. გარდა ამისა, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში 2013-14 წწ-ში დახმარება მიიღო 710 385-მა, ხოლო 2014 წელს კი 800 000-მდე ფერმერმა, ჯამში მოიხნა 420 ათას ჰა მიწის ფართობი, ხოლო 2014 წლის 26 ივნისის მდგომარეობით დარიგდა 609 420 სასოფლო-საამეურნეო პლასტიკური ბარათი. შეღავათიანი აგროკრედიტით 2013 წლის აპრილიდან დღემდე 18000-ზე მეტმა ბენეფიციარმა ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში (თუმცაღა ს/ს საქართველოს ბანკმა და სსიპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ წარმოადგინეს ბიზნესმენებზე მორგებული შეღავათიანი აგროკრედიტი, და კერძოდ, 6-დან 8%-მდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის/ძირითადი და საბრუნავი საშუალებების/ დასაფინანსებლად და 1-დან 3 %-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი საწარმოების შესაქმნელად ან არსებულის გასაახლებლად) 400 მლნ. ლარამდე თანხით ისარგებლა. პროექტის ფარგლებში უკვე შექმნილია 73 ახალი, ხოლო გადაიარაღდა და გაფართოვდა 418 საწარმო. 2013-2014 წწ-ში შეიზღუდა ქვეყანაში უხარისხო კარტოფილის იმპორტი. ამასთან, 2014 წელს ქვეყნიდან კარტოფილის 30-ჯერ მეტი ექსპორტი განხორციელდა წინა წლებთან შედარებით. სახელმწიფო პროგრამები მუშაობს ყველა მიმართულებით. <u>პრიორიტეტია იმპორტის შენარჩუნება, ექსპორტის ხელშეწყობა</u>, სადაც ამ უკანასკნელზე ყველანაირი გადასახადი გაუქმებულია. მუშაობა მიმდინარეობს მიწის (დ. გადეგაშვილი) გადასახადზეც, სადაც მიწის 20% აღურიცხავია და კომპეტენტური ორგანოებისათვის მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც უცნობია.

ამასთანავე, 2004 წლის 1 აპრილამდე შეძენილი 5 ჰა-მდე მიწის მფლობელები გათავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. ქვეყნის მთავრობამ გამოყო 40 მლნ. ლარი იმისათვის, რომ რაიონებში ჩამოყალიბდეს კოოპერატივები, შეიქმნას გადამამუშავებელი/მიმღები პატარა საწარმოები. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ ჩვენს ქვეყანას საშუალება მისცა ევროკავშირში შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, და კერძოდ, ნივრისათვის ეს კვოტა შეადგენს 2500 ტონას. ამასთან ერთად, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა (პროფ. მ. ჯიბუტი) ჯამში 22%-ია. ჩვენი ქვეყანა ვარაუდობს საშუალოდ 50-100 მლნ. აშშ დოლარის პროდუქციის რეალიზებას ევროკავშირში.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სისტემის სახელმწიფო რეგულირების სისტემა ავტორთა მიერ გაანალიზებულია ნაშრომში [6].

როდესაც ვიხილავთ საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლო ცვლილებათა დინამიკას, გვინდა გამოვყოთ რიგი დამახასიათებელი მომენტები და კერძოდ:

1. წარმოების გაფართოება მიიღწევა არა მწარმოებლურობის ხელოვნური (თუმცაღა ანალოგიური მდგომარეობაა რუსეთის ფედერაციაშიც) სტიმულირების ეფექტიანობის ცვლილებაზე დაფუძნებული, გაცილებით უფრო არსებითი, ინტენსიური გზით, არამედ იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც ორიენტირებულია, როგორც ნათესი ფართობების, პირუტყვის სულადობის, მშრომელთა რიცხოვნობის, ასევე სარგავი (სათესი) მასალის, მორწყვათა მოცულობის, საკვები ბაზის და ა.შ. გაფართოებაზე.
2. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში პირდაპირი (ცვლადი) დანახარჯების სიჭარბე.
3. კვლავწარმოებით ციკლში ნატურალურ-ბუნებრივი ელემენტების და აგრეთვე ხელით შრომის ფართოდ გამოყენება ბიზნეს-პროცესთა ოლიგოპოლისტური ხასიათის მიუხედავად წვრილ მეწარმეებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა.
4. მეწარმეობის ციკლისა და პროდუქციის რეალიზაციის მკაფიოდ გამოხატული სეზონური ხასიათის (განსაკუთრებით მემცენარეობის დარგებში) არსებობა.

ამგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნა/მოთხოვნილება როგორც წარმოების ფაქტორებზე, ასევე მათი ცვლილების მასშტაბებზე დამოკიდებული იქნება მოთხოვნაზე ეკოლოგიური პროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე. მეორე უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება ე.წ. ***რესურსის ზღვრული მწარმოებლურობა.*** ზოგადად ითვლება, რომ რაც უფრო მაღალია იგი, გაცილებით უფრო ხარისხიანი იქნება რესურსი. ამასთან, გაცილებით უფრო მწარმოებლური რესურსები, როგორც წესი, გაცილებით ძვირია. თუმცაღა ამგვარი მიდგომა ყოველთვის არ არის დამახასიათებელი განსახილველი შემთხვევისათვის. რესურსების მწარმოებლურობის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია ე.წ. ***პროდუქტიულობის ხელოვნური სტიმულირების ერთობლიობათა*** გამოყენებით, რომლებიც ძალზე ხშირ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდიან ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებთან. თუკი ცხოველთა პროდუქტიულობის გაზრდა მაღალპროდუქტიული ჯიშების წილის გაზრდის, სელექციურ სამუშაოთა, საკვები ბაზის ოპტიმიზაციის, ასევე მათი მოვლის ხარისხის ზრდის ხარჯზე იმყოფება ეკოლოგიური ნორმატივების მკაცრი დაცვის რაკურსში, ასეთ შემთხვევაში მიწის რესურსების პროდუქტიულობის ამაღლება მინერალური სასუქებისა და პესტიციდების დიდი რაოდენობების შეტანის ხარჯზე ობიექტურად აამაღლებს ეკოლოგიური საშიშროების დონეს. მაშასადამე, განვიხილავთ რა ***რესურსის ზღვრული მწარმოებლურობის ფაქტორს***

აუცილებლად უნდა მოვახდინოთ კორექტირება მისი ეკოლოგიური მდგენელის მთელ რიგ საბაბთა გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ხელაშვილი, ო. ვაშაკიძე. აგრარული ეკონომიკის განვითარების საფუძვლები, თბილისი, 2004.
2. შ. ხელაშვილი. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი. თბილისი, 2003.
3. Белоусов А.И. Курс эколого-экономического анализа. Уч. Пос., М., Финансы и статистика, ИНФРА-М, 2010.
4. Рубанова Н.Н. и др. Направления эколого-ориентированного управленческого учета на предприятиях ресурсодобывающих отраслей. Ростов-на Дону:ЮФУ, 2011№1.Ч.3, Т.9 ст-150-152.
5. Краткий экономический словарь под общей редакцией Докт. Экон. Наук, профессора В. Л. Куракова. М., 2012.
6. ვ. წვერავა და სხვ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასება. თსუ/პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი"№4, 2013.
7. Страхование. Под общей редакцией Докт. Экон. Наук, профессора Ю. Т. Ахведиани, Докт. Экон. Наук, профессора В. В. Шахова. ЮНИТИ. М., 2005.
8. მ. მითაიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამართლებრივი გარემო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
9. ო. მაღლაფერიძე. გამოყენებითი ეკონომიკა. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 1999.
10. http://www.transparency.ge/

ვლადიმერ წვერავა
ასოცირებული პროფესორი,
მიხეილ ირემაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
იზოლდა ადეიშვილი
პროფესორი
ქეთევან ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი,
დავით ნარიმანაშვილი
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
კახაბერ კახიძე
ეკონომისტი,
ვალერიანე კვარაცხელია
მაგისტრანტი

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხისათვის

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების თანამედროვე ასპექტები. შემოთავაზებულია დაზღვევის მექანიზმი, რომლის ამოქმედებაც აამაღლებს როგორც დარგის ეფექტურობას, ასევე გაზრდის წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლებს.

Владимир Цверава
Ассоциированный профессор,
Михаил Иремадзе
Доктор юридических наук,
Изольда Адеишвили
профессор,
Кетеван Бахтадзе
Ассоциированный профессор,
Давид Нариманашвили
Академический Доктор,
Кахабер Кахидзе
экономист,
Валериан Кварацхелия
магистрант

К СОВРЕМЕННОМУ ЭКОНОМИЧЕСКОМУ И ПРАРОВОМУ ВОПРОСУ ПРОИЗВОДСТВА ЭКОЛОГИЧЕСКИ ЧИСТОЙ ПРОДУКЦИИ В АГРОПРОМЫШЛЕННОМ КОМПЛЕКСЕ ГРУЗИИ

Аннотация

В работе проанализированы современные аспекты производства экологически безопасной продукции. Предложен механизм страхования, чье действие повысит как эффективность отрасли, так и показателей рентабельности производства.

Vladimir Tsverava
Associate professor,
Mikheil Iremadze
Doctor of juridical science,
Izolda Adeishvili
Professor,
Ketevan Bakhtadze
Associate professor,
David Narimanashvili
PH. Doctor,
Kakhaber Kakhidze
Economist,
Valerian Kvaratskhelia
Postgraduate student

TO CONTEMPORARY ECONOMICAL AND LEGAL QUESTION OF PRODUCTION AN ECOLOGICAL CLEAN PRODUCTION IN THE AGROINDUSTRIAL COMPLEX OF GEORGIA

Annotation

In the article analysed contemporary aspects of production of ecological safety production. Introduced mechanism of insurance, which influence adjusts as an effectivity of branch, as well as indicators of profitability of production.

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

გიორგი ხარშილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ტენდენციები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფონზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარება განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი საწყისი პირობებიდან ამ ქვეყნებმა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით განვითარების სხვადასხვა დონეს მიაღწიეს. პოსტსოციალისტური ქვეყნების თანამედროვე მმართველობით სისტემაზე გადასვლა გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფო მმართველობის მშენებლობასთან. ეს კი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობს. ყოველივე ამას სხვადასხვა განზომილება გააჩნდა, რომელთა გაერთიანებამაც ამ ქვეყნებში განვითარების სხვადასხვა კურსი ჩამოაყალიბა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა გამოვყოთ ქვეყნების ის ჯგუფი, რომლებიც დინამიკით და ტრანსფორმაციის მსგავსი ნიშნებით ხასიათდებიან. შედეგად, გამოიყოფა ასეთი ქვეყნების სამი ჯგუფი. პირველ ჯგუფში გაერთიანებული არის ის ქვეყნები, რომელთა მიმართულება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ განსაზღვრა. მეორე ჯგუფში ის ქვეყნები შედიან, სადაც ეკონომიკის ზრდის ფონზე მოდერნიზაციის პროცესი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანას დაშორდა და პოლიტიკურმა სისტემამ ავტორიტარული ხასიათი შეიძინა. მესამე ჯგუფში კი ის ქვეყნები უნდა მოვიაზროთ, სადაც დასავლური ვექტორი გამოკვეთილია როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარების ორიენტირი, თუმცა ეკონომიკური კურსის მდგრადობა და სტაბილური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ტრანსფორმაციის მიმდინარე ეტაპის ძირითად ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზეა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP + სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახადა საგარეო ვაჭრობის პირობები და წაახალისა ექსპორტის ზრდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები (ევროკავშირსა და საქართველოს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმება (შემდგომში „რეადმისიის შეთანხ-

მება") ძალაში შევიდა 2011 წლის პირველი მარტიდან. შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის გაძლიერება ხელშემკვრელ მხარეებს შორის უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და პირთა უსაფრთხო დაბრუნება ევროპიდან საქართველოში).

პრეფერენციული განზოგადების სისტემის (GSP) მთავარ იდეას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა სტიმული უნდა მისცენ განვითარებად ქვეყნებს ექსპორტის წახალისებაში. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის არსი მდგომარეობს ბენეფიციარი ქვეყნებისთვის დაბალი საიმპორტო ტარიფების დაწესებაში, რაც განვითარებად ქვეყნებს სტიმულს აძლევს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე თავისუფლად შეღწევაში. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა საქართველოს ისეთმა ქვეყნებმა მიანიჭეს, როგორიც არის ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია[2] .

2005 წლიდან, საქართველო და ევროკავშირი იყენებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით დადგენილ სატარიფო განაკვეთს. მეტიც, GSP+ რეჟიმი ვრცელდება ევროკავშირის საბაჟო სატარიფო კოდით აღნიშნულ, პროდუქტების დაახლოებით 66%-ზე. შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ წვდომას, ძირითადად, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას ქართული წარმოშობის დაახლოებით 7.200-ზე მეტი სახეობის პროდუქტისთვის[3]. აღნიშნული უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის ძირითადი მიზანია განვითარებადი ქვეყნების დახმარება მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შედეგად გენერირებული დამატებითი შემოსავლების გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის პროდუქტები, რომელთა მოძრაობა საზღვარზე მხოლოდ საბაჟო გადასახადის გამო ფერხდება, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია. რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომლებმაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა განაპირობა, ესაა - კაკალი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე, გამხმარი ხილი[4]. ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების გამოყენების შეფასების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს პრეფერენციების გამოყენების ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (92.52%), რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 90%-ზე მეტი ნულოვანი ტარიფით განხორციელდა[5]. ყველა დანარჩენი პროდუქტისთვის კი ad volarem (ღირებულების შესაბამისად) დადგენილი გადასახადები შემცირდა 3.5%-ით.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან და თურქეთთან. რაც იმას მიანიშნებს, რომ საქონელი და მომსახურება არ იბეგრება საიმპორტო ტარიფებით. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თურქეთთან 2008 წელს გაფორმდა, რის შედეგადაც

[2] http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade
[3] http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2013/december/tradoc_152012.pdf
[4] ევროკავშირის რეგულაცია № 978/2012, ევროპარლამენტი და ევროსაბჭო, 2012 წლის 25 ოქტომბერი
[5] ევროკავშირის გენერალიზებულ პრეფერენციათა სისტემის შუალედური შეფასება, 2010 წ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2010/may/tradoc_146195.pdf

სრულიად გაუქმდა საბაჟო მოსაკრებლები სამრეწველო პრუდუქციის იმპორტზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გამონაკლისები დაწესდა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ რეჟიმი გაუქმდება და ჩანაცვლდება DSFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ორმხრივ და ეტაპობრივ გაუქმებას. საქართველოს თავისუფალი წვდომა ბაზარზე იქნება „ყოვლისმომცველი", ვინაიდან იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და „ღრმა", ვინაიდან გამიზნულია ყველა სავაჭრო ბარიერის მოსახსნელად „საზღვრის მიღმა" ბარიერების ჩათვლით. შეთანხება ითვალისწინებს 95%- მდე ტარიფის მოხსნას, ნავარაუდევია სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს ასევე შეეხება მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რიგი გამონაკლისის გარდა. მავდროულად, ღრმა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისებრივად ახალ დონეზე აჰყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელია შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაო დროს მოითხოვს. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში.

ევროპასთან საერთო ეკონომიკურ სივრცეში შესვლით ქართული პროდუქცია იმავე პირობებით ისარგებლებს, როგორითაც ადგილობრივი პროდუქცია სარგებლობს. ამისთვის კი საჭიროა ევროპული სტანდარტების მკაცრი მოთხოვნების შესრულება, რაც რთული და ხანგძლივი პროცესია, მაგრამ საბოლოოდ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის გაუმჯობესება ექსპორტის პოტენციალის ზრდას განაპირობებს.

დღესდღეობით ევროპული ბაზარი 500 მილიონ მომხმარებელს აერთიანებს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი საკმაოდ მაღალია. ამასთან, მთლიანმა შიდა პროდუქტმა ევროკავშირში 2012 წელს 13 ტრილიონ ევროს (დაახლოებით 16 ტრილიონი აშშ დოლარი) შეადგინა[6]. საპროგნოზო გათვლებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 12%-ით გაი-

[6] http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home

ზრდება, ხოლო იმპორტი ევროკავშირიდან 7,5%-ით[7]. გრძელვადიან პერსპექტივაში კი საქართველოს მშპ 4,3%-ით ანუ 292 მილიონი ევროთი მოიმატებს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანმიმდევრულად იზრდებოდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები, თუ არ ჩავთვლით უკუსვლას 2009 და 2010 წლებში. საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი ევროკავშირის პროდუქციაზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 5.57%, სამრეწველოზე - 0.45). 2013 წელს სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის შემცირდა იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის შედეგად. 2012 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მთლიანი მოცულობიდან 20% ევროკავშირის ქვეყნებისკენაა მიმართული. ეს მაჩვენებელი 2013 წელს 23%-მდე გაიზარდა[8]. მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 26%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირთან სავაჭრო ტვირთბრუნვის 30%-ია.

ექსპორტირებული პროდუქტი სახეობათა მიხედვით არცთუ იმდენად დივერსიფიცირებულია. 2012-2013 წლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაჩნდა ახალი პროდუქტები, როგორიცაა გადამუშავებული და გაყინული ბოსტნეული, გაყინული თევზი, ზეთები, ბოსტნეულის წვენები და ექსტრაქტები. როგორც ჩანს, GSP+ რეჟიმით სარგებლობისა და იმპორტზე გადასახადის გაუქმების შედეგად გაიზარდა იმ პროდუქტების ექსპორტი, რომლებზეც ვრცელდება სავაჭრო რეჟიმი.

გრაფიკი 1: საქართველოს ექსპორტ-იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)[9]



საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტენდენციებისა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში ექსპორტისა და იმპორტის დინამიკის შეფასება. საერთაშორისო ვაჭრობაში ზრდად ჩართულობასთან ერთად იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები, თუმცა ამ უკანასკნელის

[7] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის კვლევა - „ევრაზიული საბაჟო კავშირის საფრთხეები ევროინტეგრაციის გზაზე: საქართველოს პერსპექტივა" 2013 წელი. გვ. 11
[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები
[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები

ზრდის მაჩვენებლები უფრო მაღალია. 2012 წელს საქართველოში იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ გადააჭარბა 2 მილიარდ აშშ დოლარს მაშინ. ამ 2 მილიარდი აშშ დოლარიდან კვების პროდუქტების წილი 1,2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია[10]. მაშინ როდესაც, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება 500 მილიონ აშშ დოლარზე ოდნავ მეტია.

2009 წლიდან 2013 წლამდე იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი გვაძლევს ნათელ სურათს არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და საკმაოდ კარგად აღწერს საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

ძირითადი საიმპორტო პროდუქციის დინამიკა 2009-2013 წლებში (ათასი აშშ დოლარი)[11]

	2009	2010	2011	2012	2013*
ხორბალი და მესლინი	105,506	174,156	184,232	239,953	184,336
სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, სიგარილები და სიგარეტები	57,425	78,990	86,743	90,565	95,690.2
შაქარი	50,408	74,233	89,738	84,682	67382,6
ხორცი და კვების სუბპროდუქტები, ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული	37,230	47,954	66,104	69,844	71,724
მზესუმზირის ზეთი, ველური ზაფრანის ან ბამბის ზეთი და მათი ფრაქციები	28,789	46,878	64,659	56,228	56,566
შოკოლადი და კაკაოს შემცველი სხვა კვების სუბპროდუქტები	42,863	46,616	50,523	53,074	62,156
გაყინული თევზი	22,505	26,881	30,894	33,638	35,315
არადენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები სპირტის 80 მოც %-ზე ნაკლები კონცენტრაციით	26,662	27,435	32,867	32,847	32,671
პური, ცომეული, ნამცხვრები და ანალოგიური	19,221	22,352	29,226	30,061	31,802
ღორის ხორცი ახალი, გაცივებული ან გაყინული	12,668	13,454	18,858	28,813	33,994
მარგარინი	15,814	20,846	27,283	28,525	27,372

[10] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის კვლევა: ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო გვ. 15
[11] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები

საქართველო წარმოადგენს ე.წ. ნეტო იმპორტიორ ქვეყანას, რაც გულისხმობს, რომ კვების პროდუქტებზე მოთხოვნის მეტი წილის (დაახლოებით 80%-ის) უზრუნველყოფა იმპორტის ხარჯზე ხდება. იმპორტირებული საქონლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო დამოკიდებულია იმპორტზე შემდეგი პროდუქტების შემთხვევაში: ხორბალი, თამბაქოს პროდუქტები, ხორცის პროდუქტები და მცენარეული ზეთები, ასევე, მარცვლეულის გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები. ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის მოყვანას ესაჭიროება დიდძალი მიწის რესურსები და მექანიზაციის მაღალი დონე, რაც არ წარმოადგენს საქართველოს კონკურენტულ უპირატესობას.

ექსპორტირებული საქონლის 10 წამყვანი ჯგუფის დინამიკის ანალიზი (2009-2013, წწ.) იმედის მომცემია, მაგრამ აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მიუხედავად იმისა, რომ თხილი წარმოადგენს საქართველოდან ბოლო წლებში განხორციელებული ექსპორტის წამყვან პროდუქტს, მისი მდგრადი წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული ფასების დინამიკაზე მიწასა და მუშახელზე, ახლო პროგნოზირებად მომავალში. პროდუქციის წამყვანი 5 კატეგორიის დანარჩენ ქვეყნებში (ევროკავშირის გარდა) ექსპორტის მოცულობებში მოხდა მკვეთრი ცვლილება. საქართველოსთვის რუსული ბაზრის გახსნის შედეგად ნატურალური ყურძნისგან მიღებული ღვინის ექსპორტი 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტი 55%-ით. ამდენად, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა და ახალმა შესაძლებლობებმა ქართველი მწარმოებლებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სურათი შეცვალა.

ძირითადი საექსპორტო პროდუქციის დინამიკა (ათასი აშშ დოლარი)[12]

პროდუქციის ექსპორტი, მლნ. აშშ დოლარი	2009	2010	2011	2012	2013*
სხვა: თხილი (კაკალი), ახალი ან გამხმარი	69,956	75,134	130,086	83,659	166,712
არადენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები სპირტის 80 მოც.%-ზე ნაკლები კონცენტრაციით	54,019	55,705	67,852	80,027	99,925
ნატურალური ყურძნის ღვინოები	31,997	41,138	54,103	64,871	127,850
წყლები, ბუნებრივი ან მინერალური	24,675	36,917	47,607	59,341	106,883
ხორბალი და მესლინი	3,248	7,242	6,169	52,062	47,743
მსხვილფეხა საქონლის ხორცი	16,903	19,310	28,213	39,267	47,630

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები

წყლები, მინერალური და გაზირებული, დამატებითი შაქრის შემცველობით	10,684	14,666	15,051	20,888	17,441
ხორცი ცხვრის და თხის	17,054	13,427	14,944	18,162	15,547
ხილის და ბოსტნეულის წვენები	2,883	6,201	6,312	12,537	7,358
სიმინდი	1,097	2,650	995	7,678	12,581
ციტრუსები ახალი ან ხმელი	15,703	12,143	5,263	7,670	20,187

მსხვილი საექსპორტო პროდუქციის დინამიკა უჩვენებს, რომ უმრავლესობას ამ პროდუქტებისა აქვს მაღალი ღირებულების შექმნის პოტენციალი, რასაც მუშახელის შედარებით დიდი ოდენობა ესაჭიროება და ამ მხრივ საქართველოს უდავოდ აქვს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია. სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს შესაძლოა ჰქონდეს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტული უპირატესობა. საქართველოს შემთხვევაში ასეთ სფეროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ ნავარაუდევია საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა 12%-ით, ხოლო იმპორტისა - 7.5%-ით. თუმცა, გათვლებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტები სექტორულ ლიდერს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან 60%-ზე მეტი მაჩვენებლით გაიზრდება შხამ-ქიმიკატების, რეზინისა და პლასტიკური მასალების წარმოების და ექსპორტის პოტენციალი

ექსპორტის პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გამო. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის გართულდება კოოპერატივებთან შედარებით, ისევე როგორც გაძნელდება მათთვის რისკების აღება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქტის გატანის თვალსაზრისით, ევროკავშირის მაღალკონკურენტული ბაზრების გათვალისწინებით. ამჟამად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დომინირებს პირველადი წარმოების პროდუქცია, ფერმერული მეურნეობები პროდუქციას ძირითადად თავიანთი მოხმარებისთვის ან ქაოსური გზით სავაჭროდ აწარმოებენ. ამდენად, კომპლექსური ღირებულებითი ჯაჭვის შექმნის გარეშე DCFTA-ს პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გათვლით, გაჭირდება.

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რადგან მათ ექნებათ უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან წვდომის პერსპექტივა, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად, ექნებათ სტიმულირება ახალი ბიზნეს-შესაძლებლობისა და ეკონომიკური ზრდის გამო. უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გამოწვევები,

რომელშიც ქართველი მწარმოებლები აღმოჩნდებიან, რადგან შეთანხმების შემდეგ გაიზრდება იმპორტი ევროკავშირიდან, განსაკუთრებით საწყის პერიოდში, რასაც დაემატება გაზრდილი ღრეჩულება პროდუქტებზე ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მკაცრი მოთხოვნების გამო. შესაბამისად, DCFTA შეთანხმების ამოქმედებით გამოწვეული შესაძლო გვერდითი მოვლენების და გამოწვევების მიზნით სახელმწიფო სტრუქტურებმა გარკვეული ტიპის ღონისძიებები შეიმუშავოს.

აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მხრივ და უფრო მეტად პერსპექტიულ სფეროებზე აქცენტირება პირველ ხანებში, რაც მომდევნო პერიოდში დაგროვილი სარგებლის სხვა სფეროებზე გადანაწილებას გულისხმობს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროკავშირის მიერ მოწოდებული ტექნიკური და ფინანსური დახმარების სწორ მიმართვაზე, ხელშესახები შედეგების მიღების მიზნით.

ევროკავშირის ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ნავარაუდევი ზრდის შედეგად ადგილობრივ მწარმოებლებზე გამოწვეული წნეხის შერბილების მიზნით მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მიზნობრივი სექტორალური პროგრამები და ინიციატივები კონკურენტულ დარგებში ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით. ეს ინიციატივები, უპირველესად, მიმართულ უნდა იქნას ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებისკენ, რათა მათ წარმატებით შეძლონ ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება არასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ მხრივ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დახმარებას სერტიფიცირების პროცედურებში, კონსულტაციების ჩატარებას, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდას.

DCFTA ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს რიგი შესწორებების შეტანით ქართულ კანონებში მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ამ პროცესში პარლამენტის როლი არსებითია, ვინაიდან მან უნდა გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და გარდამავალი პროცესი ნაკლებად მტკივნეული გახადოს ადგილობრივი ბიზნესმწარმოებლებისთვის. ჰარმონიზაციის პროცესი არ გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის უცვლელად გადმოტანას, არამედ იგი იძლევა სივრცეს ამ უკანასკნელის მოსარგებად ადგილობრივ რეალობასთან. აღნიშნულ კონტექსტში, საქართველოს მთავრობასთან ერთად, პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს ძირითად საკანონმდებლო შესწორებათა EX ANTE ზეგავლენის შეფასების განხორციელების იდეას, შესაძლო ალტერნატივათა გამოვლენის და მათგან ოპტიმალურის შერჩევის მიზნით, რომელიც დაინტერესებულ პირებს მოუტანს ნაკლებ დანახარჯებს, ხოლო ქვეყნის ზოგად კეთილდღეობას - მეტ სარგებელს.

საზოგადოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს გზას ევროპაში ინტეგრაციისთვის. ეს პრო-

ცესი წარმატებით მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის თურქეთში. შეთანხმება საქართველოში ეკონომიკური განვითარების, ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ინვესტორთა მიმზიდველობის ზრდის გარანტიას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade
2. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2013/december/tradoc_152012.pdf
3. ევროკავშირის რეგულაცია № 978/2012, ევროპარლამენტი და ევროსაბჭო, 2012 წლის 25 ოქტომბერი
4. ევროკავშირის გენერალიზებულ პრეფერენციათა სისტემის შუალედური შეფასება, 2010 წ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2010/may/tradoc_146195.pdf
5. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის კვლევა - „ევრაზიული საბაჟო კავშირის საფრთხეები ევროინტეგრაციის გზაზე: საქართველოს პერსპექტივა" 2013 წელი.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები
8. გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის აგროსამრეწველო განვითარება, ქვეყნის პროფილი – საქართველო, 2012 წ. http://www.fao.org/fileadmin/user_upload/Europe/documents/Publications/AI_briefs/AI_breiefs2012/fao_georgia.pdf

გიორგი ხარშილაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ტენდენციები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფონზე

ანოტაცია

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ხელშეკრულებას. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობები აღნიშნული ხელშეკრულების ფონზე. მასში გაანალიზებული და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება დიდ დახმარებას გაუწევს ქვეყანას ეკონომიკური განვითარების, ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ინვესტორთა მიმზიდველობის ჩამოყალიბებაში.

Гиорги Харшиладзе
аспирант Грузинскоио Университета
имени Святого Андрея Первозва́нново

ТОРГОВЫЕ ТЕНДЕНЦИИ ГРУЗИЯ-ЕС НА ФОНЕ ГЛУБОКОГО И ВСЕОБЪЕМЛЮЩЕГО СОГЛАШЕНИЯ О СВОБОДНОЙ ТОРГОВЛЕ

Аннотация

В 27 июня 2014 года между Евросоюзом и Грузии было подписано соглашения об ассоциации. В данной статье рассматриваются торговые отношении между Евросоюзом и Грузии на фоне етого договора. В статий проанализировано и сформулировано рекомендации котории поможет привести страну развитие политических, торговых, социальных, культурных связей и укрепление безопасности.

George Kharshiladze
PHD student St. Andrew the first called
Georgian University of the Patriarchate of Georgia

GEORGIA-EU TRADE TRENDS AGAINST THE BACKDROP OF A DEEP AND COMPREHENSIVE FREE TRADE AGREEMENT

Annotation

On 27 June 2014 was signed an agreement Association Agreement between EU and Georgia. The agreements also include a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). This article discusses the trade relations between the EU and the background of this agreement. There is analyzed and formulated recommendations which will help country to create business opportunities and bring higher standards of goods, better services, and increased competitiveness.

დავით ხაჟომია
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეგიონში სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ლოგისტიკური შეფასება

საქართველოში სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი ტენდენციები ფორმირდებოდა მთელი ამ წლების განმავლობაში, რომელმაც განსაკუთრებით თავი იჩინა ბოლო პერიოდში, რომელზეც გავლენა იქონია როგორც საგარეო ისე შიდა ფაქტორებმა. ამ ყველაფერმა მიიყვანა იქმადე, რომ წინა წლების სოციასლურ–ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესი გახდა რეგიონებში.

საწარმოო და სოციალურ–ეკონომიკური განვითარების რეგულირებას რეგიონების ჭრილში დიდი ხნის განმავლობაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. დღემდე არაა შემუშავებული კონკრეტული რეგიონების განვითარების სტრატეგია, რეგიონულ დონეზე არ არსებობს საგადასახადო–საბიუჯეტო სისტემა (რაც განვითარებულ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია); მოძველებული მექანიზმის საფუძველზეა აგებული ადგილობრივი საბიუჯეტო–საგადასახადო სისტემა, სადაც ძირითად როლს თამაშობენ ცენტრალური ტრანსფერები და უმნიშვნელო როლი უკავია ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რაც ამცირებს ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას, განკარგავს უფლებებს, ინიციატივის უნარს და ქმედითუნარიანობას ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებს ხარჯვის მიმართ. [1].

სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები პირველ რიგში მოითხოვს გადაწყვეტას და მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას. ეს პრობლემები გავლენას ახდენს დინამიკაზე, სტრუქტურასა და მოცულობაზე, როგორც მოქმედ ასევე პოტენციურ ინვესტიციებზე. ძირითად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფარგლებში განიხილება შემდეგი:

– ყოფითი, საცხოვრებელ–კომუნალური პრობლემები;
– ეკოლოგიური პრობლემები;
– მოსახლეობის დასაქმების პრობლემები;
– მოსახლეობის სოცუზრუნველყოფის პრობლემები;
– სოციალურად მნიშვნელოვანი წარმოებების მხარდაჭერის პრობლემები;

ყოფით, საცხოვრებელ-კომუნალურ პრობლემებზე დაკვირვება ხდება სოციალურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, კერძოდ: მოსახლეობის რაოდენობა, ქალაქის მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობა, დასაქმებულთა რაოდენობა, უმუშევართა რაოდენობა, უმუშევრობის დონე %-ში, საქონელბრუნვა, გამოშვებული პროდუქცია, სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი, იმპორტი, მ.შ.პ., მ.შ.პ. %-ში, მ.შ.პ. ერთ სულ მოსახლეზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი, ერთ სულზე საშუალო თვიური ხარჯი, საარსებო მონომუმი და ა.შ.

ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად უნდა შემუშავდეს ეკონომიკური რეგულირების სისტემა ბუნების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა აისახოს შემდეგში:

– ნებართვა ნაგავსაყრელებზე, რომელიც გაიცემა შესაბამისი სამსახურებიდან;

– შეთანხმებები და ლიცენზიები ბუნებით სარგებლობაზე. მასში დგინდება ნაგავსაყრელთა მოცულობა, ბუნების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა, ნორმატივები და წესრიგი დაბინძურებასთან დაკავშირებით გადასახადებში;

– ეკოლოგიური გუნდის სისტემის ფორმირება;

– შეღავათები საგადასახადო სისტემაში, მომდინარე შეღავათები უნდა გადაიხედოს წარმოებებისათვის, რომლებიც ასრულებენ ეკოლოგიური სამსახურის მოთხოვნებს.

აქტიურ სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებს წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმება. სხვა მიზეზებს შორის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების სიმცირე. იმ ამოცანების გადაწყვეტით, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას და დააინტერესებს მათ რაოდენობრივი ზრდით, რითმულ მუშაობას, შესაძლოა დასაქმების პრობლემების გადაწყვეტაც. "რეგიონებისთვის საჭიროა მცირე და საშუალო ზომის მიზიდულობის ცენტრების განვითარების სტრარეგიის შემუშავება. ასეთ ცენტრებში საჭიროა რეალური, საფინანსო და დამხმარე სექტორების სხვადასხვა საწარმოების მოზიდვა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიას ინფრასტრუქტურული დანახარჯების შემცირების შედეგად, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით შესაბამის ქალაქებში მცხოვრებ და სოფლიდან ქალაქებში მიგრირებულ უმუშევრებს" [2]

ქვეყანაში საერთოდ და მოსახლეობის გარკვეული ფენების ჭრილში სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი სექტორული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით ხელსაყრელი ეკონომიკური (მათ შორის საინვესტიციო) კლიმატის შექმნისთვის საჭიროა არსებული და ჩამოსაყალიბებელი სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების, ორგანიზაციების, საშუალებების და ინსტრუმენტების სათანადო მიმართულებით მოქმედების უზრუნველყოფა. დასახელებული კომპონენტების ერთობლიობა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედება წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმს .[3].

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემების უზრუნველყოფა შესაძლებელია მრავალმხრივი ინიციატივებით და პროგრამების სახით. მაგალითად, როგორიცაა: კომუნალური გადასახადების შეღავათები, შეღავათები ტრანსპორტზე, პირველადი მოხმარების საგნებსა და სხვა. თუმცა ეს პროგრამები ნაწილობრივ გარკვეული დოზით ხორციელდება.

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ–მწარმოებლური ხასიათის საწარმოების მხარდაჭერასთან. აუცილებელია იმ საწარმოების მხარდაჭერა, რომლებიც დიდი რაოდენობით ასაქმებს მოსახლეობას, რომლებიც შესაძლოა ბიუჯეტისთვის დიდად მომგებიანი არ იყოს.

საინვესტიციო მხრიდანაც რთული მდგომარეობაა, მთავარი მიზეზი არის გრანტების დაბალი დონე. „რეგიონებზე საინვესტიციო პროცესების რეგულირებისათვის წარმოიქმნება სამი აუცილებელი ასპექტი: რეგიონის ეკონომიკაში უშუალო ზემოქმედების ხარისხი (ფინანსური, ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის); გრანტები ინვესტიციაზე; ინფორმაციული უზრუნველყოფა". [4].

მიმდინარე დროს ძირითადი დანიშნულება გააჩნია მეორე ასპექტს. თუ არის სახელმწიფო გარანტიები, ამავდროულად გარანტიები ადგილობრივ (სახელმწიფო ორგანოებში) საჯარო სამსახურებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე უცხოელი ინვესტორები მზად არიან ჩადონ თავიანთი საშუალებები ინვესტიციურ პროექტებში (არასრულყოფილ საგადასახადო და ფინანსური სისტემის პირობებშიც კი). ამ შემთხვევაში დაბანდებული კაპიტალიდან ზედმეტი დანახარჯების რისკი ნაკლებია. არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს ინვესტიციური პროექტების შეფასებას შემდეგი მიმართულებით:

1. წლიური ხარჯების ანგარიშსწორების მაჩვენებლები:
- რეალიზაციის მოცულობა;
- მიმდინარე ხარჯები;

- გასავალი;
- სუფთა მოგების მოცულობა;
- ფულადი შენატანები აღნიშნული ინვესტიციიდან.

2. ანალიტიკური კოეფიციენტების შესყიდვის ვადა:
- ინვესტიციის მიმდინარე ღირებულება;
- ინვესტიციის რენტაბელურობა;
- ინვესტიციის პროექტის შესყიდვის ვადა.

3. კოეფიციენტების ანალიზი, რომლის დახმარებითაც კეთდება საბოლოო შეფასება პროექტის ხარისხზე.

სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნისას ერთ–ერთ პრობლემას წარმოდგენს ეკონომიკურ–ინვესტიციური ხასიათის ინფორმაციით სარგებლობა. ეკონომიკურ–ინვესტიციური ხასიათის ინფორმაციით სარგებლობა განაპირობებს რეგიონებზე ინფორმაციული ცენტრის და სტრუქტურის, ქვეყნის მასშტაბებით მათი ანალოგიურის ჩამოყალიბებას. ასეთი სისტემების ჩამოყალიბება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ბაზაზე და მათი დაფინანსება სახელმწიფო (რეგიონული) ბიუჯეტიდან არამიზანშეწონილი იქნება, რადგანაც ინფორმაციის მომხმარებლები იქნებიან კომერციული ორგანიზაციები და ფიზიკური პირები. მიზანშეწონილი იქნება სავაჭრო–სამრეწველო პალატის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენება, რეგიონული ინფორმაციული ცენტრის შექმნაში. ასეთმა ცენტრებმა არამხოლოდ უნდა შეაფასონ ინვესტიციური პროექტები, არამედ უნდა განახორციელონ საერთო ეკონომიკური (საჭიროების შემთხვევაში დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა) მონიტორინგი რეგიონებზე. ამიტომაც მიზანშეწონილია (გონივრულად) ჩამოყალიბდეს ის პირველ ეტაპზე ადგილობრივი ადმინისტრაციის მონაწილეობით, ცენტრალური ბანკის დანაყოფებიდან, სტატისტიკის და სხვა მსგავსი ორგანოებიდან. ცალკეული პირებისათვის და ორგანიზაციებისათვის ინფორმაციები იქნება ფასიანი, რომელიც დაცული იქნება შესაბამის ქსელებში. ინფორმაციის გამოყენების ანგარიშზე იქნება შესაძლებელი მაღალი ხარისხის ანალიტიკური მასალების მიღების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოდგენილი იქნება საჯარო სამსახურებიდან, აგრეთვე მათგან, ვინც იღებს შეკვეთებს პროგრამულ პროდუქტებსა და ტექნიკურ საშუალებებზე და იძლევიან სრულ ინფორმაციულ პროდუქტს.

სათანადო ინფორმაციული ცენტრის ფუნქციონირების საფუძველზე შეიძლება შედგეს ინვესტიციური რუქა და შესაბამისი რეგიონული საინვესტიციო პროგრამები. ასეთი პროგრამები და მექანიზმი უნდა შეიმუშავონ ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა. ამასთან, მთავარია, რომ ეს მექანიზმი ჩაერთოს არამხოლოდ ადგილობრივ საგადასახადო პოლიტიკაში, სახელმწიფო გარანტიებში, ლიცენზიებში და სხვა, არამედ, საწყის ეტაპზე მთავარ ეკონომიკურ და სოციალური პროგრამების რეალიზაციის კონტროლში.

-რეგიონული საინვესტიციო პროგრამების დამუშავებისათვის, რეგიონული საინვესტიციო რუქის საფუძველზე, მისაღებია გრაფიკულად დაყოფის მეთოდის გამოყენება. გრაფების თავზე განთავსდებიან ინვესტორები და რეციფიენტები (ინვესტიციების ინვესტირების შესაძლებლობები), გრაფიკის გვერდზე გამოისახება ინვესტიციის ეფექტი (დამოკიდებელია ინვესტორის კომერციულ მიზანზე და სხვა). ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს კომპიუტერული მოდელირების საშუალებით და ინვესტიციური პროექტის ოპტიმიზაციით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მონაწილისათვის მიზნის მისაღწევად. ასეთი ამოცანების გადაწყვეტას ამარტივებს ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციული უზრუნველმყოფი სისტემის დანერგვა.

საბიუჯეტო ინვესტიციური რესურსების გამოყენების პოლიტიკა უნდა იყოს კონცენტრირებული ორი მთავარი მიმართულებით. პირველი – სოციალუ-

რი სფერო (საცხოვრებელი, ჯანდაცვა, განათლება, მეცნეირება, კულტურა) და მეორე – ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო გზები, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა).

სასურველი საინვესტიციო კლიმატის მისაღებად აუცილებელია საგადასახადო მარჟების შემცირება და გარკვეულწილად საგადასახადო სტრუქტურის შეცვლა. საჭიროა: შემცირდეს საერთო გადასახედების დონე გარკვეული გადასახადების მომატების ხარჯზე (მაგ: ბუნების წიაღისეულზე, ხე–ტყის მოხმარებაზე გაცემული ლიცენზიები); საგადასახადო სისტემის გამარტივება, ამასთან საგადასახადო სამსახურის განმტკიცება. აუცილებელია არა მექანიკური შემცირება გადასახადების, არამედ, შეცვლა საგადასახადო მექანიზმის, რომელიც მისცემდა შეღავათს ინვესტიციური პროექტების განხორციელებას და ამით გაზრდიდა წარმოების მოცულობას. ამ შემთხვევაში იზრდება გადამხდელთა მოცულობა, რომლის მეშვეობითაც იზრდება გადასახადების მთლიანი რაოდენობა და დიდი შესაძლებლობა ჩნდება ინვესტიციური ამოცანების შესასრულებლად.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით უპირატესად საჭიროა საგადასახადო სტიმულირება. დიდ როლს ინვესტიციების მოზიდვისას წარმოებაში ასრულებს ფასიანი ქაღალდების ბაზართან მიმართება. უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო აქტები ინვესტიციის გარანტიებთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ქონების და ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტიებს.

მიმდინარე ნაშრომში გამოიყოფა ფაქტორთა ჯგუფი, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს უცხოური ინვესტიციის გაზრდაზე[5].

სოციალურ–პოლიტიკური ფაქტორები:

– რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობა;

– ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მმართველობას შორის ურთიერთობა;

– ადგილობრივი მმართველობის დამოკიდებულება უცხოურ ინვესტიციებზე;

–უმუშევრობის დონე და დასაქმებულთა ურთიერთობა მმართველ პირებთან.

შიდა ეკონომიკური ფაქტორები

– რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში;

– რეგიონული მოთხოვნის დონე;

– სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე;

– საბაზრო ინფრასტრუქტურის დონე;

– საგადასახადო–საბიუჯეტო პოლიტიკა ბაზარზე.

გარე ეკონომიკური ფაქტორები

– ბაზარზე ეკონომიკური პოტენციალის დონე;

– წარმოების იმპორტზე დამოკიდებულების დონე.

"ეკონომიკური აღორძინებისთვის უნდა მოვიზიდოთ უცხოური კაპიტალი... არ ვარ მომხრე დიდი მასშტაბით სესხი ავიღოთ უცხოეთიდან... უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ საბოლოოდ უცხოური კაპიტალის კაბალაში არ აღმოვჩნდეთ" [6]. „საინვესტიციო უცოდინრობის" პრობლემა:

ეს პრობლემა დასრულდება წარმოების მმართველობითი „ინვესტიციური უცოდინრობის" დაძლევით და კონსალტინგური ორგანიზაციების ქსელების განვითარებით, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიციური დახმარების გაწევა.

აუცილებელი პირობების შექმნით, რომელიც ჩართულია ერთიან ინფორმაციულ სივრცეში (ლპიუს) და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელს ხდის ყველა ფინანსური წყაროს გააქტიურების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების. ეს გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას რეგიონებში და მათ ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკის სივრცეში. საინვესტიციო აქტიურობები გამომდინარეობს ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან, როგორიცაა:

– რეგიონების ინვესტიციური მიმზიდველობა;

– ეკონომიკის ზრდის ტემპი;

– კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დონე;

– საგადასახადო შეღავათების არსებობა;

– სრული, სარწმუნო ინფორმაციის არსებობა;

– ეკონომიკის ზრდის, ტერიტორიული განვითარებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;

– ერთიანი ინფორმაციული სატრანსპორტო სისტემის არსებობა;

– რეგიონული სავაჭრო–სამრეწველო პალატის სისტემა, როგორც ადგილობრივი წარმოებისა და მწარმოებლების ინტერესების მხარდამჭერი.

მიმდინარე დროს პირველ რიგში წარმოჩინდებიან შიდარეგიონული სოციალ–ეკონომიკური განვითარების პრობლემები. ეს პრობლემები აფერხებენ ეკონომიკურ რეფორმებს და ლოგისტიკური სისტემების ჩამოყალიბებას.

შიდარეგიონული პრობლემების არსი შედგება შემდეგისაგან:

– რაიონების მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პირობების განსხვავებული დონეები;

– რაიონებში განსხვავებული პირობების გამო შემოსავლის არაეფექტური გამოყენება;

– ნაციონალური და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების აღრიცხვის სისტემის უქონლობა.

შიდარეგიონული პოლიტიკის არსი მდგომარეობს რაიონებს შორის რესურსების გადანაწილებით მიზნის მიღწევაში. მთავარია განვსაზღვროთ ობიექტი, სუბიექტი და შიდარეგიონული პოლიტიკის მიმართულება:

– შიდარეგიონული პოლიტიკის სუბიექტებს წარმოადგენს ხელისუფლება, როგორც რეგიონებზე სოციალკური ინსტიტუტების რწმუნებული.

– შიდარეგიონული პოლიტიკის ობიექტებს წარმოადგენენ რაიონები, სამხარეო ტერიტორიული ნაწილი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან გეოგრაფიული (ბუნებრივი და სოციო–ეკონომიკური) პირობებით და განსაზღვრული შიდაერთიანობით.

– შიდარეგიონული პოლიტიკა მიმართული სოცილურ–ეკონომიკური საქმიანობით მიმდებარე პროპორციისა და ტენდენციების განსაზღვრით.

შიდარეგიონული პოლიტიკის მთავარი განსაკუთრებულობაა ის, რომ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სხვადასხვა რაიონებს გააზრებული აქვთ დისკრიმინაცია საერთო ინტერესებიდან. რაიონების განსხვავებული ინტერესების არსებობა, რომლებიც ერთმენეთს არ ემთხვევა, სახელისუფლო ორგანოებს იძულებულს ხდის გაატარონ დისკრიმინაცია, რომელიც მიმართულია ინტერესთა შესაბამისობის მისაღწევად.

შიდარეგიონული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს რაიონების თანასწორობის დაბალანსებაში, რომელმაც შეიძლება წარმოქმნას სოციალური კომფლიქტები, რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისას. უპირველესად შიდარეგიონული პოლიტიკის ძირითადი ამოცანების გადახედვისას მიმართულებები მიდის ჩამორჩენილი რაიონების ბიძგის მისაცემად, რათა ისინი გაუთანაბრდნენ საშუალო მაჩვენებლებს."რეგიონალიზაცია,

როგორც საქართველოს განვითარების ფაქტორი, ცხადია, რომ უნდა იქნეს გამოყენებული ყოველი ადამიანის სასიკეთოდ და მთლიანად ქვეყნის ინტერესებისთვის". [7]

შიდარეგიონული პოლიტიკის საერთო მიზნად გვევლინება რაიონების შესაძლებლობების მიხედვით დაყოფის შეწყვეტა, გამომდინარე მოსახლეობის ცხოვრების დონიდან, რომელიც შეიძლება იყოს პრაქტიკული მიზნების განვითარების მხარდაჭერით ტრანსფორმირებული განსაზღვრულ რაიონებში. ფაქტიურად ამ დაყოფაში ამა თუ იმ პრინციპებით და კრიტერიუმებით ჩართულია რაიონების შერჩევითი პროცესი, რომელსაც სჭირდება დისკრიმინაცია საერთო მიზნების მისაღწევად.

განსაკუთრებით გამოიყოფა „სამართლიანობის" და „ეფექტურობის" მიზნები. პირველს სჭირდება მხოლოდ ეკონომიკური მსვლელობების დალაგება, რომლის დროსაც რაიონების მოსახლეობას გააჩნია მეტ–ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები სოციალურ–ეკონომიკურად სასურველი მდგომარეობის მისაღწევად. მეორე გვთავაზობს ცალკეული რაიონის მწარმოებლური პოტენციალის ეფექტურ მოხმარებას, საერთო რეგიონული მდგომარეობის ამაღლების მიზნით. როგორც წესი, ეკონომიკის ზრდისას დომინირებს პირველი მიზანი, ხოლო კრიზისისას მეორე. შიდარეგიონული პოლიტიკის მართვის ერთ–ერთ მეთოდს წარმოადგენს ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება ამ მიზნით ყალიბდება შემდეგი:

– საბიუჯეტო უზრუნველყოფის გათანაბრება ტერიტორიულ ჭრილში;

– ჩამორჩენილი რაიონების თანამონაწილეობა რეგიონული განვითარების პროცესში.

შიდარეგიონული პოლიტიკის სოციალური სფეროს პრიორიტეტებს წარმოადგენს: დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ჯანდაცვა, მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების რეგულირების რაციონალიზაცია, საერთო განათლების და პროფესიული ცოდნის სრულყოფა, მიგრაციული პროცესების მართვა.

რეგიონულ პრობლემებში გამოიყოფა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. პირველი ამ პრობლემებიდან არის რესურსების საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემა. აუცილებელია გამოიკვეთოს ვის უნდა ეკუთვნოდეს რესურსები: ცენტრალურ მმართველობას, სამხარეო მმართველობას, რაიონს, სადაც ეს რესურსია, თუ კერძო მესაკუთრეს. აქ მიიღება რამდენიმე გადაწყვეტილება. პირველი – უნდა განისაზღვროს უფლებისა და მესაკუთრეობის უფლებამოსილება. მეორე – უფლებამოსილება შეიძლება იყოს ერთდროული. მესამე – პრობლემა იყოფა ორ კითხვად, შემოსავლების გამოყენებასა და ხარჯებზე, რომელიც თან სდევს შედეგებს რესურსების ექსპლოატაციისას.

შემდეგ არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს სამხარეო მმართველობითი უფლებამოსილება საზოგადოებრივი ყოფის რეგულირებაში. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემა, რომელიც გულისხმობს უპირველესად ფინანსურ–მმართველობით დამოუკიდებლობის გააზრებას, მის ადექვატურობას მათ წინაშე არსებული ამოცანების გადასაწყვეტად, სადაც სირთულეს წამოადგენს ფუნქციების დანაწილება მმართველ სუბიექტებს შორის. სამხარეო მმართველობის უფლებამოსილებამ შეიძლება შეარყიოს რაიონებს შორის ურთიერთობები თანამონაწილეობაში, მოსახლეობის განწყობა, წარმოდგენილი უფლებამოსილებები. უფლებამოსილებების გადამეტებით საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისას ადგილობრივმა მმართველობამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კომფლიქტები.

შემდეგი პრობლემები გამოწვეულია ტერიტორიული, რაიონული, სტრუქტურული ნაკლოვანებებით. ტერიტორიულ სტრუქტურებს ყველა რაიონში აქვს თავისი ნაკლოვანება. შიდარეგიონული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ასეთი ნაკლის აღმოფხვრისკენ (მათი ნეგატიური ზეგავლენის შემსუბუქებისკენ). ტერიტორიული სტრუქტურის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ქალაქგარეთა ზონები, რომლის შედეგსაც წარმოადგენს არასრულყოფილი კონკურენცია, ასევე მანძილი, ცალკეული მომსახურების ალტერნატიულ მომწოდებლებთან შედარებით, აძლევს უპირატესობას ადგილობრივ მწარმოებლებს, რაც მიდის ადგილობრივ მონოპოლიასთან.

ნაკლოვანება ასევე მდგომარეობს ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ დანაწილების გაუმართაობაში. პრობლემის მოგვარება მდგომარეობს რეგიონებზე რაიონულ შერწყმაში. შერწყმის დადებითი მხარეებია:

– რაიონებს შორის არსებული საზღვრების მოშორება, რომელიც წარმოადგენს ბარიერებს მათ ურთიერთსაქმიანობაში;

– მწარმოებლური კავშირების გაღრმავება ტერიტორიულ–მწარმოებლურ კომპლექსში.

სამხარეო და რაიონული წინააღმდეგობა (როგორც წინააღმდეგობები მთლიანსა და მის ნაწილს შორის) სამხარეო ხასიათის ფაქტორებში შეინიშნება. რაიონულ უთანაბრობას, როგორც მის განვითარებაში, ასევე სხვა ნაწილშიც, მიყავს გარკვეულ ნეგატიურ შედეგამდე.

ტრადიციულად გამოიყოფა ტერიტორიულ მხარეებად სამი ზონა, როგორც სასოფლო–სამეურნეო დარაიონებით, ასევე მწარმოებლური ორგანიზაციების საერთო ხასიათით. სენია - აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი ზონები.

დომინანტ როლს ასრულებს ცენტრალური ზონა, რომელიც ეკონომიკურ–გეოგრაფიულად, მომგებიანობის თვალსაზრისით, შედარებით მაღალ საფეხურზე დგას. თავს იყრის მოსახლეობის მეტი ნაწილი, ამასთან მიმდინარეობს დამკვიდრება საცხოვრებლად სხვა ზონებიდან. ამან გამოიწვია ქალაქის გადიდება მოსახლეობით და რაიონების მწარმოებლურობის შემცირება. ამ ტენდენციამ მიიყვანა სასოფლო–სამერნეო გადამუშავების „კატასტროფამდე" და ღირებული ადგილების მიტოვებამდე ან გაყიდვამდე შეუსაბამო ფასად.

ტენდენციებზე დაკვირვებამ გვიჩვენა რეგიონებში არსებული მთელი რიგი ნეგატიური შედეგები. მაღალკონცენტრირებულმა წარმოებამ და დასახლების მასშტაბებმა ცენტრალურ ზონაში (ქალაქებში) მიგვიყვანა დატევის ამოწურვამდე, ამიტომაც შეიქმნა რთული ეკოლოგიური მდგომარეობა. ამავდროულად, აღმოსავლეთ-დასავლეთ ზონებში მივიღეთ შედარებით სუსტი განვითარება, ეს ხელსაყრელი წინაპირობების გამოუყენებლობის შედეგია. აღსანიშნავია, რომ მათ ააქვთ ვიწრო სამეურნეო პროფილი, გადამამუშავებელი, მომსახურების და ინფრასტრუქტურული რგოლების სუსტი განვითარებით, რაც ასუსტებს ახალ პირობებთან ადაპტაციის შესაძლებლობას.

მეორე პრობლემას წარმოადგენს „კრიზისული" ქალაქები და ტერიტორიები, რომლებმაც ვერ შეძლეს თვითმყოფადობა. აუცილებელია ობიექტურად შეფასდეს მათი შესაძლებლობები და შემუშავდეს პროგრამა, რომელიც შეაძლებინებს კრიზისის დაძლევას. ამის მიზეზია სამუშაოების არარსებობა, უმუშევართა ზრდა, წარმოების ვარდნა, სავალალო ეკოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ამოქმედდეს „რეგიონული საინოვაციო სისტემა".

„რეგიონული საინოვაციო სისტემა წარმოადგენს რეგიონის შედარებით უპირატესობების ნიშნით სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების შეჯგუფებას და თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზა-

ნია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქ-ტურების, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება–განვითარება და ამის საფუძველზე ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის" [8].

მესამე პრობლემა გამოწვეულია „ეფექტურობა-თანასწორობა" ტიპის წინააღმდეგობებით. ეკონომიკურ კონტექსტში ეს წინააღმდეგობები იღებს შემდეგ სახეს: თუ იზრდება ეკონომიკური ზრდის ტემპი, მაშინ აუცილებელია სამრეწველო წარმოების ობიექტების აშენება მოწინავე რაიონებში, მაგრამ ამ შემთხვევაში მივიღებთ არათანაბრობას რაიონებს შორის განვითარების დონით, თუ გავათანაბრებთ ამ დონეს, მაშინ ეკონომიკური ზრდის ტემპი დაეცემა.

სამხარეო მმართველობაში (გუბერნიებში) ბევრი მცდელობაა პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის მხრივ. ამასთან აუცილებელია გამოვყოთ პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას მიმდინარე მომენტის, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი გეგმების განაწილებისას.

1.გრძელვადიან გეგმებში პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ სამხარეო მმართველობის ფორმირება, როგორც ერთიანი ორგანიზმი.

სამხარეო ერთიანობის უზრუნველმყოფი სისტემის ელემენტებს შორის, შეიძლება გამოვყოთ მმართველობითი სტრუქტირები - სისტემის ელემენტებს შორის მდგრადი კავშირების ერთიანობა; ფულად-საკრედიტო სისტემა; ადმინისტრაციულ-პოლიტიკური; სოციალურ-დემოგრაფიული და ტერიტორიულ-ინფრასტრუქტურული სტრუქტურა.

ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გარეგნულად ორიენტირებულმა შესაძლებლობებმა წარმოება მიიყვანეს ნეგატიურ მდგომარეობამდე, რომელიც გამოიხატა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბლ მაჩვენებლებში.

ამასთან ერთად ობიექტური წინაპირობები გვაძლევს საშუალებას საკმაოდ ეფექტურად განვავითაროთ ცალმხრივმიმართული წარმოებები, როგორც სპეციალიზაციის გაღრმავებით და მძლავრი მრეწველობის კოოპერაციით რეგიონებზე, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებით და წარმოებით, რომელიც შესაზლებელია სოფლის მეურნეობის დახმარებით, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით, ბუნებრივი რესურსების მეურნეობრივ ბრუნვაში ჩართვის ამაღლებით და სხვ. ამ მიდგომის სარეალიზაციოდ აუცილებელია ინფრასტრუქტურული დონის ამაღლება, აქტიური ჩაბმა ინოვაციების, სამართლებრივი და ფინანსური მექანიზმების სტიმულირების გამოყენება. ეს მოგვცემს საშუალებას რეგიონული მეურნეობების დივერსიფიკაციის და მისცემს მას მეტ მდგრადობას საბაზრო პირობებში, ასევე იძლევა საშუალებას რეგიონებზე უკეთ უზრუნველყოს მწარმოებლური ძალის რაციონალურობა, ამცირებს მოსახლეობის გადინებას რეგიონებიდან, შესაძლებლობა გაჩნდება ახალი სამეურნეო-ორგანიზაციული ცენტრების ფორმირების. ამით გაუმჯობესდება სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებლები რეგიონებზე, ეს საშუალებას იძლევა გადავწყვიტოთ ამასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც.

2.ცენტრალური ზონების (ქალაქების) განტვირთვა და აღმოსავლეთის და დასავლით ზონების მეურნეობრივი განვითარება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

– ეკონომიკურ სფეროში: წარმოების სტიმულირებისათვის სამეცნიერო-მწარმოებლური ტექნოლოგიების მკაცრი შერჩევა. მეურნეობრივი საქმიანობის აქტივიზება აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში აგროსამრეწველი კომპლექსის რგოლების ფორმირება.

– საინჟინრო-ინფრასტრუქტურული და ქალაქთმშენებლობის სფეროში - ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დონის ამაღლების უზრუნველყოფა: სატრანსპორტო ქსელი, კავშირის სისტემა, ენერგოსიმძლავრეები, ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბება, წარმოების სფეროში ინჟინრულ-დაგეგმარებითი რეფორმები, ახალი ალტერნატიული ცენტრების შექმნა აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში, რაც გულისხმობს ორგანიზაციულ-მეურნეობრივი ცენტრების როლის ამაღლებას რაიონებს შორის ურთიერთობისას.

– ეკოლოგიურ სფეროში - საწარმო საშუალებების მიერ დაბინძურების კარდინალური შემცირება.

– რეკრეაციულ სფეროში: ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში არსებულის შენარჩუნება და დაცვა. იმ ობიექტების მშენებლობისა და ფუნქციონირების აკრძალვა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიურად ტბებს და მდინარეებს და შავი ზღვის სანაპიროებს.

3.საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ამაღლება არსებულ ქალაქებსა და რაიონებში - ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ხელშემწყობი საშუალებების შექმნით, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიანი განვითარებით; სრულფასოვანი სატრანსპორტო-საინჟინრო ინფრასტრუქტურით; ისეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელებით, როგორიცაა ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციული უზრუნველმყოფი სისტემა (ლპიუს); კარგი ეკოლოგიური მდგომარეობით; გაუმჯობესებული სოციალური ინფრასტრუქტურით; საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი უზრუნველყოფით.

4. მუნიციპალური განათლების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ამაღლება და მათი ჩართვა სამხარეო ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

მუნიციპალურ განვითარებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მიმართულება: პირველი - ეს არის მკაცრი იერარქია, კონცენტრირება ფინანსურ რესურსებზე, სუსტი თვითგანვითარება; მეორე - დატვირთვის რაციონალური განაწილება. მიმართულების არჩევა უნდა განხორციელდეს ადგილზე შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით.

5. მონიტორინგის ორგანიზაციების სრულყოფილება - ეს უზრუნველყოფს სისტემურ დაკვირვებას და კონტროლს ღონისძიებების განხორციელებისას, ობიექტის შეფასებას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი ინდიკატორის მიგნებით.

ყოველივე ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის დასაქმების დონეს, მოქალაქეთა რეალურ შემოსავლებს, მეურნე სუბიექტისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამოვლინებას.

მიმდინარე დროს დიდი აქტიურობაა მიმართული ინვესრიციების მოსაზიდად ეკონომიკის განვითარებისთვის.

სამხარეო ბიუჯეტიდან ან მისი მსგავსი წყაროდან გამოყოფილი საკრედიტო რესურსებთან დაკავშირებით ჩნდება წარმოდგენილი ინვესტიციური იდეის დეტალური შესწავლის და გამოყენების აუცილებლობა, რომელიც შეიძლება იყოს მეტნაკლებად კომერციული მიზანმიმართულების. მეტი სტიმულირებაა საჭირო სოციალური და ბიუჯეტისთვის ეფექტური პროექტების განხორციელებისთვის, რომლებიც მიზნის მიღწევამდე და გამოყოფილი საშუალებების დაბრუნებამდე უნდა კონტროლდებოდეს. იმ პროექტების მიმართ, რომლებიც შეიცავენ მაღალ რისკს სამხარეო ადმინისტრაციისთვის, უნდა გაიზარდოს მოთხოვნები მათ მიმართ მომზადების, ექსპერტიზის და შერჩევისას.

პრეტენდენტ საწარმოთა ჩართულობა კრედიტის მიღებაზე, ინვესტიციური პროექტების შერჩევა, ანალიზი, ექსპერტიზა და განხორციელება დამოკიდებუ-

ლია რეგიონული განვითარების სამინისტროზე, რომელიც მოქმედებს ფინანსთა სამინისტროს კონტროლქვეშ.

საწარმოები, რომლებსაც სურთ განახორციელონ ინვესტიციური პროექტი, მიმართავენ რეგიონული განვითარების სამინისტროს, სადაც მუშავდება ეს პროექტები. შემდეგ ეტაპზე ტარდება ტენდერები, შემსრულებელი ორგანიზაციის გამოსავლენად. ამ შემთხვევაში რისკი დაბალი იქნება, თუ რეგიონული განვითარების სამინისტროს თანამშრომლები შესასრულებელი სამუშაოების ყოველ დეტალს, ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების შესაძლებლობებს ბოლომდე გათვლიან.

რისკის შემცირება შესაძლებელია ამ პროცესებში სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართვით, რომელსაც გააჩნია ყველა ფირმასა თუ ორგანიზაციაზე სათანადო, სრულყოფილი ინფორმაცია და მონაცემები. აქ არიან გაერთიანებული ორგანიზაციები და ფირმები, რომლებსაც განუხორციელებიათ სხვადასხვა სახის პროექტები, აქვთ გამოცდილება და შედეგები საქმიანობებიდან. ამიტომაც მათი ჩართულობა პროექტის მომზადებისას, ექსპერტიზისას და შერჩევისას რეკომენდირებულია რისკების შემცირების მიზნით.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას გააჩნია პროექტების შემსწავლელი და საშემსრულებლო პოტენციალი. მას შეუძლია პროექტის ანალიზი და ეკონომიკური შეფასება გააკეთოს პროფესიონალურ დონეზე, მასში არსებული კადრებით ან დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით, სადაც დაცული იქნება მიუკერძოებლობის პრინციპი პროექტის შეფასებისას.

ინოვაციური პოლიტიკის მართვის და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის შექმნის იდეა, კომპლექსური მომსახურების გაწევისას მოგვცემს შედეგს შემდეგში:

- ტექნიკურ-ეკონომიკურ გათვლებში;
- ბიზნეს-გეგმებში;
- ინვესტიციურ პროექტებში;
- პერსპექტიული პროექრების მოძიებასა და შესწავლაში;
- პროექტის ექსპერტიზისას, რომელიც წარმოდგენილია სამხარეო ბიუჯეტისა და სხვა წყაროს დაფინანსებით;
- რეგიონში სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, რომელიც ხელს შეუწყობს რაიონებში ინვესტიციური პოლიტიკის გატარებას და სტრატეგიული გეგმების შემუშავებას.

ინვესტიციური პოლიტიკის მართვის და ეკონომიკური ანალიზის მმართველობითი საქმიანობა იქნება ორიენტირებული რეგიონებზე ინვესტიციურ-ფინანსური მექანიზმის რაციონალური ორგანიზებისაკენ და მოთხოვნის კომპლექსური მომსახურებით დაკმაყოფილებისაკენ ინოვაციური პროექტების სფეროში.

„საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის დინამიკური ზრდისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სუბსიდიების პრინციპზე დაფუძნებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სათანადო პოლიტიკას, შესაბამისად გაწერილი სტრატეგიის თანმიმდევრულ და კოორდინირებულ განხორციელებას". [9].

სამმართველომ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს შესაბამის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების საშუალებით საბაზრო ურთიერთობების

ჩარჩოში (პროექტის შერჩევის, ანალიზის, გადამუშავების და ექსპერტიზისას ექსკლუზიური უფლება).

მიდგომა მოითხოვს რეორგანიზებას, არსებული პრაქტიკის გადახედვას, რეგიონული განვითარების სამინისტრო, რომელიც აფასებს პროექტებს, აკავშირებს ინიციატორებს და შემსრულებლებს, არჩევს ფირმებს, რომლებიც პროექტებს დამუშავებას და ექსპერტიზას უკეთებს და სხვა, ვთვლით, რომ აუცილებელია უფლებების ნაწილი გადასცეს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინოვაციური პოლიტიკის მართვას და ეკონომიკური ანალიზის სამმართველოს, სადაც გაერთიანებულია კვალიფიციური სპეციალისტები და წარმოებრივი ბაზა სამუშაოს განსახორციელებლად.

მიმაჩნია, რომ ზემოთ აღინიშნული ბიუჯეტისთვის ეფექტურია და ორგანიზაციულად მიზანმიმართული, რაც გულისხმობს ინვესტიციური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზებაში სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართვას, რომელიც დიდ როლს ითამაშებს რეგიონულ განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ ბურდული. „საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის გზები" ჟურნალი ეკონომისტი №4 2011 წ. –გვ. 14
2. ვახტანგ ბურდული, „ტერიტორიული მოწყობისა და საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის თანამედროვე პრობლემები საქართველოში" ჟურნალი „ეკონომისტი" №5, 2013 წ.–გვ 27 .
3. ვახტანგ ბურდული. „სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის სრულყოფის საკითხები" ჟურნალი ეკონომისტი. №1. 2011 წ. –გვ 34.
4. Кувалин Д. Инвестиционная политика регионов// Проблемыпрогнозирования, №1, 1999.წ.,გვ.77-87.
5. Кобринский Н.Е. и др. Введение в экономическую кибернетику. М.:Экономика, 1975.წ.– 343გვ.
6. ვალერიან ადვაძე. „ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი" გამომცემლობა „მერანი" თბილისი 2005 წ. 355 –გვ. 13.
7. გივი ბედიანაშვილი, „ქვეყნის ტერიტორიული სტრუქტურა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სისტემური საფუძვლები" ჟურნალი „ეკონომისტი" № 5, 2013 წ.–გვ.36
8. ლამარა მინდორაშვილი. „საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია" ჟურნალი ეკონომისტი №6. 2010 წ. –გვ.41.

დავით ხაჟომია
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეგიონში სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ლოგისტიკური შეფასება

ანოტაცია

ნაშრომში აღწერილია ქვეყანაში არსებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, გამომწვევი მიზეზები. განხილულია მდგომარეობა რეგიონებში და მდგომარეობიდან გამოსვლის გზები ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესებით, მმართველობის დეცენტრალიზებით, რეგიონებისათვის მეტი უფლებამოსილიბის მინიჭებით და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებით.

Давид Хажомия
Доктотант, Университет Грузии им. Святого Андрея
Первозванного при Патриархии Грузии

ЛОГИСТИЧЕСКАЯ ОЦЕНКА СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ УСЛОВИЙ В РЕГИОНАХ

Аннотация

В работе описывается социально-экономическое положение в стране и причины вызывающие её. Рассматривается положение в регионах и пути выхода из положения при помощи улучшенияинвестиционной среды, государственной децентрализации, предостовления больших полномочий регионам и улучшения бизнеса.

David Khazhomia
PhD Student,
Saint andrew the First-Called Georgian University

LOGISTICAL ESTIMATION OF THE SOCIO-ECONOMIC CONDITIONS IN REGIONS

Annotation

The paper (work) describes the current socio-economic situation in the countri and ats causes. The paper discusses the situation in regions and the ways out of the situation by and improving the investment environment, decentralization of governance, granting more powers to the regions and improving the business.

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მონაწილეობა და მისი შედეგები

ნაცრისფერი გარემო, მცხუნვარე მზე და გადამხმარი მიწა... იმისი წარმოდგენა რეალობაში, რაც მხოლოდ ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში გვაქვს ნანახი, ცოტა გვეძნელება, მაგრამ მართლაც არსებობს საფრთხე, რომ ადამიანმა ცივილიზაციის კვალდაკვალ გაჩენილ გარემოს დაბინძურებას ვერაფერი უშველოს და კატასტროფამდე მივიდეს.

ამჟამად მწვავედ დგას ჰავის, წყლის, ნიადაგის გაჭუჭყიანების საკითხი. ხე–ტყის გაჩეხვის შედეგად გამოწვეული ჟანგბადის დეფიციტი, ზღვებსა და ოკეანეებში ნავთობ პროდუქტების გაჟონვა, ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი და სხვა. არსებობს გარემოს დაბინძურების ბუნებრივი და ანთროპოგენული მიზეზები, მათ შორის: ენერგეტიკა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გამონაბოლქვი, პესტიციდები, სამრეწველო საქმიანობა, რადიაცია და სხვა. ამ ყოველივეს კი საბოლოო ჯამში მივყავართ გარემოს დეგრადაციამდე.

განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა დგას საქართველოს და უფრო ჩვენი დედაქალაქის - თბილისის წინაშე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია ევროპაში.

გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის დანერგვის მცდელობა საქართველოში ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან იწყება. 1996 წელს მიღებულ იქნა ჩარჩო კანონი „გარემოს დაცვის შესახებ". ეს კანონი ითვალისწინებს ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვის სამინისტროს ანიჭებს. კანონი ასევე ითვალისწინებს გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მომზადებას, რომელთა მომზადებაც, მდგრადი განვითარების სტრატეგიის საფუძველზე, კანონის მიხედვით, ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციაა. ამ სტრატეგიის მომზადების მიზნით 1996 წელს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა მდგრადი განვითარების სამთავრობო კომისიამ ვერ მოახერხა სტრატეგიის შემუშავება და კომისია 2005 წელს გაუქმდა. იმავე წელს ხელახლა შეიქმნა მსგავსი კომისია, მაგრამ ქვეყანაში ჯერჯერობით მდგრადი განვითარების სტრატეგია შემუშავებული არ არის.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება საქართველოში მრავალი საერთაშორისო ვალდებულებითაც ხდება. დღეის მდგომარეობით საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს საქართველოს. ამისდა მიუხედავად, ვერ ხერხდება ყველა საერთაშორისო ვალდებულების სრულყოფილად განხორციელება.

წყლის დაცვა საქართველოში

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. თუმცა ეს რესურსი ბუნებრივად არათანაბრად არის გადანაწილებული და უპირატესად თავმოყრილია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის რეგიონები ხშირად წყლის ნაკლებობას განიცდიან.

საქართველოში წყლის დაბინძურების ძირითადი წყაროა მუნიციპალური ჩამდინარე წყლები. გამოკვლეული მდინარეების უმრავლესობაში აღინიშნება ამონიუმის და ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარების მაღალი მაჩვენებლები,

ხოლო ცალკეული მდინარეების ზოგიერთ კვეთებზე მძიმე ლითონების კონ-ცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმებს აჭარბებს. [1]

საქართველომ, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორმა ქვეყანამ, აიღო ვალდებულება, მიუახლოვოს მისი წყალთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირის წყლის კანონმდებლობას. თუმცაღა აქაც საქართველოს კანონი „წყლის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს, მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. არ მოიცავს წყლის მართვის და დაცვის მთელ რიგ ასპექტებს და ასევე მოკლებულია სხვა სექტორებთან კავშირებს. იმისათვის, რათა მოხდეს არსებული საკანონმდებლო შეუსაბამობების აღმოფხვრა და წყალთან დაკავშირებული საკითხების სრულად დაფარვა, აუცილებელია წყლის შესახებ ახალი კანონის მიღება, შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად. [2]

შავი ზღვა არის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი რეგიონული ზღვა მსოფლიოში ღია ოკეანესთან შეზღუდული წყლის გაცვლისა და კონტინენტური ევროპის დიდი ფართობის დრენაჟის გამო. მასში ჩაედინება ბევრი მდინარე და ფლობს უნიკალურ ფიზიკურ და ქიმიურ ნიშანთვისებებს, რომლებიც შესაბამისად უნიკალური ბიოლოგიური თემების წინაპირობაა. ის ასევე არის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ენდემური სახეობების, ისევე როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე თევზების საცხოვრებელი ადგილი. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის შავი ზღვის სანაპიროს ეკონომიკური და სოციალური კუთხით.

<u>შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია</u> (ბუქარესტის კონვენცია) განიხილავს ამ პრობლემებს მის ხელმომწერებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. მონიტორინგის ქსელის განვითარება/გაუმჯობესება ითვლება მაღალი პრიორიტეტის მქონე მართვის მიზნად. პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემდგომი კოორდინაცია შავი ზღვის ქვეყნებს შორის არის ასევე საერთო ინტერესი ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, რომლებიც ასევე არიან შავი ზღვის კომისიის (BSC) წევრები, იმდენად, რამდენადაც ეს გავლენას ახდენს მათ უნარზე შეასრულონ ევროკავშირის კანონმდებლობა და პოლიტიკა, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა (WFD) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა (MSFD).

შამწუხაროდ, აღნიშნული პროექტები და კონვენციით განსაზღვრული შეთანხმებები საქართველოს ტერიტორიაზე სათანადოდ არ განხორციელებულა. [3]

ატმოსფერული ჰაერის დაცვის პროგრამები

ატმოსფერული ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან გარემოს დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ატმოსფეროში დამბინძურებლების, კერძოდ კი – ისეთი მავნე ნივთიერებების, როგორიცაა: ნახშირბადის, აზოტისა და გოგირდის ოქსიდები, მყარი ნაწილაკებით, ორგანული ნაერთების და ა.შ. დაშვებულზე მაღალი კონ-ცენტრაციები უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და მატერიალურ ფასეულობებზე.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ძირითადად ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით. ამათგან სატრანსპორტო სექტორზე მოდის: ნახშირჟანგის გაფრქვევათა – 87%, აზოტის ჟანგეულების – 70%, გოგირდის დიოქსიდის – 50%, აქროლადი ორგანული ნაერთების – 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.მიზეზი მოძველებული ავტოპარკი და დაბალი ხარისხის ფილტრებია.

სამრეწველო სექტორში ისტორიულად ძირითად დამბინძურებელ წყაროდ ითვლებოდა ცემენტის წარმოება რუსთავსა და კასპში, ფეროშენადნობთა წარმოება ქ. ზესტაფონში, მეტალურგიული კომპლექსები რუსთავსა და ქუთაისში. გასულ წლებში ცემენტის წარმოების გაფრქვევები მოწესრიგდა. ასევე მიმდინარეობს მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით ფეროშენადნობთა ქარხანა ინარჩუნებს „წამყვან" როლს ამ რეგიონში მანგანუმის მტვრის (MnO2) ემისიის დონით.

კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ მიღებულია ქ. ჟენევაში (შვეიცარია) 1979წ, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999წ., რითაც ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ შეიმუშაოს საუკეთესო პოლიტიკა, სტრატეგია და რეგულირების ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება გაწონასწორებულ განვითარებას საუკეთესო, ხელმისაწვდომი, ეკონომიკურად გამართლებული მცირენარჩენიანი/უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ფარგლებში აბასთუმანში (ამიერკავკასიაში ერთადერთი) დამონტაჟდა დაკვირვების სადგური, რაც განსაზღვრავს ქვეყანაში ჰაერის ფონურ დაბინძურებას. ამ ქმედებით საქართველო ჩაერთო ჰაერის მონიტორინგის ერთიან ევროპულ ქსელში.

თუმცაღა კონვენციას მიღებული აქვს 8 ოქმი და საქართველო არ წარმოადგენს არც ერთი ოქმის მხარეს.

ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ და მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1995წ. სულ 191 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული კონვენციაც და მონრეალის ოქმიც.

კონვენციის საფუძველზე, პირველი გარემოსდაცვითი ეროვნული პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2000 წელს დამტკიცდა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების პრობლემას ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრიორიტეტად განიხილავდა და ითვალისწინებდა გარკვეული ღონისძიებებს ამ პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა ფინანსური რესურსების სიმცირის და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო გარემოს დაცვის პირველი ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უმრავლესობა რეალურად არ განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონში დეკლარირებულია ერთ-ერთ მთავარ მიზნად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა ბოლო ათი წლის განმავლობაში. ზოგიერთი მუხლი, რომელიც კანონის 1999 წლის რედაქციით იყო გათვალისწინებული და მიზნად ისახავდა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოს ნორმატიული აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, ამოღებული იქნა 2007 წელს კანონში შეტანილი ცვლილებებით.

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემაა. გარემოს დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან და სახიფათო თუ აკუმულირებული ნარჩენების მართვა და გაუვნებელყოფა პრობლემურია არა მარტო ესთეტიური და ეკონომიკური, არამედ დაავადებებისა და პარაზიტების გავრცელების საშიშროების თვალსაზრისითაც. ამ ნარჩენებით იკვებებიან შინაური და გარეული ცხოველები, რაც მათ მოწამვლას ან დაავადებას, ან მათ ქსოვილებში არასასურველ ნივთიერებათა დაგროვებას იწვევს.

დღესდღეობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული მოგროვება ძირითადად მხოლოდ მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხორციელდება. სოფლებში მოსახლეობა ნარჩენებს უახლოეს ხევში, გზისპირას ან მდინარის ნაპირებზე ყრიან. ეს ტერიტორიები არ სუფთავდება და შესაბამისად, მცირე ზომის უკონტროლო „ნაგავსაყრელები" წარმოიქმნება.

გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების, აგრეთვე ჰაერის დაბინძურება არასათანადოდ მოწყობილი მოქმედი მუნიციპალური ნაგავსაყრელებიდანაც. მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდში არის მოწყობილი და არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ნაგავსაყრელებზე სპონტანურად მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დამბინძურებლების, დიოქსინებისა და ფურანების გაფრქვევას. ნარჩენების ღია წვის შედეგად წარმოქმნილი მდგრადი ორგანული დამბინძურებლები დიდხანს არ იშლება გარემოში და ატმოსფერული ნაკადებით შორ მანძილებზე გადაიტანება.

გარემო აგრეთვე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გამამდიდრებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისგან, რომელიც განთავსებულია ყოფილი საბჭოთა საწარმოების მიმდებარე ტერიტორიებზე. საყურადღებოა დარიშხანის შემცველი ნაცარი და შლამი სოფლებში ცანა (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) და ურავი (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) (ყოფილი დარიშხანის მოპოვებისა და გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე). გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, განსაკუთრებით პესტიციდები, რომელთა ნარჩენები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი რაოდენობით დარჩა ქვეყნის ტერიტორიაზე. [1]

ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, ქვეყანა მონაწილეობს ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის (SAICM) განხორციელებაში. მომზადდა საქართველოს ქიმიური პროფილი და ქვეყნის საჭიროებათა შეფასება SAICM ეროვნული განხორციელებისათვის. მზადდება დამბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში მოხვედრისა და გადატანის ეროვნული რეესტრის (PRTR) ინსტიტუციონალურ საჭიროებათა შეფასება.[4]

ქვეყანა გაწევრიანებულია შემდეგ კონვენციებში:

როტერდამის კონვენცია - ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ და დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის.[5]

ბაზელის - სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ კონვენციის ფარგლებში შემუშავდა კანონი "საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ".გარკვეული ფორმატით ყოველწლიურად მზადდება ანგარიშები და კითხვარები, რომლებიც წარედგინება სამდივნოს [6]

2006 წლის 11 აპრილს 2840 – I ს დადგენილებით, საქართველომ მოახდინა **სტოკჰოლმის კონვენციის "მდგრად ორგანულ დამაბინძურებლების შესახებ"** - რატიფიცირება. კონვენციის ფარგლებში დამტკიცდა „საქართველოში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა", რომელიც ითვალისწინებს „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ" სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულებას.

ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხრედაჭერით მიმდინარეობს პროგრამა "ვადაგასული პესტიციდების რისკ-ფაქტორების შემცირება კახეთის რეგიონში".

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელდა მიზნობრივი პროგრამა "საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება-შეფუთვა და დროებით განთავსება." და დამაბინძურებლები დროებით განთავსდა იაღლუჯის საცავში. [7]

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა, საქართველოში ამ მიმართულებით პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა, ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი ჩარჩო კანონი ნარჩენების მართვის შესახებ, სადაც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის მიზნები, ამოცანები და პასუხისმგებლობები. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა ნარჩენების მართვის იერარქია, ნარჩენების პრევენციის დაკავშირება რესურსების დაზოგვასთან და ნარჩენების რესურსად განხილვა. ასევე არარსებობს მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენების მიმართ ან წამახალისებელი მექანიზმები რესურსების დაზოგვის და ნაკლები ნარჩენის წარმოქმნისათვის.

საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს მკაფიო, ევროპის კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები ნაგავსაყრელებისათვის.

აუცილებელია ამ მოთხოვნებში საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების ვალდებულების ინკორპორირება, რათა მოხდეს საზოგადოების მომზადება ნარჩენების მდგრადი მართვის მეთოდების ხელშეწყობისათვის.

შასურველია, გადაიდგას ნაბიჯები მწარმოებლის პასუხისმგებლობის დანერგვის კუთხით. ასევე, მიზანშეწონილია მცირენარჩენიანი საწარმოო პროცესების და ნარჩენების მეორადი გადამუშავების წამახალისებელი ეკონომიკური ინსტრუმენტების შემუშავება. [2]

მიწის რესურსების მართვა

მიწას ადამიანის სასიცოცხლო მატერიალურ პირობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია და საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. ამდენად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული მიწის პოტენციალური შესაძლებლობანი. გადაჭარბებული ძოვება, ტყის საფარის კარგვა და ტერიტორიების დაუგეგმავი ათვისება ურბანული განვითარების მიზნით, მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია. ნიადაგის ეროზია, რომელიც რიგ შემთხვევებში ბუნებრივი მოვლენაა, მწვავდება ადამიანის მიერ ნიადაგის არამდგრადი გამოყენებით.

მიწის რესურსების დაცვისათვის საქართველო 1999 წელს შეუერთდა **გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციას.**შედეგად, 2003 წელს საქართველომ შეიმუშავა და დაამტკიცა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა. მასში განსაზღვრულია: გაუდაბნოების რისკის საფრთხის ქვეშ მყოფი რეგიონები, გაუდაბნოების გამომწვევი ფაქტორები ამ ტერიტორიებზე და მოკლე და გრძელვადიანი ქმედებები. საქართვლომ ასევე წარადგინა 3 ეროვნული მოხსნება კონვენციის განხორციელებაზე.

2005 წლს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის(GEF) დახმარებით განხორციელდა პროექტი „ეროვნული შესაძლებლობების თვითშეფასება გლობალური გარემოსდაცვითი მენეჯმენტისათვის". აღნიშნული პროექტის ფაგლებში შესაძლებლობების შეფასება ჩატარდა „გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის" ვალდებულებების შესრულებაზე. თუმცა კი ზემოაღნიშნული დოკუმენტი, მიუხედავად მისი გამოქვეყნების თარიღისა, არ ესადაგება ახლანდელი მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების პრობლემებს, რომლებიც აღიარებულია ეროვნულ და გლობალურ დონეებზე.

ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში განხორციელდა

კვლევები. რამდენიმე უკვე დასრულებულია და მიმდინარე პროექტების ფარგლებში შერჩეულ რეგიონებში (მაგალითად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში) ჩატარდა ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის შემარბილებელი ღონისძიებები. [1]

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს მიწის რესურსები მწირია და დღესდღეობით მიწისა და ნიადაგის დაცვა არის ქვეყნის მთავარი პრობლემებიდან ერთ–ერთი მნიშვნლოვანი, დღეს საქართველოში ერთ–ერთი მთავარი პრობლემაა კომპლექსური და ინტეგრირებლი პოლიტიკის/ხედვის არ არსებობა მიწის მართვის სექტორში. დამატებით კიდევ შეუსაბამო კანონმდებლობა ზოგჯერ წარმოქმნის „კონფლიქტს" მიმდინარე ეროვნულ სტრატეგიასა და პოლიტიკის დოკუმენტებს შორის. [8]

მიწის დეგრადაცია შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული/შერბილებული ეფექტიანი მიწის პოლიტიკის არსებობით ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით შემუშავებული სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმების განხორციელებით შეიძლება შეიქმნას მიწის რესურსების მდგრადი განვითარების საფუძვლები და თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები სხვადასხვა დარგებს შორის. [1]

კლიმატის ცვლილება და კატასტროფები

საქართველო ასევე ჩართულია საერთაშორისო პროცესებში, რომლებიც მიმართულია კატასტროფების რისკების შემცირებისა და შედეგების შერბილებისკენ.

საქართველო წარმოადგენს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, რაც ხელს უწყობს ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობის განხორციელებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამავე დროს, ეს ორგანიზაცია საქართველოს უწევს როგორც პირდაპირ დახმარებას ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობის სფეროში, ასევე შუამდგომლობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან დახმარების აღმოჩენის მიზნით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ" კონვენციის რატიფიცირებისთვის. კონვენციის რატიფიცირება ქვეყანას საშუალებას მისცემს დანერგოს ეროვნულ დონეზე სამრეწველო ავარიების პრევენციისათვის საჭირო თანამედროვე მიდგომები.

მსოფლიოში კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად იქნა აღიარებული 1979 წელს. 1992 წელს კი რიო-დეჟანეიროში ხელი მოეწერა "კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას", რომელიც მიზნად ისახავდა ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც კლიმატურ სისტემას დაიცავს საშიში ანთროპოგენული ჩარევისგან. საქართველო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას 1994 წელს მიუერთდა. აღებული ვალდებულებებიდან, ეროვნული შეტყობინებების პერიოდული მომზადება და UNFCCC -სადმი წარდგენა, განხორციელდა გლობალური გარემოს დაცვის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

მას შემდეგ ქვეყანაში შესრულდა მთელი რიგი პროექტებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საკითხების შესწავლას და საპროექტო წინადადებების მომზადებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის დარგში.

2006-2009 წლებში საქართველომ მოამზადა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მიმართ მეორე ეროვნული შეტყობინება.მეორე ეროვნულ შეტყობინებაში და საქართველოში უკვე შესრულებულ თუ განხორცი-

ელების სტადიაში მყოფ სხვა პროექტებში მიღებული შედეგების გათვალსიწინებით მომზადდა კლიმატის ცვლილების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია. იგი ჯერჯერობით ვერ ფარავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას და მასში ყურადღება გამახვილებულია წინასწარი შესწავლის საფუძველზე შერჩეულ პრიორიტეტულ რეგიონებზე.

აღნიშნული კონვენციის ფარგლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო მთელი რიგი რეგიონალური პროექტების განხორციელებაში. მათ შორის აღსანიშნავია:

1. მტკვარ-არაქსის აუზში ტრანსსასაზღვრო დეგრადაციის შემცირების, 2. სამხრეთ კავკასიაში წყლის პრობლემის დაძლევის, 3. სათბურის გაზების ინვენტარიზაციის სრულყოფის, 4. გარემოსდაცვითი საინფორმაციო ქსელების განვითარების, 5. წყალდიდობების მონიტორინგის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში ენერგოეფექტურობის ამაღლებისა და 6 მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პროექტები. [9]

თუმცაღა ზემოაღნიშნული არასაკმარისია და ამ მიმართულებითაც კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მნიშვნელოვანია, რომ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა", გამოხატონ პოლიტიკური ნება და დაიწყონ რეალური ზრუნვა გარემოს დაცვაზე. როგორც ზემოთ ჩანს, ყველა დარგში პრობლემა იწყება მოუწესრიგებელი და მოძველებული საკანონმდებლო ბაზით, ინტერესთა გადაკვეთით და კანონთა თუ კანონქვემდებარე აქტთა ანულირებით, ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს და ესმოდეს რაოდენ მნიშვნელოვანია იმ გარემოს დაცვა, სადაც ცხოვრობს და რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს გარემოს არარენტაბელური გამოყენებით.

აუცილებელია კონტროლის მექანიზმების - მონიტორინგის, ინსპექტირებისა და კანონაღსრულების სისტემების გაუმჯობესება და მათთვის რეალური ძალაუფლების მინიჭება;

სერიოზული, თუმცა ადვილად გადაჭრადი პრობლემაა აგრეთვე პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნის ამაღლებაც;

მოწინავე ქვეყნებში, მათ შორის ევროგაერთიანების ქვეყნებში, გარემოს დაცვის სფეროში გამოიყენება ე.წ. ეკონომიკური ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გადასახადები გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაზე, საქონელსა ან ნედლეულზე, რომლებიც იწვევენ გარემოს დაბინძურებას. ასეთი გადასახადები, წარმოების, მომსახურების და პროდუქტების ფასებზე ზემოქმედების გზით, ეკონომიკურ სტიმულს აძლევენ მწარმოებლებს და მომხმარებლებს, შეამცირონ გარემოს დაბინძურება. [2].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გარემოს დაცვა ისეთივე "გადამრჩენელი" გახლავთ, როგორიც, მაგალითად, შუა საუკუნეებში სამშობლოს დაცვა - იარაღით... ეს ერთგვარი "ომია", რომელიც ცივილიზაციას ახლავს თან და რომელშიც თუ თითოეული ჩვენგანი არ ჩაება, დამარცხება გარდაუვალი იქნება...

გამოყენებული ლიტერატურა

1) საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2012-2016) http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/NEAP_geo_2012.pdf

2) გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/REPORT_GEO_FEB2012.pdf

3) http://moe.gov.ge/

4) http://www.saicm.org

5) http://www.pic.int

6) http://www.basel.int

7) www.pops.int

8) გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია http://moe.gov.ge/index.php?sec_id=119&lang_id=GEO&project_id=75

9) საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის, თბილისი 2009http://www.climatechange.telenet.ge/

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მონაწილეობა და მისი შედეგები

ანოტაცია

გარემოს დაცვა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა 21-ე საუკუნეში. ეს განსაკუთრებულად იგრძნობა საქართველოში, თბილისი ევროპის ყველაზე დაბინძურებული დედაქალაქია. საქართველოში 1996 წლიდან იწყება გარემოზე ზრუნვის მცდელობის დეკლალირირება საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე საქართველო 50-მდე საერთაშორისო კონვენციისა თუ ქარტიის მხარეა. თუმცაღა ჯერ კიდევ არ ჩანს საჭირო პოლიტიკური ნება - ჯერ კიდევ მრავლადაა არაეფექტური და ურთიერთგადამკვეთი და ანულირებული საკანონმდებლო რეგულაციები, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი აღებული და შეუსრულებელი ვალდებულებები. და ყველაზე მთავარი- გაზრდილი სტიქიური უბედურების მასშტაბები, გაუდაბნოებული ტერიტორიები და მოწამლული წყალია.

მნიშვნელოვანია, რომ დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის რეალურად გაუმჯობესება და გამოინახოს ეკონომიკური ინსტრუმენტები ბიზნესში გარემოს დაცვის ინტერესების სტიმულირებისათვის.

Нино Рухаиа-Мосемгвдлишвили
Докторант

УЧАСТИЕ ГРУЗИИ В МЕЖДУНАРОДНЫХ ПРОЕКТАХ ОХРАНЫ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ

Аннотация

Охрана окружающей среды - самая важная проблема в мире в 21-м веке. И это особенно чувствуются в Грузии - Тбилиси наиболее загрязненная столица Европы. Грузиия в 1996 начала проявлять заботу об окружающей среде на законодательном уровне. Также в этом секторе Грузиия является частью почти 50 Международных конвенций или Уставов.

Но все еще не существует необходимой политической воли, чтобы изменить что-то - Даже сейчас есть много законодательных инструкций, которые не являются действующий, они не эффективные, или находятся в конфликте с другими инструкциями. У нас есть много международных обязательств, множество из которых, ещо не выполнени. И результат - больше стихийных бедствий, опустошённый областей и отравленной воды.

Важно начать реальную работу о законодательных инструкциях, найти, что экономичные инструменты стимулируют охрану окружающей среды в Бизнесе и повышение осведомленности общественности в области.

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili
Doctoral Student of TSU

PARTICIPATION OF GEORGIA IN INTERNATIONAL PROJECTS OF ENVIRONMENTAL PROTECTION

Annotation

Environmental protection is the world's most important problem in the 21st century. And this is particularly felt in Georgia - Tbilisi Europe's most polluted capital. Georgia in 1996 started taking abot care of the environment efforts at the legislative level. Also in this sector Georgia is a part of almost 50 International Convention or the Charter.

But still there is no necessary political will, to change something- Even now there are a lot of legislative regulations, which are not walid, are not effective or they are in conflict with other regulations. We have a lot of international commitments, which are not preformed. And the result- more natural disasters, deserted areas and poisoned water.

It is important to start real work about legislative regulations, find economical instruments to stimulate environmental protection in Business and raising public awareness in the field.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

2014 წლის 27 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები".

კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ემდ., პროფ. რამაზ აბესაძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ და უცხოელ მეცნიერებს კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

ემდ. პროფ. რ. აბესაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კონფერენციის თემატიკასა და კონფერენციის მნიშვნელობაზე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო კავშირების გაფართოების თვალსაზრისით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი სოროკინი, იოანე-პავლე II-is სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი სლავამირ პარტიცკი (პოლონეთი), ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ლინას ჩეკანავიუსი, განვითარებისა და კვლევების ინსტიტუტის პროფ. აგნუშკა რზეპკა (პოლონეთი), კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორები: დაროლ სტენლი და ლევან ეფრემიძე, ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ლენა ბელიაევა, ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის დირექტორი მარია ბითაროვა, ასევე მეცნიერები პოლონეთის, ბულგარეთის, უკრაინის, ლიტვის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ჩეხეთისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეებიდან.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა: თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვედაშვილმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ავთანდილ არაბულმა. კონფერენციას ესწრებოდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ემდ, პროფ. თ. ბერიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო, კონფერენციას მიესალმნენ და პლენარულ სხდომაზე სამეცნიერო მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალი მეცნიერ-ეკონომისტი. საზღვარგარეთიდან – აკადემიკოსი დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), პროფესორები: სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), ლინას ჩეკანავიუსი (ლიტვა), მარია ბიტაროვა (რუსეთი) და სხვა. საქართველოდან – მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გიორგი ბერულავა, როზეტა ასათიანი, თემურ შენგელია და უშანგი სამადაშვილი.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციამ მუშაობა სექციების მიხედვით განაგრძო.

კონფერენციის მუშაობა წარიმართა შემდეგ სამეცნიერო სექციებში: ეკონომიკური თეორიის (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. ა. კურატაშვილი და ეკონ. დოქტორი რ. ჯავახიშვილი); სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (ხელმძღ.

ემდ, ვ. ბურდული, ეკონ. დოქტორი ქ. ქველაძე); მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ხელმძღ. ემდ, პროფ. მ. კვარაცხელია, ეკონ. დოქტორი ი. ნათელაური); მაკროეკონომიკის (ხელმძღ. ემდ, პროფ. გ. ბედიანაშვილი, ეკონ. დოქტორი ნ. არევაძე); ბიზნესის ადმინისტრირების (ხელმძღ. ემდ, პროფ. გ. ბერულავა, ეკონ. დოქტორი ე. კაკულია); ფინანსებისა და საბანკო საქმის (ხელმძღ. ეკონ. დოქტორები თ. ლაზარაშვილი, მ. გელაშვილი); ბუნებათსარგებლობის, გარემოს დაცვისა და სოფლის ეკონომიკის (ხელმძღ. ეკონ. დოქტორები: მ. ხუსკივაძე, ზ. რევიშვილი); სოციალური და დემოგრაფიული (ხელმძღ. პროფ. ა. სულაბერიძე, ეკონ. დოქტორი ე. ჩიქოვანი).

სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა სექციების მუშაობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოჭრეს მომხმარებლებმა. სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა, ასევე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალმეცნიერულ დონეზე და მომხსენებლების მიერ წარმოჩენილ იქნა არაერთი მეცნიერული სიახლე, წინადადება და რეკომენდაცია.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა.

28 ივნისს გაიმართა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომა.

სხდომას უძღვებოდა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე. მან თავის ვრცელ მოხსენებაში ისაუბრა ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე, ეკონომიკის დარგში ამ ფლაგმანი საქმეში. მან ყურადღება გაამახვილა ომის ქარცეცხლიან დღეებში ინსტიტუტის ინსტიტუტის ადგილსა და როლზე ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დამაარსებელსა და დირექტორზე 32 წლის მანძილზე, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის იმ დიდ დამსახურებაზე, რომელმაც თავისი პიროვნული თვისებებით, დაუღალავი, მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით განაპირობა ინსტიტუტის დიდი ავტორიტეტი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებაში.

პროფ. რ. აბესაძემ დიდი პატივისცემით აღნიშნა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორების, აკადემიკოსების ავთანდილ გუნიას, ვლადიმერ პაპავასა და პროფ. გ. წერეთლის იმ დიდ დამსახურებასა და ღვაწლზე, რაც მათ გასწიეს ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი ამაღლებისა და დამკვიდრებისათვის. პროფ. რ. აბესაძემ ვრცლად გააშუქა ინსტიტუტის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ამ სამეცნიერო დაწესებულებაში მომუშავე მეცნიერთანამშრომლების ის დიდი წვლილი, რაც მათ შეიტანეს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში და მათ მიერ გამოქვეყნებულმა მონოგრაფიებმა, სახელმძღვანელოებმა, ბროშურებმა, სამეცნიერო სტატიებმა და მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებულმა დასკვნებმა, მოსაზრებებმა, წინადადებებმა და რეკომენდაციებმა, თუ რა ფართო აღიარება მოუტანეს როგორც მის ავტორებს, ისე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს.

გამოსვლის ბილოს, რამაზ აბესაძემ 75 წლის იუბილე მიულოცა და ინსტიტუტის ადრესი გადასცა ცნობილ მეცნიერს როზეტა ასათიანს, რომელ-

მაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

საიუბილეო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელმაც მიულოცა ინსტიტუტს და მის თანამშრომლებს საიუბილეო თარიღი და აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ინსტიტუტმა შეინარჩუნა არსებობა და დღესაც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს, რაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის დიდი დამსახურებაა. აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მადლობა გადაუხადა თსუ-ს რექტორს ვლადიმერ პაპავას ეკონომიკის ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და აღნიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემია იბრძოლებს, რომ ინსტიტუტებმა თავისი სტატუსი განამტკიცონ და თანამშრომლებმა ღირსეული ანაზღაურება მიიღონ.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა ინსტიტუტში გატარებული პერიოდი და აღნიშნა, რომ იქ გატარებული წლები მისი ცხოვრების დაუვიწყარი პერიოდია. მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ. ჩვენი – სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ვალია, მაქსიმალურად დავიცვათ მათი ინტერესები მთავრობისა და სახელმწიფოს წინაშე და დაამატა – ჩვენი თაობის უდიდესი შეცდომა და დანაშაული იქნება, თუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს არ შევინარჩუნებთ და არ გავაძლიერებთ.

ვლადიმერ პაპავამ გულთბილად და პატივისცემით მოიგონა ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა ის მეცნიერი, ვინც თავისი მოღვაწეობით და პიროვნული თვისებებით განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში. ესენია: აკადემიკოსი ავთანდილ გუნია, პროფესორები: არჩილ თეთრაული, გიორგი წერეთელი და სხვები.

გამოსვლის ბოლოს, თსუ-ს რექტორმა, აკად. ვლ. პაპავამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რამაზ აბესაძეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე არსებული დიდი დამსახურებისა, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის". ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა ასევე ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ პირველ თანამშრომელს, ეკონომიკის დოქტორს, ქალბატონ შუშანა მარგველაშვილს, რომელიც ღონისძიებას ხანდაზმულობის გამო ვერ დაესწრო. ცოტა ხნით ადრე ამ მედლით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზეტა ასათიანი დაჯილდოვდა.

საიუბილეო სხდომაზე ინსტიტუტს მიესალმნენ, სიტყვით გამოვიდნენ, მოგონებები და მილოცვები წაიკითხეს: აკადემიკოსმა დ. სოროკინმა (რუსეთი), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ემდ, პროფ. ლ. ჩიქავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ, ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის სახელით პროფ. რ. აბესაძეს ადრესი გადასცა უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა ციცინო გვრიტიშვილმა, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარმა რედაქტორმა, ემდ. პროფ. რ. გოგოხიამ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა, ეკონომიკის დოქტორმა რ. ჯავახიშვილმა, სლავომირ პარტიცკიმ (პოლონეთი), ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა ბ. ქეჩბაიამ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და დაროლდ სტენლიმ (აშშ, კალიფორნიის უნივერსიტეტი).

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის და დადებითად შეაფასა როგორც საერთაშორისო კონფერენციის, ისე საიუბილეო-საზეიმო სხდომის მუშაობა.

საიუბილეო დღეებში გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

ლინა დათუნაშვილი
პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

თეა ლაზარაშვილი
ინსტიტუტის განყოფილების გამგე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სიახლე

2014 წლის 5 სექტემბერს თბილისში ოფიციალურად გაიხსნა სონი ცენტრი

5 სექტემბერს გაიმართა **სონი ცენტრის** ოფიციალური გახსნა ვაჟა-ფშაველას 36 -ში.

გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ თბილისის მერი **დავით ნარმანია,** საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური,** იაპონიის ელჩი საქართველოში **ტოშიო კაიტანი,** ასევე ტოკიოდან სპეციალურად ჩამობრძანდნენ კომპანია შონყ-ს დირექტორი დსთ-ს ქვეყნებში **ფუმიაცუ ჰირაი,** კომპანიის ვიცეპრეზიდენტი კორპორატიულ მარკეტინგში **შიგერუ კუმეკავა** და Sony Digital Imaging -ის გენერალური მენეჯერი დსთ-ს ქვეყნებში, მიმართულების ხელმძღვანელი კავკასიის ქვეყნებში **ტომოჰირო ნაკაშიმა.**

პირველები თბილისის სონი ცენტრს ეწვივნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები და კომპანიის პარტნიორები. ღონისძიების სტუმრები გაეცნენ კომპანიის პროდუქციის ფართო სპექტრს და სამომავლო გეგმებს.

«სონი ცენტრის გახსნა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს არ გახლავთ უბრალოდ ახალი ობიექტი ქალაქში, არამედ მნიშვნელოვანი ობიექტი დედა-ქალაქში, რომელიც მიმართულია შემოიტანოს თითოეულ ოჯახში თანამედროვე ტექნოლოგიები», - განაცხადა თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** და აღნიშნა, რომ ეს ასევე არის დამატებითი სამუშაო ადგილები თბილისელებისთვის. «დარწმუ-ნებული ვარ, რომ კომპანია არ გაჩერდება მხოლოდ თავისი ოფიციალური ცენტრის გახსნაზე და გააფართოვებს არსებობას საქართველოს ბაზარზე. მე, როგორც თბილისის მერი, მივესალმები ყველა კომპანიას, რომელიც იწყებს ბიზნეს საქ-მიანობას თბილისში და ჩვენი მხრიდან მათ ექნებათ ყველანაირი ხელშეწყობა», - აღნიშნა ნარმანიამ.

იაპონიის ელჩმა საქართველოში **ტოშიო კაიტანიმ** ასევე მიულოცა თბილისის მაცხოვრებლებს სონი ცენტრის გახსნა. «საქართველო და იაპონია მეგობრული ქვეყნები გახლავთ და ჩვენი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში იზრდება. როგორც მოგეხსენებთ, Sony იაპონიის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა და მსოფლიო ბრენდი. სასიამოვნოა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა იზრდება ოფოციალური Sony ცენტრის გახსნით საქართველოს დედაქალაქში», - აღნიშნა ელჩმა.

თავის მხრივ, კომპანიის დირექტორმა დსთ-ს ქვეყნებში **ფუმიაცუ ჰირაიმ** აღნიშნა, რომ «ჩემი ოცნება იყო გამეაქტიურებინა სონი საქართველოში, ისეთ ლამაზ ქვეყანაში, რომელიც ცნობილია თავისი სტუმარმასპინძლობით, სამზარეუ-ლოთი და ,რა თქმა უნდა, ღვინით. ჩვენ მოხარულები ვართ პირველი სონი ცენტრის გახსნისა თბილისში, ასევე სასიხარულოა წარმოგიდგინოთ უახლესი ტექნო-ლოგიები საქართველოში. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ სონი დაეხმარება საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში», - აღნიშნა ჰირაიმ.

როგორც სონის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, «ნამდვილად დიდი ხნის ოცნება იყო სონის განვითარება საქართველოში. მე მოხარული ვარ წარ-მოგიდგინოთ სონი ცენტრი თანამედროვე ტექნოლოგიებით. წარმოგიდგენთ ტელევიზორებს 4 რეზოლუციით, რომელშიც Sony-ს უჭირავს ბაზრის ყველაზე დიდი წილი მსოფლიო მასშტაბით. ჩვენი სმარტფონების ბაზრის წილის მოცულობა დღითიდღე იზრდება, ჩვენს ცენტრში წარმოდგენილი არის ყველაზე ახალი და საუკეთესო მოდელები. როგორც მოგეხსენებათ, Sony არის წამყვანი ციფრული ფოტოკამერების ბრენდი როგორც კომპაქტური ფოტოკამერების, ასევე პროფესიო-ნალურების. არ დაგვავიწყდეს ჩვენი თამაშების მიმართულება - ფლეისთეიშენი,

ფლეისთეიშენ სონი, ფლეისთეიშენ 4 და ფლეისთეიშენ მობაილ», - თქვა Sony Digital Imaging -ის გენერალურმა მენეჯერმა დსთ-ს ქვეყნებში **ტომოჰირო ნაკაშიმამ.**

სონი ცენტრში კომპანიის ოფიციალური დისტრიბუტორის (2013 წლიდან) კომპანიის IMTC მიერ წარმოდგენილი იქნება კომპანიის ტექნიკის მთელი სპექტრი, მათ შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ელექტრონიკა, უახლესი ტელევიზორები 4K მხარდაჭერით, სმარტფონების და ნოუთბუქების ახალი მოდელები, ფლეიერები Walkman, აუდიო, ვიდეო და ფოტო ტექნიკა.

სონი ცენტრი მოემსახურება ყველა მსურველს ყოველ დღე, ორშაბათიდან კვირის ჩათვლით. ცენტრის სამუშაო საათები - **11:00 დ 20:00**

კომპანია **Sony**-ს ისტორია იღებს სათავეს 1946 წელს. მაშინ ქალაქ ტოკიოში ორმა ელექტრო ინჟინერმა მასარუ იბუკამ და აკიო მორიტამ გადაწყვიტეს დაეარსებინათ საკუთარი ფირმა. ახალგაზრდა და ამბიციური ინჟინრების მთავარი მიზანი იყო ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზისზე ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც ყოველთვის ერთი ნაბიჯით გაასწრებდა კონკურენტებს. მაღალი ხარისხის პროდუქცია და არაჩვეულებრივი შესაძლებლობები ანიჭებს მომხმარებლებს უდიდეს სიამოვნებას. ზუსტად ამ ფაქტორებზეა აგებული თანამედროვე კომპანია Sony-ს მუშაობა.

დღეს **Sony Corporation -** სამომხმარებლო და პროფესიული ბაზრების აუდიო, ვიდეო, სათამაშო და კომუნიკაციების სფეროში მოწყობილობების და ინფორმაციული პროდუქტების წამყვანი მწარმოებელია. საკუთარი მყარი პოზიციების წყალობით, ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა მუსიკა, კინო, კომპიუტერული თამაშები და ინტერნეტ-ბიზნესი, **Sony**-მ დაიმკვიდრა უნიკალური უპირატესობა ელექტრონიკის და გართობის დარგში და არის მისი ერთ-ერთი ლიდერი. 2013 წლის 31 მარტისთვის საფინანსო წლის შედეგებით **Sony**-ს ყოველწლიურმა კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა 72.0 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. **Sony**-ს საერთაშორისო ინტერნეტ-საიტია http://www.sony.net.

კომპანია **IMTC,** საქართველოში **Sony**-ს ოფიციალური დისტრიბუტორი, დაარსებულია 45 წლის წინ ნიგერიაში ბიზნესმენ შიამ კირპალანის მიერ, ხოლო 1994 წელს შეუდგა მუშაობას დუბაის სათაო ოფისი. IMTC-ის ოფისი საქართველოში დაარსდა 2011 წელს, და წარმოადგენს სხვადასხვა იაპონური ბრენდების დისტრიბუტორს საქართველოში.

კომპანია **IMTC** არის **Sony**-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქარველოში 2013 წლის სექტემბრიდან. კომპანიის შეფასებით, საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა ოფიციალური იმპორტის ორგანიზების თვალსაზრისით, ბიზნეს-ოპერაციები გამჭვირვალეა, გარდა ამისა, აქ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ადვილია სამუშაო ადგილების შექმნა.

სონი ცენტრი არის ის ადგილი, სადაც საქართველოს მოსახლეობა იხილავს ბოლო სიახლეებს და **Sony**-ს პროდუქციის სრულ ასორტიმენტს. IMTC დარწმუნებულია, რომ 2015 წლისთვის **Sony** დაიპყრობს ბაზრის დიდ ნაწილს და ააღორძინებს ბრენდის იმიჯს.

მონოგრაფია საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე

გამოიცა ეკონომიკურ მეცნირებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ჯიბუტის წიგნი "საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები"*. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საფუძვლიან გამოკვლევას საქართველოს სოფლის მეურნეობისა და აგრარულ-სამრეწველო სფეროს აქტუალურ პრობლემებზე. იგი მოიცავს აგრარული პოლიტიკის საკითხების მეტად ფართო წრეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოსტკომუნისტური პერიოდის აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში ესაა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც კომპლექსურადაა გაშუქებული აგრარული სექტორისა და აგრარულ-სამრეწველო სფეროების განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის საკითხები. წიგნში გაანალიზებულია გარდამავალ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მკვეთრი შემცირებისა და დაცემის მიზეზები, მიწის განაწილებისა და მთლიანად აგრარული რეფორმის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომები.

ავტორი, ჩვენი აზრით, მეცნიერულად სავსებით სწორი პოზიციიდან, კრიტიკულად განიხილავს უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობების "სოფლის მეურნეობისადმი უპასუხისმგებლო" დამოკიდებულებას, "რეფორმების ნაჩქარევად და არათანმიმდევრულად" განხორციელებას. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ "არ იქნა შემუშავებული აგრარული რეფორმის გატარების და მისი ეფექტიანი მართვის წინადადებები და რეკომენდაციები. არ იყო განსაზღვრული აგრარული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები და აგრარული სექტორის ეკონომიკის პრიორიტეტული განვითარების ძირითადი მიმართულებები"; "სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილების და ტრადიციების, საზოგადოებრივი ინტერესების გაუთვალისწინებლად".

სწორად მიგვაჩნია ავტორის პრინციპული პოზიცია, რომ ქვეყანაში არსებული აგრარული და აგროსამრეწველო სექტორების კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად უარყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფოს ჩაურევლობის ნეოკლასიკური შეხედულებები და კურსი აღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების მიმართულებით (კეინზისა და ნეოკეინზიანელთა პრინციპების გათვალისწინებით).

ნაშრომში საფუძვლიანადაა გაშუქებული საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის ნედლეულის მიუწოდებლობის მიზეზები. სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია, კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, მოსახლეობის ფაქტობრივი მოხმარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა.

მართებულად მიგვაჩნია ავტორის პოზიცია, როდესაც იგი ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი სასურსათო პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზე. ნაშრომში

---

* გამომცემლობა "დარბეგი", თბილისი, 2014 წ, გვ. 309; რედაქტორი ნოდარ ჭითანავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; რეცენზენტი თამაზ კუნჭულია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

განვითარებულია მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარების დაახლოება მოხმარების რაციონალურ, ფიზიოლოგიურ ნორმებთან, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს კვების მრეწველობის და გარკვეულად მსუბუქი მრეწველობის განვითარებასაც და ამით შეასრულოს სოფლის მეურნეობის "ორერთიანი" ამოცანა.

სოფლის მეურნეობის დარგის დამახასითებელ საერთო ნიშნებთან და განვითარების კანონზომიერებებთან ერთად, ნაშრომში ვრცლადაა განხილული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებანი: მცირე მიწიანობა, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, რეგიონების მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ყველა სახის კლიმატისა და ნიადაგების არსებობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილის რთული გაადგილება და კონფიგურაცია, სავარგულების მორწყვისა თუ დაშრობის მწვავე აუცილებლობა, მთისწინებისა და მთებში მრავალნაკვეთიანობა, მათი მკვეთრი დახრილობა, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მეტისმეტად დაბალი დონე და სხვა სპეციფიური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ რისკებს.

ეკონომიური აზრის თვალსაზრისით წიგნში განხილულია საინტერესო ანტიკური პერიოდის და ფიზიოკრატების შეხედულებები სოფლის მეურნეობების მნიშვნელობაზე; გაშუქებულია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის იმდროინდელ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. ნაშრომში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიული ექსკურსი, რომელშიც ყურადსაღებია როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთების, ისე, განსაკუთრებით, გასაბჭოების პირობებში განხორციელებული ტრანსფორმაციების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების, აგრარული რეფორმების განხორციელების, სოფლად საკუთრებითი და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების საკითხებს. ასევე, ყოველმხრივ განიხილება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის კატასტროფულად შემცირების პროცესი, რამაც განაპირობა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების განადგურება და აგრო-სამრეწველო სფეროს დისპროპორციების წარმოქმნა.

მართებულია ავტორის დასკვნა, რომ: "საქართველოში სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დროს. ეს პროცესი ყოველგვარი გეგმისა და წინასწარი გააზრების გარეშე წარიმართა"; შედეგად "ხელაღებით დაშალეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. დაიტაცეს ადრე მათ საკუთრებაში არსებული ქონება". "სოფელი დარჩა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. საქართველოში დაიწყო არქაულ ტექნოლოგიასა და ხელით შრომაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობის რეანიმაციის პროცესები". განსაკუთრებით მწვავე ირონიით აკრიტიკებს ავტორი "ნაციონალების" მთავრობის, "ლიბერტანიანელი და "კოლბერიანელი" ეკონომიკური რეფორმების აღიარებული "მამის" მიერ გატარებულ სოფლის "გაჩანაგებისა და ძარცვის პოლიტიკას"(იხ. გვ. 63-66).

მიწების განაწილების სტატიტიკური მონაცემების სათანადო ანალიზის საფუძველზე ავტორი მართებულად ასკვნის, რომ საქართველოში 1992-1996 წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება (საკუთრება და იჯარა) წარუმატებლად განხორციელდა. რეფორმის შედეგებს ავტორი აგრარული

სფეროს განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად განიხილავს. ავტორის აზრით, გაუნაწილებელი სავარგულების რაოდენობა, ე.ი. რაც დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში, შეადგენს 1332700 ჰა-ს, მთლიანი სავარგულების 44,8% (გვ. 72-73).

ვფიქრობთ ეს მონაცემი საჭიროებს დაზუსტებას, დღეისათვის მიწების ფაქტობრივი განაწილების სტატისტიკური მონაცემების განახლებული ბაზის შექმნა მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2004-2012 წლებში გაუქმდა მიწების განაწილების სტატისტიკის წარმოება და სწორედ ამ პერიოდში სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გაყიდული ან გაცემულია. ამავე პერიოდში მოხდა ასევე იჯარით გაცემული ნაწილი სავარგულების იძულებითი ფორმებით ჩამორთმევა და გადანაწილება.

ნაშრომში შემდგომ მოცემულია სწორ დასკვნა, რომ "დღეისათვის არ არის დაზუსტებული თუ რა რაოდენობის სავარგულებია ქვეყანაში, რამდენია ინტენსიური და ნაკლებადინტენსიური, რა რაოდენობის მიწაა კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში, ვინ არის მესაკუთრე, რა რაოდენობით მიწაა გაცემული იჯარით, ქვეიჯარით, ვინ არიან მოიჯარეები და მეიჯარეები, რა რაოდენობის მიწაა გაცემული და ვის მიერ, რა რაოდენობის მიწაა სათემო სარგებლობაში და რა პირობებში" (გვ.77). ავტორის მტკიცებულებით, მიწის კადასტრის განხორციელებული სამუშაოების დიდი ნაწილი უხარისხო და ზერელეა, პასპორტებში შეტანილია დაუზუსტებელი და არასწორი მონაცემები.

ავტორი ვრცლად განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვის საკითხს. იგი მხარს უჭერს მორატორიუმის გაგრძელებას და უცხოელებზე სავარგულების გაყიდვის მკაცრ აკრძალვას. ავტორი ყურადსაღებ დასკვნას იძლევა, რომ "საქართველოში კანონით უნდა აიკრძალოს ქვეყნის არამოქალაქეზე, მისი მოქალაქეობის არმქონე პირებზე და უცხოელებზე მიწების გასხვისება", "ყველასათვის გასაგები უნდა იყოს ის, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყანას წარმოადგენს (იხ. გვ. 286).

ავტორი ავითარებს მოსაზრებას სრულყოფილი მიწის კოდექსის შემუშავებისა და მისი მიღების აუცილებლობაზე, რომელიც გააერთიანებს ყველა სახისა და კატეგორიის მიწის კანონმდებლობას. მისი აზრით, მნიშვნელოვანი შესწორებები უნდა იქნეს შეტანილი კანონში "იჯარის შესახებ", საჭიროა აიკრძალოს ამ კანონით დაშვებული "ქვეიჯარა".

ავტორი ვრცლად განიხილავს საქართველოში აგრარული სექტორის რეფორმირების, საწარმოო-ორგანიზაციული სტრუქტურების რეორგანიზაციის საკითხებს, ეროვნული ტრადიციების, შრომითი ჩვევებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი მეურნეობრიობის ორგანიზაციულ ფორმებსა და ტიპებს. ასევე განიხილავს სექტორში, როგორც სახელმწიფო და კოოპერაციული, ისე კერძო ფერმერული საკუთრების ფორმების განვითარების საკითხებს. გადაუდებელ ამოცანათა რიგში განხილულია წარმოების სპეციალიზაცია ზონების გათვალისწინებით, "სანერგე, სასელექციო, სასწავლო, კვლევითი, საცდელი, საჩვენებელი მეთესლეობის, მეცხოველეობის საჯიშე-სანაშენე მეურნეობების აღდგენას" (გვ.100).

ავტორი აქტუალურად მიიჩნევს საოჯახო მეურნეობების გაერთიანებას (3-10 ოჯახი), კოოპერირებას ერთგვაროვანი საქმიანობის თუ საწარმოო კულტურის მიხედვით, სპეციალიზებული მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას. იგი ასევე ავითარებს მოსაზრებას "კლასიკური ტიპის მსხვილი ფერმერული მეურნეობების" საფუძვლის შექმნის აუცილებლობაზე.

ამგვარი პოზიცია, ჩვენი აზრით, გარკვეულად განსხვავებულ კონცეფციად გვევლინება და წარმოადგენს მცდელობას ორი ცნობილი აგრარული სტრატეგიის – "ფართოსაფუძვლიანი" სტრატეგიის, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ფერემერული მეურნეობების სამთავრობო მხარდაჭერაზე და "დუალისტური" სტრატეგიის, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად მსხვილი ფერმერული მეურნეობების სამთავრობო მხარდაჭერაზე – სინთეზის მცდელობას.

კონცეპტუალურად, ავტორი მთლიანად მართებულად თვლის რომ სოფლის მეურნეობის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს როგორც კოოპერატიული პროცესების განვითარებამ, ისე სახელმწიფოს მიერ ფერმერული მეურნეობისათვის მხარდაჭერის პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენებამაც. თუმცა, განვითარების მოცემულ ეტაპზე, რესურსების სიმცირის გამო, მნიშვნელოვანია, თუ როგორი სიდიდის სასოფლო შინამეურნეობების თუ ფერმერული მეურნეობების განვითარებაზე უნდა იყოს უპირატესად ორიენტირებული სამთავრობო აგრარული პოლიტიკა: მცირესა და საშუალოზე თუ მსხვილზე.

ნაშრომში ვრცლადაა გაანალიზებული აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების ამსახველი მონაცემები როგორც სსრკ-ს დაშლამდე (რაც ნათლად გვიჩვენებს სოფლის მეურნეობისა და ასკ-ს სხვა სფეროების არსებულ პოტენციალს), ისე მასში მომხდარი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები გარდამავალ პერიოდში, მოცემულია ავტორისეული ხედვები როგორც ასკ-ს ძირითადი სფეროების, ისე ძირითადი ქვეკომპლექსების განვითარების პერსპექტივებზე.

ნაშრომში განხილული, აქტუალურ საკითხთა წრე მეტად ფართოა და მოსალოდნელია, რომ რიგმა ავტორისეულმა პოზიციამ გამოიწვიოს მეცნიერ-მკვლევართა განსხვავებული შეხედულებები, დისკუსიები. მაგალითად, ჩვენი აზრით, საკამათოა ავტორისეული პოზიცია, რომ "საქართველოს ასკ-ს დარგობრივი სტრუქტურა საჭიროებს აღდგენას", "პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავებისათვის საჭირო მანქანათმშენებელი საწარმოების აღდგენა" (გვ.172). "ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანად დასახული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა" (გვ. 203).

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელი მრეწველობაში, განვითარების მოცემულ პერიოდში დაგროვილი კაპიტალის სიმცირის ან არარსებობის, ასევე გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი საბანკო კრედიტის არარსებობის ან რთულად ხელმისაწვდომობის გამო, ქვეყანაში მეტად დაბალია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მსხვილი ფერემერული მეურნეობებისა თუ გადამამუშავებელი საწარმოების ერთობლივი მოთხოვნა ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე. ამასთან, საეჭვოა (ამის საფუძველს იძლევა სამამულო მანქანათმშენებლობის სავალალო გამოცდილება), რომ აღნიშნული მანქანები კონკურენტუანარიანი იქნება და შესაძლებელი იქნება მათი იმპორტირება. ამჟამად, ვფიქრობთ, რომ სპეციალისტებმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და გადამამუშავებელი დანადგარების მსოფლიო ბაზარი და საქართველოს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მათ უნდა ურჩიონ თუ რომელი ქვეყნებიდან თუ კომპანიებიდან და რომელი სახეობების ეფექტური და ეკონომიური ტექნიკა და ტექნოლოგიური საშუალებები შეიძინონ ადგილოებრივმა მწარმოებლებმა. მთლიანობაში, ჩვენ ვიზიარებთ ავტორის პოზიციას, საქართველოში ასკ-ის I და მე-III სფეროების განვითარების სამთავრობო ხელშეწყობის საჭიროების თაობაზე.

ვფიქრობთ, ასკ-ს არსებულ პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივების შესახებ პროფ. ა. ჯიბუტის კრიტიკული პოზიცია მთელ რიგ სამთავრობო ქმედებებზე, აგრარული პოლიტიკის მრავალი სადისკუსიო საკითხის წინა პლანზე წამოწევა და ავტორისეული თამამი შეხედულებები მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, მეტად დროულს ხდის მონოგრაფიულ ნაშრომს – "აგრარული პოლიტიკის საფუძვლები". მას აქვს სერიოზული მეცნიერული, როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება აგარარული პრობლემის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის, სახელმწიფო მოხელეებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრობიზნესის, ფერმერების თუ ოჯახური შინამეურნეობების წარმომადგენლებისათვის.

ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს პ. გუგუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ თანამშრომლები:
პროფ. თ. ჩხეიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ლინა დათუნაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ზურაბ რევიშვილი

ინფორმაცია

***

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

***

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შეღავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14
293 22 60; 551 10 07 04.
ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com

ჟურნალ "ეკონომისტში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL "ECONOMISTI"

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an artticle is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 $.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK "REPUBLIC" Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი **"ეკონომისტი"**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal **"Economisti"**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**